ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
INTERNATIONAL ORGANIZATION MFOR MIGRATION

მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში

MIGRATION PROCESSES IN POST-SOVIET GEORGIA

თბილისი 2003 Tbilisi

კრებულში წარმოდგენილი სტატიები საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის პრობლემებზე ავტორთა ბოლო წლების გამოკვლევის შედეგებს ასახავს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერითაა შესრულებული და ეყრდნობა მდიდარ სტატისტიკურ ინფორმაციას. წარმოდგენილი ნაშრომები წაკითხულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციაზე «მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში».

კრებული განკუთვნილია მიგრაციული პროცესებით დაინტერესებული მკითხველთათვის.

სარედაქციო კოლეგია: *პროფ. მ. ტუხაშვილი (რედაქტორი),*
დოც. ნათია კვიციანი, დოც. თამაზ ზუბიაშვილი,
დოც. ციური ანთაძე

რეცენზენტები: *პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე,*
დოცენტი ინეზა გაგნიძე

© თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003
შეკვ. № ; ტირაჟი: 300.

წინათქმა

პოსტსაბჭოთა საქართველოში მოსახლეობის მიგრაციამ არნახული მასშტაბი მიიღო. განვითარდა მისი ყველა სახე: სტაციონარული, იძულებითი, შრომითი, შიგა და გარე მიგრაციები. მასობრივი ტერიტორიული გადაადგილების გამო ბოლო ორ აღწერათაშორის პერიოდში საქართველოს მოსახლეობა თითქმის ერთი მილიონით შემცირდა. ეთნოკონფლიქტების და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩატარებული ეთნოწმენდის შედეგად სამასი ათასი კაცი იძულებით გადაადგილდა. განვითარდა არარაციონალური შიგა მიგრაციული პროცესები. თავისი შედეგით მოსახლეობის მიგრაცია იქცა ამჟამინდელი საქართველოს უმნიშვნელოვანეს პრობლემად. სამწუხაროდ, მისი მეცნიერული შესწავლის მდგომარეობა განვითარებული მასშტაბური პროცესის არაადეკვატურია. მიგრაციის რეგულირების სახელმწიფოებრივი სისტემა უკიდურესად სუსტია.

ასეთ ვითარებაში ყურადღებას იქცევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის ეკონომიკის კათედრის თანამშრომელთა და ცალკეულ კვალიფიციურ ექსპერტთა პირადი ინიციატივითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელებული მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების კვლევა. ამასთან, ვფიქრობთ, რომ ის მხოლოდ დასაწყისია და მოითხოვს შემდგომ მხარდაჭერასა და გაფართოებას.

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია ბოლო წლებში მკვლევართა მიერ მოსახლეობის მიგრაციის ამა თუ იმ საკითხზე შესრულებული ნაშრომები. იგი შეეხება მიგრაციის სტატისტიკას, იძულებითი, სტაციონარული და შრომითი მიგრაციების ცალკეული პრობლემატური საკითხების

გაშუქებას. კვლევა ეყრდნობა მდიდარ სტატისტიკურ ინფორმაციას, კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევებს და მეტ-ნაკლებად ავლენს საქართველოსთვის დამახასიათებელ რეგიონულ თავისებურებებს, მწვავე ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის გამო ზოგიერთი რეგიონის სრული დეპოპულაციის საფრთხეს.

საგულისხმოა, რომ კრებულის ავტორები არ კმაყოფილდებიან შექმნილი ვითარების მშრალი შეფასებით და ცდილობენ, დაინახონ გამოსავალი მიგრაციული პროცესების სარეგულირებლად. მათ მიერ შემოთავაზებული წინადადებები უთუოდ წაადგგება საქართველოში მიგრაციული პროცესების სწორად წარმართვას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი ე. მექვაბიშვილი

მირიან ტუხაშვილი

თანამედროვე მიგრაციული ვითარება და მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის შესწავლის ამოცანები

სსრკ დაშლის შემდგომ 1990-იან წლებში განვითარებულმა ყოვლისმომცველმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურ-კულტურულმა კრიზისმა, რესპუბლიკათა შორის მყარად ჩამოყალიბებული, განვითარებული სამეურნეო კავშირების რღვევამ, რუსეთის მხრივ იზოლაციონისტურმა პოლიტიკამ, ეთნოკონფლიქტებმა, შინააშლილობამ და ეკონომიკის კოლაფსმა სრულიად ახალი საფუძველი შეუქმნა მოსახლეობის ტერიტორიულ მობილურობას. ხანმოკლე პერიოდში განვითარდა ინტენსიური მიგრაციული პროცესები, რომელიც თავისი მასშტაბითა და სოციალური შედეგებით უპრეცენდენტო მოვლენაა საქართველოს ისტორიაში.

საყოველთაო კრიზისისა და ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების ურთულეს პირობებში სავსებით მოიშალა მიგრაციის სტატისტიკა. ადრე დამკვიდრებული მიგრანტის ჩაწერისა და ამოწერის სავალდებულო წესის შეცვლამ და მიგრანტთა რეგისტრაციის ახალი სისტემის შემოღებამ ჯერჯერობით დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. არასტაბილურ ვითარებაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით მიგრაციის მასშტაბების დადგენა მრავალ კითხვას ბადებს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული მიგრაციის აღრიცხვა ე.წ. საზღვრის გადამკვეთთა აღრიცხვის გზით ძლიერ მწირ ინფორმაციას იძლევა რეალური მიგრაციის ძირითადი პარამეტრების შესახებ. ვერც მცირე მასშტაბის შერჩევითი გამოკვლევები გვაწვდიან მიგრაციის მართვისათვის

აუცილებელ ინფორმაციას. ამიტომ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მიგრაციის რეგისტრის ქმედუნარიანობის ამაღლება, ისეთი სისტემის შემოღება, როცა მიგრანტი თითონ იქნება დაინტერესებული რეგისტრაციით. ცხადია, აღრიცხვის ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერებაც აუცილებელ ფაქტორად მიგვაჩნია.

მეორე მხრივ, რადიკალურად უნდა შეიცვალოს მიგრაციის შესწავლისადმი მიდგომა და მისი სერიოზული მეცნიერული კვლევა უნდა გახდეს მყარი საფუძველი მიგრაციული პროცესების მართვისა. ის ეპიზოდური კვლევები, რომელიც განხორციელებულია მიგრაციის შესასწავლად, სრულებითაც არ შეესაბამება საკითხის მნიშვნელობას, თუმცა ზოგადად მაინც ხატავენ მიგრაციულ სურათს და მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის მეცნიერული გააზრების წინაპირობებს ქმნიან. მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ძალისხმევას საქართველოში მიგრაციული პროცესების მეცნიერული შესწავლისა და მართვისათვის. იმავდროულად მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობა, როგორც თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური პრობლემა, სახელმწიფოსა და ფართო საზოგადოების მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს და დღის წესრიგში აყენებს მის სისტემურ კვლევას ფართო პროგრამით.

დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

ა) დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს მასობრივი მუდმივი ემიგრაციის პროცესი. საწყის ეტაპზე უფრო ინტენსიური იყო არაქართველი მოსახლეობის გასვლა საზღვარგარეთ, შემდგომ კი თანდათან ქართველთა ემიგრაციული ინტენსივობაც გაიზარდა;

ბ) ეთნოკონფლიქტებისა და ეთნოწმენდის გამო იძულებითმა მიგრაციამ მოიცვა დიდი ტერიტორია და

მოსახლეობა ძალდატანებით გადაადგილდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გაიფანტა სხვა ქვეყნებში;

გ) განვითარდა დიდი ინტენსიურობის შრომითი ემიგრაცია;

დ) შეფერხდა ურბანიზაციის პროცესი, წარმოიშვა ანტიურბანიზაციული მოვლენები, განსახლების სისტემა კრიზისმა მოიცვა;

ე) მინიმუმამდე შემცირდა შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია;

ვ) შეიცვალა ე.წ. სასწავლო მიგრაციის ინტენსიურობა და მიმართულებები;

ზ) პრაქტიკულად შეწყდა შიგა ორგანიზებული მიგრაციები; იმავდროულად გაიზარდა ორჯერ დეპორტირებული «თურქი-მესხების» საქართველოში ორგანიზებულად ჩამოსახლების პოტენციალი.

თუ მოსახლეობის ბოლო აღწერების შედეგების მიხედვით გავიანგარიშებთ, საქართველოს მოსახლეობის უარყოფითი მიგრაციული სალდო აღწერათაშორის პერიოდში დაახლოებით ერთი მლნ კაცით განისაზღვრა, რაც დაწვრილებითაა განხილული ამ კრებულში გ. წულაძის, ნ. მაღლაფერიძისა და ა. ვადაჭკორიას სტატიაში. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოსახლეობის აღწერა მეტად არასტაბილურ ვითარებაშია ჩატარებული და სავსებით ბუნებრივია აღურიცხაობის ალბათობაც. მიგრაციის სალდოს გაანგარიშებისას მოსახლეობის აღურიცხავი ნაწილი მთლიანად მიგრაციის სალდოს მიეწერება და მოსახლეობის რიცხოვნობისათვის დასაშვები აბსოლუტური ცდომილება მიგრაციის სალდოსთვის დასაშვებს სცილდება.

როგორც აღწერის შედეგებმა აჩვენა, გარე მიგრაციის სალდოში უმეტესობა არაქართველი მოსახლეობაა. იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და 2002 წლის იანვარში აღწერა ჩატარდა, არაქართველი მოსახლეობის წილი 1989-2002 წწ. 26,3%-დან

16,2%-მდე შემცირდა,[1] რაც მთლიანად ემიგრაციულმა პროცესებმა განაპირობა. განხილულ, ინტენსიური ემიგრაციის პერიოდში ჩვენი მეთოდური ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მიგრაციისა და ურბანიზაციის განყოფილებაში დამუშავდა 1993 წლის 10 ათასი მიგრანტის ჩაწერისა და ამოწერის ფურცლის მოსახევი ტალონი. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ წელს საქართველოს ყველაზე ინტენსიური მიმოცვლა ჰქონდა რუსეთთან (მიგრაციული სალდოს 61,9%), უკრაინასთან (8,6%), აზერბაიჯანთან (12,7%), სომხეთთან (2,5%), საბერძნეთთან (5,4%) და ისრაელთან (4,4%). აღნიშნულ უარყოფით სალდოში რუსია სალდოს 39,7%, აზერბაიჯანელი_ 14,7%, სომეხი_ 10,1%, ოსი_ 5,0%, ბერძენი_ 6,3%, უკრაინელი_ 6,1%, ებრაელი_ 5,3%. ამ პერიოდისთვის ქართველთა წილი მხოლოდ 8,4%-ია[2]. შემდგომ პერიოდში არაქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილის ქვეყნიდან გასვლის და ამით ამ ეროვნებების მიგრაციული პოტენციალის შესუსტების გამო, თანდათან ქართველთა საზღვარგარეთ მუდმივად წასვლის ინტენსიურობა და წილი იზრდება. მათი ემიგრაცია გაჭიანურებულმა კრიზისმაც განაპირობა. გამოკვლევებით დადგინდა, რომ 90-იანი წლების ემიგრაციის ძირითადი მიზეზები ეკონომიკურია.[3]

მიუხედავად მიგრაციულ ნაკადთა ძირითადი მიმართულებებისა და ზოგიერთი სტრუქტურული პარამეტრის განსაზღვრისა, სრულიად დაუმუშავებელია ემიგრაციული

---

[1] Итоги переписи в Грузии: грузины составляют 83,8% населения. Демоскоп, 2002, №119-120

[2] ტუხაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. თბ., 1996. გვ.14-15

[3] ჭიპაშვილი მ. თბილისის მოსახლეობის მიგრაცია. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1999. გვ.20; ბერულავა ნ. მიგრაციული პროცესები საქართველოს სამთომომპოვებელ რეგიონებში. თბ., თსუ, 2001. გვ.8

ვითარება შიგარეგიონებში. ამ მხრივ, განხორციელდა გამოკვლევა საქართველოს სამთომომპოვებელ ცენტრებში (ტყიბულისა და ჭიათურის სამრეწველო რაიონები), თბილისში, მაგრამ იგი მცირე ნაწილია საქართველოს მრავალრეგიონიანი სისტემისა და გამოკვლევის შედეგების განზოგადება და გავრცელება სხვა რეგიონებზე ხელშესახებ შედეგს ვერ მოგვცემს. ამასთან ერთად, აუცილებელია გარე სტაციონარული მიგრაციის პროგნოზული შეფასებებისა და შესაბამისი გაანგარიშებების გაკეთება.

1990-იანი წლები საქართველოს ისტორიაში შევა როგორც არნახული იძულებითი მიგრაციების დროის მონაკვეთი. აფხაზეთიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთიდან სეპარატისტული და რეაქციული გარე ძალებისაგან ინსპირირებული ეთნოწმენდის შედეგად ძალდატანებით გადაადგილდა თითქმის 300 ათასი კაცი, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა ქართველობაა. მიუხედავად დევნილთა მიმართ ყურადღებისა და სხვადასხვა ხასიათის პროგრამებისა, ჯერჯერობით მეცნიერულად არაა შეფასებული ამ პერიოდის იძულებითი მიგრაციებით მიყენებული «დემოგრაფიული ზარალი», დაკარგული შრომითი პოტენციალი. ურთულეს პროცესს წარმოადგენს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია, იძულებით გადაადგილებულთა თავიანთ საცხოვრისში დაბრუნება, რომელიც უნდა დაეყრდნოს მყარ მეცნიერულ შეფასებებს, პროგნოზულ გაანგარიშებებს, ამ მხრივ კი სერიოზული კვლევა არ მიმდინარეობს. ცალკეულ პირთა ეპიზოდური გამოკვლევები არ შეესაბამებიან პრობლემის მნიშვნელობას.

საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის არსებით მხარედ იქცა შრომითი ემიგრაცია. 1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისამდე იგი ძირითადად სამხრეთ საქართველოს არაქართველი მოსახლეობისათვის იყო

დამახასიათებელი, კრიზისის დროს კი მან მთელი საქართველო მოიცვა ფართო ეთნიკური სპექტრით. სხვადასხვა გამოკვლევებით, ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამუშაოდაა წასული 250-400 ათასი კაცი. შრომითი ემიგრაციის შესწავლის დარგში რამდენიმე ნაბიჯია გადადგმული, რომლის ზოგიერთი შედეგი ამ კრებულშია გამოქვეყნებული. კერძოდ, შერჩევითი გამოკვლევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგენილია XX საუკუნის 90-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გავლენა შრომით ემიგრაციულ პროცესებზე, გამოვლენილია შრომითი ემიგრაციის მიზეზები, მასშტაბები, ძირითადი მიმართულებები და ორგანიზების თავისებურებები, შრომით მიგრანტთა ნაკადების სტრუქტურულ-დემოგრაფიული მახასიათებლები, შრომით მიგრანტთა პროფესიულ-შრომითი და სოციალური ადაპტაციის მდგომარეობა, შრომით მიგრანტთა შემოსავლები და გზავნილები საქართველოში, მისი როლი საქართველოს მოსახლეობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაში და ა.შ.

ერთ-ერთი არსებითი ნიშანი, რომელიც თანამედროვე მიგრაციულ პროცესებს ახასიათებს, არის მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად გადანაწილების პროცესის ინტენსივობის უკიდურესი შემცირება და სრული შეუსაბამობა თანამედროვე ურბანიზებულობის დონესთან. დაირღვა სოფელსა და ქალაქს შორის მოსახლეობის გადანაწილების სტაბილური პროცესი. ამჟამად ქალაქსა და სოფელს შორის მოსახლეობის განაწილება სრულიად შეუსაბამოა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონისა. მოსახლეობის განაწილება ინდუსტრიული საზოგადოების ადეკვატურია, ხოლო სამუშაო ადგილთა სექტორულ-დარგობრივი განაწილება _ აგრარულიდან ინდუსტრიულზე გარდამავალი პერიოდისა. განსახლების კრიზისის დაძლევა და ქვეყნისშიგა ტერიტორიული მოძრაობის ნორმალიზაცია ურთულესი ამოცანაა, ღრმა მეცნიერულ კვლევას მოითხოვს, რაც საქართველოში თითქმის არ

მიმდინარეობს. საჭიროა სხვადასხვა დარგის ურბანისტ მკვლევართა გაერთიანება და განსახლების სისტემის ახალი სქემების დამუშავება, რომელსაც საფუძვლად საქართველოს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სქემები და პროგრამები დაედება საფუძვლად.

კრიზისის წლებში უკიდურესად შესუსტდა დასახლებათაშორისი შრომითი კავშირები. კრიზისამდელ პერიოდში შრომით ქანქარისებრ მიგრანტთა რაოდენობა საქართველოში 250 ათასს აღწევდა (1988წ.). ისინი შეადგენდნენ ქალაქად დასაქმებულთა 31,1%-ს, ყველაზე პატარა ქალაქებში კი_ 41,8%-ს. კრიზისის წლებში ქალაქად დასაქმების სფეროს შევიწროებისა და მიმოსვლის ხარჯების მეტისმეტი ზრდის გამო შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის ინტენსიურობა მინიმუმამდე შემცირდა. იყო პერიოდი, როცა იგი პრაქტიკულად შეწყდა. დიდი ნაწილი დასაქმდა თავისივე საცხოვრებელ პუნქტში და სოფლად გაჩენილი ჭარბმოსახლეობა გაზარდა. თუ ადრე საქართველოში არსებობდა მასშტაბური გამოკვლევები შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის შესახებ, ამჟამად მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის ეს ფორმა მკვლევართა ყურადღების მიღმაა. მის გარეშე კი ვერავითარი ურბანისტული სქემები ვერ დამუშავდება და წარმოუდგენელია შრომის რეგიონული ბაზრების რეგულირების რაიმე პროგრამების განხორციელება.

მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა, ჩვენში სასწავლო ხასიათის მიგრაციული პროცესები ნაკლებად შეისწავლებოდა. იგი ქვეყნის მიგრაციული მოძრაობის ნაწილია და დიდ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის რეგიონული გადანაწილების პროცესზე. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში არაბუნებრივი ხასიათი მიიღო ახალი არასახელმწიფოებრივი უმაღლესი სასწავლებლების დაარსების პროცესმა. სპეციალისტებზე მოთხოვნის კატასტროფული შეკვეცის

პირობებში სწრაფად გაიზარდა მათი მომზადება ორ ასეულ უმაღლეს სასწავლებელში. მათგან ბევრი ფუნქციონირებს რეგიონულ და ადგილობრივ ცენტრებში. ამან გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა სასწავლო მიგრაციის გეოგრაფიასა და მოცულობაზე. ცნობილი კანონზომიერებაა, რომ სასწავლო მიგრაცია შემდგომში გადაიზრდება მუდმივ მიგრაციაში. ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის პროგნოზულ მაჩვენებლებში. ჩვენში ყველა პირობა არსებობს სასწავლო მიგრაციის მეცნიერული შესწავლისა, რაც უნდა განხორციელდეს ახლო მომავალში უმაღლესი სასწავლებლების აქტიური მონაწილეობით და საბიუჯეტო-საკვლევ პროგრამებში მისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით.

კრიზისის პერიოდში შეწყდა ორგანიზებული მიგრაციები საქართველოში, რომელიც კრიზისის წინა ათწლეულებში მიმდინარეობდა, უმთავრესად, რეგიონების სამეურნეო-ეთნიკური ათვისების ნიშნით. ორგანიზებულ ჩასახლებათა ბევრი პროგრამა მათი განხორციელების რესურსების უქონლობის გამო შუა გზაზე შეჩერდა. ამიტომ ეკონომიკურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა, საიდანაც მასობრივი უმუშევრობის გამო მოსახლეობა იძულებულია, უცხოეთში გაქცევით უშველოს თავს, სრულიად უძლურია, განახორციელოს ე.წ. «თურქი მესხების» რეპატრიაციის პროცესი, მითუმეტეს, შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში. მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ორგანიზებული მიგრაციებისათვის საჭირო ეკონომიკური საფუძვლების შემდგომ გახდება შესაძლებელი ასეთი პროგრამების რეალიზაციაზე ფიქრი. თუმცა, აღნიშნულ შესაძლებლობათა შესწავლა და ორგანიზებულ ჩასახლებათა მეცნიერული საფუძვლების მომზადება ამჟამად უნდა მიმდინარეობდეს.

ამრიგად, დღის წესრიგში დგას საქართველოში მიგრაციული პროცესების კვლევის გააქტიურების

გადაუდებელი ამოცანა. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს თსუ შრომის ეკონომიკის კათედრასთან შეიქმნას მოსახლეობის მიგრაციის შემსწავლელი ცენტრი, თავდაპირველად, მეცნიერთა მცირე ჯგუფის სახით, რომელიც გამოკვლევათა შედეგების კვალობაზე გაფართოვდება და გაძლიერდება. ამისათვის კათედრა წლების განმავლობაში ამზადებდა მეცნიერ მიგრანტოლოგებს, თავისი სამეცნიერო მუშაობის თემატიკაში აქცენტს აკეთებდა მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის შესწავლაზე, რითაც წინაპირობებს უქმნიდა მიგრაციის პრობლემების გამოკვლევების გაფართოებას.

Mirian Tukhashvili

CONTEMPORARY MIGRATORY SITUATION AND STUDY OBJECTIVES OF POPULATION TERRITORIAL MOVEMENT IN GEORGIA

(Abstract)

After the restoration of independence the following essential points can be outlined in the population movement of Georgia:

- Constant mass emigration process has begun and it is on-going to date. At the initial stage the non-Georgian population departed abroad more intensively; then the Georgians emigration intensity gradually increased.
- Because of ethnic conflicts and ethnic cleansing the forced migration has included a large territory and the population was forcibly displaced within the country and dispersed in other countries as well.
- A high intensity labor migration has developed;
- Urbanization process became retarded; anti-urbanization phenomena arose; resettlement system was gripped by crisis;
- Labor pendulum migration has dropped to minimum;
- Intensity and directions of educational migration have changed;
- Domestic organized migrations have practically stopped; the potential of organized resettlement of twice deported "Turk-Meskhetians" in Georgia has increased twice.

In the situation of intensive territorial mobility of the population the migration optimization gains big importance. That is impossible because migration statistics are disordered and migration processes have not been studied at a proper level. It is necessary to enhance attention toward migration and elaborate scientifically the mechanism of its management. Institutions and separate researchers engaged in migration study must play a particular role in the scientific study of

migration processes. Namely, there are preconditions for setting up Population Migration Study Center at the department of Labor Economics (TSU). At first, the center should consist of a small group of researchers. Then after derived results of conducted researches it will enlarge and turn into a serious scientific team for solving migration-related problems.

თამაზ ზუბიაშვილი

საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები

საერთაშორისო მიგრაცია და მისი შესწავლა ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა, მაგრამ ბოლო ხანს მისადმი ინტერესი უფრო გაძლიერდა, მიზეზი მისი მასშტაბების ზრდაა. 2003 წლისათვის დაახლოებით 175 მლნ ადამიანი ცხოვრობდა იმ ქვეყნებში, რომლის მოქალაქენიც ისინი არ იყვნენ. მათი რაოდენობა მთელი მსოფლიო მოსახლეობის 3%-ს შეადგენს. საერთაშორისო მიგრაციის ინტენსივობა სწრაფი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუ 90-იან წლებამდე საერთაშორისო მიგრანტთა რიცხოვნობა ყოველწლიურად 2 მლნ ადამიანით მატულობდა, ამჟამად ზრდამ 3-4 მილიონს მიაღწია. საერთაშორისო მიგრაციის აღრიცხვა რთულია, რადგან ბევრი ქვეყანა მთლიანად ვერ აღრიცხავს მიგრაციულ ნაკადებს და იძლევა მიახლოებით შეფასებებს, რაც ხშირად ნაკლებად'სარწმუნოა. საერთაშორისო მიგრაციის ზრდას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო 90-იან წლებში მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკურმა მოვლენებმა, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩამოყალიბებამ, რამაც დამატებით წარმოშვა ახალი სახელმწიფო საზღვრები და ამ საზღვრების გადამკვეთთა რიცხოვნობა. მიგრანტი მოსახლეობა მსოფლიოში უთანაბროდაა განაწილებული. მსოფლიო მიგრანტი მოსახლეობის 60% ცხოვრობს განვითარებულ ქვეყნებში, 40% კი_ განვითარებად ქვეყნებში. სამოქალაქო ომები, კონფლიქტები, პოლიტიკური არასტაბილურობა უბიძგებს ადამიანებს, დასტოვონ თავიანთი მშობლიური ქვეყანა და თავშესაფარი ეძიონ სხვაგან. დღეს მსოფლიოს ყველა რეგიონშია პოლიტიკური ლტოლვილები, მაგრამ ამ მხრივ გამოირჩევა აფრიკა და დასავლეთი აზია, სადაც მთელ მსოფლიოში

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა ნახევარზე მეტი მოდის (27 მილიონი კაცი). ამჟამად მსოფლიოში მიგრანტთა დაახლოებით ერთი მესამედი თავმოყრილია მსოფლიოს 7 განვითარებულ ქვეყანაში (აშშ, კანადა, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და იაპონია), რომელთა მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 12%-ზე ნაკლებს შეადგენს. სავარაუდოა, რომ საერთაშორისო მიგრაციული ნაკადები მომავალშიც შენარჩუნდება. ამის მიზეზია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის უთანაბრო ზრდა, სამუშაოს შოვნის არათანაბარი შესაძლებლობა და ქვეყნებს შორის შრომის ანაზღაურებაში დიდი განსხვავება. ამას ემატება სამოქალაქო ომები, ეთნოკონფლიქტები, პოლიტიკური დევნა-შევიწროვება, რასაც ჯერჯერობით, ბოლო არ უჩანს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ უახლოეს წლებში საერთაშორისო მიგრაცია ბევრ პრობლემას შეუქმნის როგორც მიგრანტთა მიმღებ, ისე მიგრანტთა გამგზავნ ქვეყნებს. მიგრანტთა მიმღები (იმიგრაციის) ქვეყნებისათვის პრობლემატურია ის, რომ მათ უნდა დააბალანსონ უცხო სამუშაო ძალა და დაიცვან მათი უფლებები, რათა იმიგრანტებმა მიაღწიონ სასურველ ეკონომიკურ კეთილდღეობასა და პოლიტიკურ თავისუფლებას. პრობლემაა ისიც, რომ ამ ქვეყნების ხელისუფლება უნდა დაეხმაროს როგორც მიგრანტებს, ისე მათ შვილებს მოქალაქეობის მიღებაში და, საერთოდ, მათი მომავლის გარკვევაში. ბევრი ქვეყნის მოსახლეობა მეტად უკმაყოფილოა და სხვადასხვა ფორმით პროტესტს გამოხატავს, რათა შემცირდეს იმიგრაცია მათ ქვეყნებში. ასე მაგალითად, გერმანიაში გახშირდა თავდასხმები უცხოელ მოქალაქეთა ოჯახებზე, საფრანგეთის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თავის მიზნად დაისახა ქვეყანაში იმიგრაციის შემცირება-შეჩერება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სულ უფრო მეტი თანხები გამოყო სახელმწიფო საზღვრების კონტროლისა და დაცვის მიზნით. კანადაში

ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებიც ადასტურებენ იმიგრაციისადმი კანადელთა უკმაყოფილებას. სინგაპურმა მკაცრი შეზღუდვა შემოიღო უცხოელ მუშათა დასაქმებაზე. არგენტინის მთავრობამ დადგენილება მიიღო, არალეგალურად შემოსულ მიგრანტთა შვილები არ დაუშვან საშუალო სკოლებში, ხოლო ვინც სწავლობს - გამორიცხონ იქიდან. დღეს მსოფლიოში ყველაზე მეტი ემიგრანტი მექსიკასა და ფილიპინებს ჰყავთ. მექსიკიდან საზღვარგარეთ წასულია დაახლოებით 10 მლნ, ხოლო ფილიპინებიდან – 7,6 მილიონი ემიგრანტი. ცალკეულ ქვეყნებში უკვე დაიწყო მიგრაციის მუდმივი კონტროლის განხორციელება. 1993 წელს გერმანიამ მიიღო დადგენილება, რითაც 70%-ით შეამცირა იმიგრანტთათვის თავშესაფრის მიცემა. 1995 წელს აშშ-მა, ახალი კანონით, 50%-ით შეამცირა თავშესაფრის მძებნელთა დაკმაყოფილება. ბევრი ექსპერტი იმიგრაციის კონტროლის ასეთ ფორმას სკეპტიკურად უყურებს. მათი აზრით, იგი ხანმოკლე წარმატების მომტანია, მათ მიაჩნიათ, რომ იმიგრაცია უნდა შეიზღუდოს არა გადაულახავი ზღუდეებით, არამედ ინტენსიური იმიგრაციის ქვეყნები უნდა დაეხმაროს ემიგრაციის ქვეყნებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ომებისა და ეთნოკონფლიქტების თავიდან აცილებასა და მოგვარებაში, ადამიანთა უფლებების დაცვაში, რათა ამ ქვეყნების მოსახლეობას აღარ დასჭირდეს სამშობლოს დატოვება და სხვა ქვეყანაში ბედის ძიება. დღეისათვის ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა ითვლება მსოფლიოში მიგრანტთა ყველაზე ძლიერ მიმზიდველ ქვეყნებად. 2003 წლისათვის ამ ორ ქვეყანაზე მოდიოდა 41 მლნ მიგრანტი მაშინ, როცა ამ ქვეყნების მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენდა. ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს 35 მლნ მიგრანტი. ექსპერტთა შეფასებით, ყოველწლიური არალეგალური იმიგრაცია აშშ-ში 300 ათასს შეადგენს. ბოლო წლებში, ქვეყნის ხელისუფლების მიერ მიღებული შეზღუდვების მიუხედავად, ეს რაოდენობა არ

მცირდება. სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, აშშ-ში იმიგრაციას საერთაშორისო დახმარებებისა და სავაჭრო შეთანხმებების გაფართოება, უცხოურ ბიზნესში კაპიტალდაბანდებების გაზრდა შეანელებს. სპეციალისტთა მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ იმიგრაციაზე მოქმედი ფაქტორები მეტად ძლიერია და უახლოეს მომავალში აშშ-ში იმიგრაცია ისევ მაღალ დონეზე დარჩება. პროფესორ უილიამ ჰარის მტკიცებით, XXI საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს აშშ-ში ეთნიკური უმცირესობა უკვე უმრავლესობად გადაიქცევა. კანადაც ინტენსიური იმიგრაციის ქვეყანაა. აქ იმიგრანტები უმთავრესად ჩამოდიან აზიიდან (ჩინეთი, ტაივანი, ჰონგკონგი, ინდოეთი, შრი-ლანკა, ფილიპინები, ვიეტნამი). უფრო ნაკლები რაოდენობით შემოდიან აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან. ევროპელები იმიგრანტთა მხოლოდ 18%-ს შეადგენენ. კანადის ყოველწლიური იმიგრაცია 300 ათას კაცს შეადგენს. ემიგრაცია კი დაახლოებით 80 ათასი კაცია. საერთო ჯამში, ეთნიკურად და ენობრივად ეს ქვეყანა სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. აშშ-ს და ბევრი ევროპული სახელმწიფოს მსგავსად, კანადამაც უფრო მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკა აირჩია. 1994 წლის ნოემბრიდან კანადამ იმ იმიგრანტთა გამიზნული რაოდენობის შემცირება დაიწყო, რომელთაც სურთ ქვეყანაში დასაქმება. ევროპა ტრადიციულად ემიგრაციის წყარო იყო. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე 50 მლნ-ზე მეტი ევროპელი გადასახლდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში. 1960-იანი წლებიდან სიტუაცია შეიცვალა და ამჟამად მილიონობით იმიგრანტი ჩადის ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. 90-იან წლებში ეს ქვეყნები ყოველწლიურად ღებულობდნენ დაახლოებით 2 მლნ კაცს, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე აშშ. შემოსულთა უმეტესი ნაწილი ყოფილი კომუნისტური ქვეყნებიდან, ძირითადად კი ყოფილი

იუგოსლავიიდან ემიგრირებული თავშესაფრის მაძიებელნი იყვნენ. ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობა, აშშ-საგან განსხვავებით, ადვილად ვერ ეგუება უცხო ეროვნებათა ჯგუფებთან ინტეგრაციას. ევროპასა და აშშ-ში ტერმინი «უცხოელი» განსხვავებულად აღიქმება. აშშ-ში იმიგრანტს 5 წლის ლეგალურად ცხოვრების შემდეგ უფლება აქვს მიმართოს ქვეყანას მოქალაქეობის მისაღებად. ბავშვი, რომელიც უცხოელმა დაბადა აშშ-ში, კონსტიტუციის თანახმად, ითვლება ამ ქვეყნის მოქალაქედ. ევროპის ბევრ ქვეყანაში უცხოელი იწოდება არა მისი დაბადების ადგილის მიხედვით, არამედ ეთნიკური ნიშნის, ან თავისი წარმომავლობის მიხედვით. გერმანიაში ყველა არაგერმანელი წარმომავლობის პირი უცხოელია. გერმანიაში დაბადებული და გაზრდილი იმიგრანტთა შვილები მაინც უცხოელებად ითვლებიან. ხოლო რუსეთში დაბადებულ-გაზრდილი გერმანულის უცოდინარი გერმანელები გერმანიაში დაბრუნებისთანავე გერმანიის სრულუფლებიან მოქალაქეებად მიიჩნიეს. საერთოდ ევროპის ქვეყნების მოქალაქეობის მიღება გაცილებით რთულია, ვიდრე ჩრდილოეთი ამერიკის ქვეყნებისა. ევროპის ქვეყნებში იმიგრაციისადმი მეტად არასასიამოვნო განწყობა სუფევს. 1995 წელს საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს თითქმის ყოველმა მეექვსე ამომრჩეველმა მხარი დაუჭირა ეროვნული ფრონტის პარტიას, რომლის პლატფორმა ითვალისწინებდა იმიგრაციის შეჩერებას და უცხოელთა ქვეყნიდან გაძევებას. გერმანიაში 1992 წლიდან უცხოელებზე თავდასხმებმა მასიური ხასიათი მიიღო. იტალია, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში მიგრანტთა ექსპორტიორ ქვეყნად ითვლებოდა, ახლა თვითონ გადაიქცა იმიგრაციის ქვეყნად. ამიტომ ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომელიც ზღუდავს იმიგრაციას. ამჟამად იტალიაში დაახლოებით 2 მლნ იმიგრანტია. ევროპაში მიგრანტთა უმეტესი ნაწილი (60%) საფრანგეთსა დ გერმანიაში იმყოფება. საფრანგეთში ითვლიან 6 მლნ იმიგრანტს, რაც ქვეყნის

მოსახლეობის 10,1%-ს შეადგენს. გერმანიაში კი 7 მლნ იმიგრანტია, რაც ქვეყნის მოსახლეობის 8,5%-ია. პატარა ქვეყნებში უცხოელები ცოტანი არიან, მაგრამ ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში მათი წილი დიდია. მაგალითად, ლუქსემბურგის მოსახლეობის 31% უცხოელია, შვეიცარიაში – 18%, ბელგიაში – 9,1%, ავსტრიაში _ 8,6%. აზიაში, სადაც მსოფლიო მოსახლეობის 60% ცხოვრობს, მიგრაციის სამი ძირითადი ნაკადი გამოიყოფა. პირველია ემიგრაცია აზიიდან ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. 90-იან წლებში ყოველწლიურად 0,5 მლნ აზიელი ჩადის ამ რეგიონებში. ემიგრაციაში უმთავრესად ფილიპინელები, ჩინელები, ინდოელები, ბანგლადეშელები და ინდონეზიელები მიდიან. მეორე სახის მიგრანტთა დიდი ნაკადი წარმოშვა 1979 წელს ავღანეთში საბჭოთა კავშირის სამხედრო ინტერვენციამ, რამაც თავისი მშობლიური ქვეყანა დაატოვებინა დაახლოებით 5 მლნ ავღანელს; ბევრი ავღანელი უკვე დაუბრუნდა თავის ქვეყანას, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეფასებით ჯერ კიდევ 1,6 მლნ ავღანელი ლტოლვილია დარჩენილი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში და 1 მლნ-ზე მეტი_ პაკისტანში. მესამე სახის დიდი მიგრაციული ნაკადია შრომითი მიგრაცია აზიის ფარგლებში. იგი ძირითადად დაკავშირებულია ახლო აღმოსავლეთში 70-იან წლებში დაწყებული ნავთობის წარმოების ბუმთან, რამაც დიდძალი მუშახელი მიიზიდა. აზიაში შრომით მიგრაციულ ნაკადებს პირითადად 7 ქვეყანა იზიდავს. ეს ქვეყნებია: იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰონგ-კონგი, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია და ტაილანდი. ხოლო შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი, ინდონეზია, ფილიპინები და კვლავ მალაიზია და ტაილანდი. 1996 წლისათვის ტაილანდში იმყოფებოდა დაახლოებით 700 ათასი უცხოელი მუშა, მაშინ როცა 500 ათასი ტაილანდელი სამუშაოდ იყო წასული უმთავრესად, საუდის არაბეთსა და სინგაპურში. 80-იან წლებში სამხრეთ კორეა ინტენსიური ემიგრაციის ქვეყნად ითვლებოდა.

მაგალითად, 1982 წელს სამხრეთ კორეადან გავიდა 200 ათასი მუშა, რომლებიც ძირითადად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში წავიდნენ სამუშაოდ. 10 წლის შემდეგ კი კორეა თვითონ გახდა შრომითი რესურსების იმპორტიორი; ამჟამად კორეელთა შრომითი ემიგრაცია მინიმუმამდეა შემცირებული. კორეა ეკონომიკურად სწრაფად ვითარდება. აქაური პროდუქცია გამოირჩევა უმაღლესი ხარისხით, საერთაშორისო ბაზარზე დიდი კონკურენტუნარიანობითა და მაღალი ფასით. ამიტომ მუშათა ხელფასიც საკმაოდ დიდია და მათი სხვაგან ემიგრაცია აღარაა ხელსაყრელი. აფრიკაში მოსახლეობის მიგრაციული მოძრაობის ორი სახე არსებობს. ესაა დროებითი შრომითი მიგრაცია და ლტოლვილთა იძულებითი მოძრაობა. აფრიკის კონტინენტზე, სადაც მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 12% ცხოვრობს, იმყოფება მსოფლიოში ლტოლვილთა რიცხოვნობის მესამედი. ზოგ შემთხვევაში ორი მეზობელი ქვეყანა ერთმანეთს «უცვლის» ლტოლვილებს. მაგალითად, მავრიტანელი ლტოლვილები თავს აფარებენ მალის, ხოლო მალიელი ლტოლვილები მავრიტანიას. აფრიკაში ლტოლვილთა ყველაზე დიდი რაოდენობა რუანდიდანაა გაქცეული. დაახლოებით 2 მლნ რუანდელი ლტოლვილი იმყოფება ზაირსა და ტანზანიაში. ბევრი ლტოლვილი უკვე დაბრუნდა რუანდაში, მაგრამ ეთნიკურ ჯგუფებს შორის გაუთავებელი კონფლიქტების გამო სიტუაცია კვლავაც დაძაბული რჩება. დასავლეთ აფრიკაში, კერძოდ ლიბერიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის გამო 750 ათასმა ლტოლვილმა დატოვა სამშობლო და თავი შეაფარა გვინეას და კოტ-დივუარს. აღმოსავლეთ აფრიკაში, ბურუნდელი ლტოლვილები იმყოფებიან ზაირსა და ტანზანიაში, სომალელი ლტოლვილები_ ეთიოპიაში, სუდანელი ლტოლვილები_ კენიასა და ეთიოპიაში. 16 წლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ მოზამბიკში დაბრუნდა 1,7 მლნ მოზამბიკელი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, ზიმბაბვედან, მალავიდან და სხვა ქვეყნებიდან. თუმცა, დაახლოებით 300 ათასი მოზამბიკელი

ლტოლვილი ჯერ კიდევ იმყოფება თავისი ქვეყნის გარეთ, უმთავრესად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. აფრიკაში შრომითი მიგრაციის შესახებ ინფორმაცია მეტად მწირია. კონტინენტზე აღინიშნება ერთი დიდი შრომითი მიგრაციული ნაკადი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებიდან მიემართება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისაკენ. შრომითი მიგრაციის ნაკადები მიედინება დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში (ნიგერია, კოტ-დივუარი) და ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც სამუშაოს შოვნის მეტი შანსია. ამიტომაცაა, რომ უცხოელები კოტ-დივუარის მოსახლეობის (16,8 მლნ 2002 წ.) 30%-ს შეადგენენ. თითქმის 1,5 მლნ უცხოელია ლიბიაში, რომლის მოსახლეობა მხოლოდ 5,4 მლნ-ს აღწევს. ინტენსიური მიგრაციის რეგიონია ახლო აღმოსავლეთიც, სადაც XX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის მიგრაციული მოძრაობის დიდი ინტენსივობა აღინიშნება. ახლო აღმოსავლეთი მოიცავს ქვეყნებს, რომლებსაც ახასიათებთ ასეულ ათასობით შრომითი მიგრანტის იმპორტი და ექსპორტი. ამავე დროს, ეს რეგიონი მილიონობით ლტოლვილს მასპინძლობს, რომელიც გაჩნდა ეთნოკონფლიქტების, ომების და ტოტალიტარული რეჟიმების გამო. ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში მილიონობით უცხოელი მუშა ჩადის, რადგან ამ ქვეყნების შრომითი რესურსების რიცხოვნობა და მათი კვალიფიკაცია საკმარისი არ აღმოჩნდა ქვეყნის განვითარებისათვის. ამ რეგიონში 'უცხოელი მუშების უმეტეს ნაწილს მეზობელი ქვეყნების აზიელები ან არაბები შეადგენენ. ეგვიპტე, რომლის მოსახლეობა 71,2 მილიონია, ახლო აღმოსავლეთში შრომითი რესურსების ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორია. შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნებია, აგრეთვე, იორდანია, იემენი, სუდანი. სამუშაო ძალის დამქირავებლები არაბებთან შედარებით 'უპირატესობას აზიელ მუშებს ანიჭებენ, რადგან აზიელები ჯერ ერთი დაბალ ანაზღაურებას სჯერდებიან, ამასთანავე, თავიანთი ოჯახის წევრები ნაკლებად ჩამოჰყავთ. გარდა ამისა,

არაბებისაგან განსხვავებით, აზიელები რეგიონში არ ჰქმნიან პოლიტიკურ დესტაბილიზაციას. აზიელთა უმეტესობა ბანგლადეშელები, ინდოელები, პაკისტანელები, შრი-ლანკელები, აგრეთვე, ინდონეზიელები, ტაილანდელები და ფილიპინელები არიან. 1990 წელს სპარსეთის ყურეში ომის დაწყების გამო ათასობით უცხოელმა მუშამ მიატოვა კუვეიტი და დაბრუნდა თავის სამშობლოში. 1991 წელს, როდესაც ომი დამთავრდა, კუვეიტის მთავრობამ გამოაცხადა, რომ აღარასოდეს დაუშვებდა იმას, რომ თავიანთ ქვეყანაში კუვეიტელები ეროვნული უმცირესობანი ყოფილიყვნენ. მაინც, 1995 წლის მონაცემებით კუვეიტელები ქვეყნის მოსახლეობის (1,9 მლნ) მხოლოდ 40%-ს და სამუშაო ძალის 20%-ს შეადგენენ. 2003 წელს ათასობით სირიელმა, სუდანელმა, ეგვიპტელმა და სხვა ქვეყნების შრომითმა მიგრანტებმა მიატოვა ერაყი აქ დაწყებული ომის გამო. ისრაელი ერთადერთი ქვეყანაა ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ხელს უწყობს მუდმივ იმიგრაციას. იგი ცდილობს ებრაელების მთელი მსოფლიოდან მოზიდვას. 1985-1996 წლებში ქვეყნის მოსახლეობის მატებაში იმიგრაციამ თითქმის ნახევარი – 48% შეადგინა. 1989-1995 წლებში საბჭოთა კავშირიდან ისრაელში გადასახლდა დაახლოებით 700 ათასი ებრაელი, ქვეყნის მოსახლეობის 10%. ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები ევროპელი იმიგრანტებისათვის ტრადიციული თავმოყრის ადგილი იყო. XXVII საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე კი იქ ჩაჰყავდათ აფრიკელი მონები. ახლა კი ამ რეგიონიდან უდიდესი მიგრაციული ნაკადები მიემართება უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ. ბოლო 20 წლის განმავლობაში ამ რეგიონიდან აშშ-ში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა გაიზარდა. თუმცა მიგრაციულ ნაკადებში მაინც შრომითი მიგრაცია ჭარბობს. პოლიტიკური მოტივით დიდი რაოდენობით ლტოლვილი ტოვებს კუბას, გვატემალას, ელ სალვადორს, ჰაიტს, ნიკარაგუას. მათი უმეტესი ნაწილი აშშ-ში გადადის. 1985-1995 წლებში აშშ-

ში დაახლოებით 450 ათასმა ცენტრალურმა ამერიკელმა ჰპოვა პოლიტიკური თავშესაფარი. აშშ-ისთვის ლტოლვილების ერთ-ერთი მთავარი წყარო კუბაა. კუბელ ლტოლვილთა ყოველწლიურად მზარდმა რაოდენობამ აიძულა აშშ-ის ხელისუფლება, შემოეღო მკაცრი შეზღუდვები კუბელთათვის და დააწესა სპეციალური კვოტა, რომლის თანახმადაც, ყოველწლიურად მხოლოდ 20 ათას კუბელს მიეცა აშშ-ში ლეგალურად გადასვლის უფლება. ლათინურ ამერიკაში ფართოდ არის გავრცელებული შრომითი მიგრაცია. ხშირად შრომითი მიგრაცია სეზონურ ხასიათს ატარებს, რაც დაკავშირებულია ამ რეგიონის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან. შრომითი მიგრაციული ნაკადები ძირითადად მიემართებიან ისევ აშშ-სა და მექსიკაში. შრომითი მიგრაციის სხვა ნაკადები მიმართულია ბრაზილიიდან პარაგვაისაკენ, კოლუმბიიდან ვენესუელასაკენ, პარაგვაიდან და ბოლივიიდან არგენტინისაკენ.

ამრიგად, მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების უთანაბრობა წარმოშობს ქვეყნებს შორის დიდი მასშტაბის მიგრაციულ ნაკადებს. იგი თან ახლავს მსოფლიო განვითარების პროცესს. თუ პოლიტიკური მიგრაციები შეიძლება საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით ახლო მომავალში შემცირდეს, ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული მიგრაციის ინტენსივობის შენელების პერსპექტივა დროის თვალსაწიერ მონაკვეთში არ ჩანს. საერთაშორისო მიგრაციას მრავალი დადებითი მხარე აქვს და მართვის შემთხვევაში მსოფლიო განვითარების თანმხლებ დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

Tamaz Zubiashvili

CONTEMPORARY TENDENCIES OF INTERNATIONAL MIGRATION
(Abstract)

International migration has always drawn a big attention but the interest toward it has especially increased recently. The reason is the growth of its volume. By 2003, about 175 million people lived outside their country of birth or citizenship. They account for about 3 percent of the world's population and are expanding by 3 million to 4 million annually. In part because of the increasing numbers, immigration has leaped to the top of the policy agenda in many of the world's major economic powers.

Seven of the world's wealthiest countries (Germany, France, United Kingdom, United States, Italy, Japan and Canada) have about one-third of the world's migrant population.

The United States and Canada are two of the world's strongest magnets for international migrants. The two countries contain about 20 percent of the world's migrant stock, although they hold only about 5 percent of world population. In Europe foreigners are concentrated in a few countries – nearly 60 percent are in France and Germany alone. In smaller countries, foreigners may be few in number, but constitute a high percentage of total residents.

There are two major types of migration in Asia. The first is the significant emigration of "settlers" from Asia to North America and Australia. The second type of flow is labor migration from and within the region.

Population movements in Africa have been dominated by temporary labor migration and refugee movements in the 1990s. Although refugee flows have overwhelmed other types of migration in the region – in numbers and in international attention – labor migration remains important in many parts of Africa.

The Middle East, which stretches from Western Asia into North Africa, has witnessed dramatic and extensive population movement in the past half century. The Middle East includes countries that export and import hundreds of thousands of labor migrants. It also produces and hosts millions of refugees.

Latin America and the Caribbean were traditional destinations for European immigrants, and for time African slaves, between the 17th and early 20th centuries. In the 1990s the largest migration flows were out of the region – especially from Central America and the Caribbean to the United States. U.S. immigrants from Latin America are numerous and diverse. Over the past two decades they have included large numbers of asylum-seekers, family members of U.S. residents, temporary labor migrants, and illegal immigrants. In the mid-1990s most population movement within the region was labor migration.

გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდო აღწერათაშორის პერიოდში (1989-2001წწ.)

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსათვის ბოლო 40-ზე მეტი წლის განმავლობაში გარე მიგრაციის სალდო უარყოფითი იყო და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის (შემდგომში სსსდ) ბოლო დროს დაზუსტებული მონაცემებით 1960-1988 წლების პერიოდში 421,1 ათასი შეადგინა[1].

1990-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს მოჰყვა მოსახლეობის

1 გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება. თბილისი, 2002. გვ. 144

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, რამაც თავის მხრივ გაზარდა გარე მიგრაციული პროცესების ინტენსივობა.

იმავე დროს გაუარესდა გარე მიგრაციის (ისევე, როგორც სხვა დემოგრაფიული პროცესების) აღრიცხვა.

სსსდ აქამდე არსებული დაზუსტებული მონაცემებით 1989-2001 წლების პერიოდში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო მხოლოდ 153,2 ათასის ტოლი იყო, მათ შორის 1995-1999 წლებში – 33,5 ათასი.

იმავე დროს, რუსეთის ოფიციალური მონაცემებით, გარე მიგრაციის სალდო რუსეთსა და საქართველოს შორის 1995-1999 წლების პერიოდში 138,1 ათასის ტოლი იყო[2], ანუ 4-ჯერ მეტი.

ამასთან, რუსი ექსპერტების შეფასებით, სინამდვილეში, შესაძლებელია უფრო მაღალი მაჩვენებლების არსებობა, ვინაიდან ყველა მიგრანტი არ რეგისტრირდება[3].

ცხადი გახდა, რომ გარე მიგრაციის არსებული სტატისტიკა ვერ ასახავდა გარე მიგრაციის ფაქტობრივ ინტენსივობას.

ალბათ, ამის შედეგი იყო ის, რომ ოფიციალური, სსსდ მონაცემების გარდა, გარე მიგრაციის შესახებ გაჩნდა სხვადასხვა შეფასება.

ერთ-ერთ პირველ ასეთ შეფასებას მიეკუთვნება გ. წულაძის, მ. ხმალაძის, გ. მელაძის, გ. წულაძის, რ. გაჩეჩილაძის და თ. გუგუშვილის გაანგარიშებები.

გ. წულაძისა და მ. ხმალაძის შეფასებით, გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1992-1994 წლებში დაახლოებით 600 ათასი შეადგინა[4].

---

2 Население России 2000. Отв. ред. А.Г. Вишневский. М., 2001. с.108

3 Население России 1996. Отв. ред. А.Г. Вишневский. М., 1997. с.136

4 წულაძე გ., ხმალაძე მ. რამდენი ვიყავით, რამდენი ვართ. «საქართველო», №10 (1448), 1996. გვ. 6

გ. მელაძისა და გ. წულაძის შეფასებით, გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ საქართველოსათვის, 1990-1996 წლებში, შეადგინა 1006 ათასი[5].

იმავე პერიოდისათვის (1990-1996წწ.), რ. გაჩეჩილაძის შეფასებით გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო დაახლოებით 620 ათასი იყო[6].

თ. გუგუშვილის შეფასებით, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1990-1997 წლებში 820 ათასი იყო[7]. მისივე ახალი შეფასებით გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1990-2000 წლების პერიოდისათვის 995,2 ათასს შეადგენდა[8].

გ. წულაძის, ნ. მაღლაფერიძისა და ა. ვადაჭკორიას ახალი შეფასებით, საქართველოსათვის, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო, 1990-2001 წლებში, 1008,9 ათასის ტოლად იყო განსაზღვრული[9].

გაეროს ექსპერტთა შეფასებით, გარე მიგრაციის სალდო საქართველოსათვის 1995-2000 წლებში უარყოფითი იყო და საშუალოდ წელიწადში 80 ათასს შეადგენდა[10], ანუ აღნიშნული მთელი პერიოდისათვის 480 ათასს აღწევდა.

როგორც ვხედავთ, გარე მიგრაციის შესახებ სხვადასხვა ავტორის შეფასება განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ საერთო

---

5 მელაძე გ., წულაძე გ. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, 1997. გვ. 19

6 გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები. თბილისი, 1997. გვ. 36

7 გუგუშვილი თ. საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თბილისი, 1998. გვ. 52

8 თ. გუგუშვილის მოცემული შეფასება მისი ნებართვით გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომში: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება. თბილისი, 2002. გვ. 148

9 წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2001. თბილისი, 2002. გვ. 153

10 World Population Prospects. The 1998 Revision. Volume I: Comperehensive Tables. UN, N.Y., 1999. p. 200.

მათ შორის ის არის, რომ გარე მიგრაციის აღნიშნული შეფასებები გაცილებით უფრო დიდ მასშტაბს გულისხმობს, ვიდრე ეს ოფიციალური მონაცემებიდან გამომდინარეობს.

იბადება კითხვა: როგორი უნდა ყოფილიყო გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო საქართველოსათვის აღწერათაშორის პერიოდში (1989-2001წწ.)?

მოცემულ კითხვაზე პასუხი 2002 წლის იანვარში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგებს უნდა გაეცა პასუხი. აღწერის ბლანკები შეიცავდა გარე მიგრაციის დასადგენ კითხვათა ბლოკს.

სამწუხაროდ, სხადასხვა მიზეზის გამო, გარე მიგრაციის დასადგენ კითხვათა ბლოკმა ვერ «იმუშავა».

ამის მიუხედავად, ქვემოთ მოყვანილი ირიბი მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია გარე მიგრაციის სალდოს განსაზღვრა საქართველოსათვის აღწერათაშორის პერიოდში.

1989 წლის იანვარში ჩატარებული მოსახლეობის აღწერით საქართველოს მუდმივმა მოსახლეობამ შეადგინა 5400,8 ათასი, ხოლო 2002 წლის იანვარში ჩატარებული მოსახლეობის აღწერით – 4371,5 ათასი.

ირიბი მეთოდით გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს განსაზღვრა მათ შორის სხვაობას ეფუძნება, რომელმაც 1029,3 ათასი შეადგინა.

როგორც ცნობილია 2002 წლის მოსახლეობის აღწერამ საქართველოში ვერ მოიცვა არაკონტროლირებადი ტერიტორიები (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი). ამიტომ გასათვალისწინებელია 1994 წლის 1 იანვრისათვის არაკონტროლირებად ტერიტორიებზე დარჩენილი მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც იმ დროისათვის 278,8 ათასის ტოლი იყო.

ანუ, აღწერათაშორის მიღებულ მოსახლეობის რაოდენობათა სხვაობას (1029,3 ათასი) უნდა დააკლდეს 278,8 ათასი, რაც 750,5 ათასის ტოლი იქნება.

მიღებულ რიცხვს (750,5 ათასი) უნდა მიემატოს აღწერათაშორის პერიოდში არსებული ბუნებრივი მატება, რომელიც სსსდ მონაცემებით 248,0 ათასი იყო (750,5 ათასი + 248,0 = 998,5 ათასი).

ანუ აღწერათაშორის პერიოდში (1989-2002წწ.), სსსდ მონაცემებიდან გამომდინარე, გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ საქართველოსათვის შეადგინა 998,5 ათასი.

Giorgi Tsuladze, Nika Maglaperidze, Alexander Vadachkoria

NET EXTERNAL MIGRATION OF THE POPULATION OF GEORGIA BETWEEN THE CENSUSES (1989 -2001)

(Abstract)

The upheavals taking place in Georgia in the 1990s entailed the growth of the external migration intensity.

At the same time recording of migration got worse.

According to the most recent data of the Georgian State Department for Statistics the net external migration amounted to 153.2 thousand during the period of 1989-2001.

In various estimations, the negative net external migration in 1989-2001 reached 1 million and it was somewhat even more.

The net external migration between the censuses should have been accurate on the grounds of the results derived from the census conducted in January 2002 in Georgia.

The system of questions prepared for that purpose did not "work."

Despite this, it is possible to determine the net external migration between the censuses by the indirect method.

In using this method, we can take into account the difference of the population number drawn from the census, natural increase for the same period and the number of the population residing on the territory not controlled by Georgia (Abkhazia, Tskhinvali region) until 1994.

By using of the noted method it has been found that net external migration for Georgia between the censuses (1989-2001) made up 998.5 thousand.

მარკ ჰულსტი

საქართველოდან ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ინსტიტუციონალური და სამართლებრივი სტრუქტურების ანალიზი

საქართველო ძირითადად ადამიანთა ტრეფიკინგის წყაროს წარმოადგენს, ზოგჯერ კი ტრანზიტული ქვეყნის როლშია. არსებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველო დანიშნულების ქვეყნადაც გვევლინება, თუმცა ზუსტი მაჩვენებლები ცნობილი არ არის[1]. 2000–2001 წლებში მსო-მ ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანი იყო საქართველოდან, საქართველოს გავლით და საქართველოში ადამიანთა ტრეფიკინგის მასშტაბებისა და ტენდენციების დადგენა (მსო თბილისი, 2000; 2001). კვლევამ აჩვენა, რომ ტრეფიკინგი საქართველოში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ტრეფიკერები ხშირად ბოროტად იყენებენ თავიანთი მსხვერპლების მწირ და არასწორ ინფორმირებულობას საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობებისა და რეალური სიტუაციის შესახებ და ახდენენ მათ ექსპლუატაციას მონურ პირობებში, სექსუალური მომსახურების სფეროში, სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო ობიექტებზე მათი იძულებით დასაქმებით. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ადამიანთა ტრეფიკინგის არსებობა უკავშირდება შესაბამისი ანტი-ტრეფიკინგის კანონმდებლობის არარსებობას და საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

ტრეფიკინგის ქართველ მსხვერპლთა დანიშნულების ძირითადი ქვეყნებია თურქეთი, საბერძნეთი, ამერიკის

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით საქართველოს ბორდელებში ხდება რუსი და უკრაინელი ქალების ტრეფიკინგი. ფაქტია, რომ ქალები ამ ქვეყნებიდან თბილისის ბორდელებში მუშაობენ.

შეერთებული შტატები და ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყანა, როგორიცაა საფრანგეთი, ესპანეთი, ნიდერლანდები და გერმანია. სხვა ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, ქართველ ქალთა ტრეფიკინგი ხდება, აგრეთვე, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (მსო ბაქო, 2002). მსო-ს 2000 და 2001 წლების კვლევების თანახმად, ტრეფიკინგის ტიპიური მსხვერპლნი არიან ახალგაზრდა ქალები, ხშირად გასათხოვარი ან გაშორებული, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საზღვარგარეთ სწავლით ან დროებით დასაქმებით.

ბოლო დრომდე საქართველოს მთავრობა არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული ტრეფიკინგის შესახებ და არ ჰქონდა გაცნობიერებული ამ პრობლემის სასწრაფო მოგვარების აუცილებლობა. თუმცა ცოტა ხნის წინ მან გამოხატა მზადყოფნა, ჩამოაყალიბოს ეროვნული ანტი-ტრეფიკინგის პოლიტიკა. ამის შედეგია რამდენიმე საკვანძო ეტაპი, როგორიცაა ეროვნული ანტი-ტრეფიკინგის სამოქმედო გეგმისა და ანტი-ტრეფიკინგის კანონმდებლობის მიღება, შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური განყოფილების შექმნა, რომელიც დაკავდება ტრეფიკინგის საკითხებით. 2003 წლის ივნისში შეიქმნა უწყებათაშორისი სამთავრობო კომიტეტი, რომლის მიზანია ანტი-ტრეფიკინგის ეროვნული სამოქმედო გეგმის კოორდინირება. თუმცა აღნიშნულ ღონისძიებებს ჯერ-ჯერობით რაიმე კონკრეტული და საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია. სამთავრობო პოლიტიკის გატარება ხშირად ფერხდება დაფინანსების ნაკლებობისა და სამთავრობო სტრუქტურების არაკოორდინირებული ქმედებების გამო.

2003 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს მთავრობის ძალისხმევა არასაკმარისად ჩათვალა და ადამიანთა ტრეფიკინგის ანგარიშში საქართველო მეორედან მესამე ჯგუფში გადაიყვანა. მეორე ჯგუფში შედიან ქვეყნები, რომლებიც მთლიანად ვერ შეესაბამებიან ანტი-ტრეფიკინგის მინიმალურ სტანდარტებს, მესამე ჯგუფში კი ქვეყნები,

რომლებსაც დიდი ძალისხმევა არ გამოუჩენიათ, რათა ამ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდნენ. ანგარიშში ნათქვამია:

«საერთაშორისო ორგანიზაციები 2000 წლიდან მოყოლებული სულ უფრო აქტიურად ერთვებიან ანტი-ტრეფიკინგის საკითხებში. მსო-ს აღნიშნული კვლევითი პროექტებიდან საქართველოში ტრეფიკინგის საკითხის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მსო 2002 წლიდან ახორციელებს პრევენციულ საინფორმაციო კამპანიას»[2]. ორგანიზაცია, აგრეთვე, გეგმავს, დახმარება გაუწიოს განათლების სამინისტროს, მიაწოდოს სკოლის მოსწავლეებსა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ინფორმაცია ტრეფიკინგის საფრთხის შესახებ, რაც სამომავლოდ საქართველოს ოფიციალურ სასწავლო პროგრამაში იქნება ჩართული.

საქართველოს მთავრობას ანტი-ტრეფიკინგის კანონმდებლობის შემუშავებაში დახმარებას უწევს ამერიკის იურისტთა ასოციაცია (აია) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) მიზნობრივი ტრენინგების უზრუნველყოფითა და ინსტიტუციონალური სტრუქტურების ჩამოყალიბების ხელშეწყობით.

საქართველოს კანონმდებლობასთან კავშირში პირველად ადამიანთა ტრეფიკინგი ოფიციალურად ნახსენები იქნა 2000 წლის თებერვალში, როდესაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ გამოსცა ბრძანებულება 64 – «ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმის (2000-2002) დამტკიცების შესახებ», რომელიც შეიცავდა ერთ პუნქტს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგის შესახებ. ამ პუნქტში რიგ სამინისტროებს ეძლევა ინსტრუქცია, აღრიცხონ ამგვარი შემთხვევები და შეიმუშაონ დახმარების პროგრამები მსხვერპლებისათვის. აქვე

[2] დამატებითი ინფორმაცია საქართველოში მსო-ს ამ და სხვა პროგრამების შესახებ იხ. http://www.iom.ge

შესაბამის უწყებებს ევალება თანამშრომლობა და საქმიანობების კოორდინირება ერთმანეთთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ხსენებული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ზემოხსენებული გეგმის კოორდინაცია და შეფასება მოახდინა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ანტი-ტრეფიკინგის სამთავრობო პროგრამების მნიშვნელოვანი ზრდა. საქართველოს პარლამენტისა და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ცალკეული ხანმოკლე საქმიანობების მიუხედავად მთავრობამ ვერ მოახერხა ანტი-ტრეფიკინგის პუნქტის განხორციელება.

პრეზიდენტის 2002 წლის 17 მაისის ბრძანებულება 240 «საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ» ითვალისწინებდა სამთავრობო ანტი-ტრეფიკინგის პოლიტიკის შემუშავებას. იუსტიციის სამინისტროს დაევალა სისხლის სამართლის კოდექსში შესწორებების შეტანა, რაც ადამიანთა ტრეფიკინგს დასჯადი ქმედების კვალიფიკაციას ანიჭებს, და შესაბამისი სანქციების შემუშავება ბრძანებულების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში. იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელსაც გაეცნენ სხვა სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. ამის შემდგომ კანონმა გაიარა მთავრობის აპარატში განხილვის ჩვეულებრივი პროცედურა, რის შემდეგაც 2003 წლის 2 აპრილს იგი პარლამენტში წარადგინეს. პარლამენტმა ამ საკითხს სამი მოსმენა დაუთმო და 2003 წლის 6 ივნისს მიიღო სისხლის სამართლის კოდექსის შესწორებები, რაც მოიცავდა ზოგადი ხასიათის ახალ მუხლს ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ და 172-ე მუხლში ცვლილებებს, რაც არასრულწლოვანთა ტრეფიკინგს ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შესწორებებმა არსებული კანონმდებლობა გააუმჯობესა, ისინი სრულად არ მოიცავს

ტრეფიკინგის პროცესის ყველა ელემენტს, რაც გაეროს ტრეფიკინგის პროტოკოლშია განმარტებული. ამის გამო ახალი კანონი მთლიანად არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან. კანონი ტრეფიკინგს შემდეგნაირად განმარტავს:

«ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით»[3].

143-ე მუხლის სქოლიოში ექსპლუატაცია შემდეგნაირად არის განმარტებული:

«ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების, აგრეთვე, ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას»[4].

ცნება - «ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება» – რომელიც ზოგად

---

[3] «საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ» საქართველოს კანონის მუხლი 143-1 (არაოფიციალური ინგლისური თარგმანი)

[4] არაოფიციალური ინგლისური თარგმანი. ბოლო წინადადება დაემატა 2003 წლის აპრილში, პარლამენტის პირველი მოსმენის შემდეგ

განმარტებაშია მოცემული, ბუნდოვანია და შეიძლება გამოიწვიოს ინტერპრეტაციის პრობლემები სასამართლო პროცედურების მსვლელობისას. ნაკლი შეიძლება აღმოვაჩინოთ მიზნებისა და საშუალებების ნუსხაშიც. ზოგად განმარტებაში არ არის ნახსენები ტრანსპორტირების ცნება. აგრეთვე საშუალებების ნუსხაში აშკარად არ არის ნახსენები მუქარა, ძალდატანება, გატაცება, გაყალბება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ან დაუცველობა. სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლები მოიცავს ზოგიერთ ამ დანაშაულს, თუმცა ყველა მიზნისა და საშუალების ჩართვა ტრეფიკინგის შესახებ ზოგად მუხლში უფრო ეფექტიანად დაეხმარებოდა ეჭვმიტანილ ტრეფიკერთა ბრალდებას.

საქართველოს მთავრობამ სამთავრობო ანტი-ტრეფიკინგის პოლიტიკის გატარებისა და მონიტორინგის მიზნით მმართველი სტრუქტურის შექმნისაკენ პირველი ნაბიჯი 2000 წელს გადადგა, როდესაც პრეზიდენტის 64-ე ბრძანებულებით მისი განხორციელების კონტროლი ეროვნული უშიშროების საბჭოს დაეკისრა. როგორც მესამე აბზაცშია ნახსენები, ბრძანებულების აღსრულების პერიოდში რაიმე რეალური შედეგის მიღწევა ვერ მოხერხდა. ეროვნული უშიშროების საბჭომ დაიწყო ანტი-ტრეფიკინგის საქმიანობების ინიციატორის როლის შესრულება 2002 წლის მეორე ნახევარში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა 2003 წლის 17 იანვარს ხელი მოაწერა მე-15 ბრძანებულებას «ტრეფიკინგთან ბრძოლის 2003-2005 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ». სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მოქმედების ხუთი სხვადასხვა სფერო:

1. საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ყველაზე დაუცველი ჯგუფების წევრთა (ქალები, მოზარდები და ბავშვები), ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;

2. ტრეფიკინგის აღკვეთა ინფორმაციის გავრცელებისა და მთავრობის წევრების, სოციალური სფეროს მუშაკებისა და ჟურნალისტებისათვის ტრენინგების ჩატარების საშუალებით;

3. ტრეფიკინგის მსხვერპლებისათვის დახმარების გაწევა;

4. ტრეფიკინგში დამნაშავე პირთა სამართლებრივი დევნა და მათი დასჯა, მსხვერპლთა დაცვის სისტემის შემუშავება;

5. სამოქმედო გეგმის განხორციელების სისტემატური მონიტორინგი და შეფასება.

მოქმედების ყოველი სფერო შეიცავს კონკრეტულ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებშიც დეტალურად არის აღწერილი განსახორციელებელი საქმიანობის ხასიათი, მასზე პასუხისმგებელი სტრუქტურები და დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც საქმიანობა უნდა დასრულდეს. განმახორციელებელ პარტნიორებად დასახელებულია 15 სახელმწიფო სტრუქტურა[5], აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ ტრეფიკინგის აღკვეთის საქმეში. ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კონტროლს ახორციელებს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი.

ინსტიტუციონალური სტრუქტურების კონტექსტში ძირითადი წინგადადგმული ნაბიჯი იყო შსს-ში ანტი-ტრეფიკინგის განყოფილების შექმნა. 2003 წლის ივნისში სისხლის სამართლის კოდექსში შესწორებების შეტანის შემდეგ

---

[5] ეს სახელმწიფო სტრუქტურებია: ეროვნული უშიშროების საბჭო, შსს, იუსტიციის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტი, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, სახალხო დამცველის ოფისი, გენერალური პროკურატურა, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, ინტერპოლის საქართველოს ეროვნული ცენტრალური ბიურო და იუსტიციის საბჭო.

ამ განყოფილებამ გამოიძია ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის რამდენიმე საქმე, რაც იმედისმომცემი ნიშანია იმისა, რომ მთავრობა ცდილობს, გააუმჯობესოს ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი დევნისა და დასჯის ასპექტები.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა ბოლო დროს ძალისხმევას იჩენს სუსტი უწყებათაშორისი კოორდინაციის, გამოსწორების მიზნით. 2003 წლის მაისში ეროვნული უშიშროების საბჭომ გააკეთა განცხადება სამინისტროთაშორისი მუშა ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის ხელმძღვანელია ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე. მის შემადგენლობაში შედიან საგარეო საქმეთა, იუსტიციის, განათლების, კულტურის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეები, აგრეთვე პროკურორის მოადგილე, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და შსს-ს ანტი-ტრეფიკინგის განყოფილების უფროსი.

მაინც ვფიქრობთ, რომ სამთავრობო სტრუქტურების ჯერჯერობით სუსტი შიგა კოორდინაცია ეროვნული სამოქმედო გეგმის ყველა კომპონენტის წარმატებული განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორი იქნება მიუხედავად ამ სფეროში ბოლო დროს მომხდარი სასიკეთო ძვრებისა.

მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია განმახორციელებელი სტრუქტურების საბიუჯეტო დაფინანსების ნაკლებობა. საქართველოს 2003 წლის ბიუჯეტში არანაირი თანხა არ არის გამოყოფილი ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის. ეს ბევრი სტრუქტურისათვის გადაულახავი პრობლემა იქნება, რადგან მათი მიმდინარე ბიუჯეტი არ იძლევა გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღების საშუალებას. სამთავრობო სტრუქტურებს კი ძირითადად საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარების იმედი აქვთ.

ბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ანტი-ტრეფიკინგის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. მნიშვნელოვანი ეტაპებია ტრეფიკინგის შესახებ კანონის მიღება, ეროვნული სამოქმედო გეგმის მმართველი სტრუქტურების შექმნა და, ზოგადად, საქართველოში ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო ცნობიერების დონის ამაღლება იმ საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, რომელთა რატიფიკაციაც საქართველომ მოახდინა. სამთავრობო ძალისხმევა არის შედეგი იმ კონსტრუქციული საქმიანობებისა, რაც ბოლო ექვსი წლის მანძილზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა განახორციელეს საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით.

ამის მიუხედავად, ვთვლით, რომ საქართველოს მთავრობას ჯერ არ შეუმუშავებია ეფექტური პოლიტიკა და არ შეუქმნია სამთავრობო სტრუქტურები ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტიანად ბრძოლის, ტრეფიკერების სამართლებრივი დევნისა და მათი დასჯის, აგრეთვე, მსხვერპლთა დახმარების მიზნით. გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების ნაკლებობა ალბათ გადაულახავ ბარიერს შეუქმნის ტრეფიკინგის საწინააღმდეგო სამთავრობო გეგმების განხორციელებას.

ბიბლიოგრაფია

ამერიკის იურისტთა ასოციაცია / ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლებრივი ინიციატივა

საქართველოს ტრეფიკინგის კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა, აია/ცაესი საქართველოს ოფისი, ივნისი 2001

ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო სტრუქტურის კვლევა, აია/ცაესი, იანვარი 2003 (გვ. 74-81)

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

არალეგალური მიგრაცია და მიგრანტთა უკანონო გადაყვანა: საქართველო, მსო თბილისი, სექტემბერი 2000

გაჭირვება საზღვარგარეთ თუ შიმშილი სამშობლოში – საქართველოდან არალეგალური მიგრაციის კვლევა, მსო თბილისი, სექტემბერი 2001

დამსხვრეული ოცნებები – ანგარიში აზერბაიჯანში ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ, მსო ბაქო, აგვისტო 2002

გაერო (CEDAW)

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-18 მუხლის მონაწილე მხარეების მიერ მომზადებული ანგარიშების განხილვა – მონაწილე მხარის ანგარიში – საქართველო, 10 მარტი 1998

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი

ტრეფიკინგის მსხვერპლნი და ძალადობისაგან დაცვის აქტი – ანგარიში ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ, ქ. ვაშინგტონი, 11 ივნისი 2003.

Marc Hulst / IOM Tbilisi

ANALIYSIS OF INSTITUTIONAL AND LEGAL FRAMEWORKS TO COMBAT TRAFFICKINGIN PERSONSIN GEORGIA (Excerpt of Report) OQTOBER 2003

Georgia is primarily a source country for trafficking in persons and, to a lesser extent, is also a transit country. Furthermore, there are indications that Georgia is targeted as destination country, though it is not known to what extent. In 2000 and 2001, IOM conducted research to obtain a better understanding of the scope and trends of trafficking in persons from, through and to Georgia (IOM Tbilisi, 2000; 2001). The research showed that trafficking in persons was a serious problem in Georgia. Traffickers frequently took advantage of their victims' limited and distorted information about the realities and opportunities of going abroad in order to exploit them in indentured servitude, forced commercial sex work, and agricultural and industrial labour. In addition, the aforementioned research demonstrated that the occurrence of trafficking in persons in Georgia is tied to a lack of adequate counter-trafficking legislation and, above all, the poor socio-economic conditions affecting the majority of the Georgian population.

The major destination countries of trafficking victims from Georgia are Turkey, Greece, the United States of America and a number of European Union Member States, such as France, Spain, the Netherlands and Germany. Other recent research has indicated that Georgian women are also trafficked to the United Arab Emirates (IOM Baku, 2002; 31). According to IOM's 2000 and 2001 research, typical trafficking victims were young women, often single or divorced, interested in study or temporary work abroad.

Until quite recently, the Government of Georgia demonstrated a lack of awareness and sense of urgency regarding trafficking.

However, the Government has recently displayed an increased initiative to establish a national counter-trafficking policy. This has resulted in a number of important milestones, such as the recent adoption of a national counter-trafficking action plan and counter-trafficking legislation, as well as the creation of a special unit in the Ministry of Interior to deal with counter-trafficking issues. A governmental inter-agency committee was established in June 2003 to coordinate the National Action Plan for counter-trafficking.

Despite the positive developments the Government of Georgia has not yet established efficient policy and government structures to prevent effectively trafficking, prosecute traffickers and assist trafficking victims. In addition, the lack of allocation of budgetary resources will most likely present an insurmountable obstacle to the full implementation of government plans for combating trafficking.

მერაბ ხმალაძე

დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ

საქართველოს აქვს ეთნოკონფლიქტების მწარე ისტორიული გამოცდილება. ჯერ კიდევ 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს დაემთხვა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები. ანალოგიური კონფლიქტები გამეორდა 1990-იან წლებში, რომელიც 1920-იანი წლების ანალოგიურად, როგორც ინსპირირებული, ისე განხორციელებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ და მიმართული საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინააღმდეგ.

1920-იანი წლების ეთნოკონფლიქტებისგან განსხვავებით, 1990-იანი წლების კონფლიქტები საქართველოსთვის მძიმე შედეგებით დამთავრდა. ეთნოკონფლიქტებს შედეგად მოჰყვა ქართველების (და სხვებისაც) გამოდევნა ყოფილი სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიებიდან. დაახლოებით 300 ათასი კაცი საკუთარ სამშობლოში იქცა დევნილად. დღეისათვის მაღალი მოკვდაობის, დაბალი შობადობის და ემიგრაციის შედეგად მათი რიცხვი შემცირდა 260 ათასამდე, რაც ოფიციალური სტატისტიკით ქვეყნის მოსახლეობის 5,3%-ს, ხოლო ექსპერტული შეფასებით_ 6,4%-ს შეადგენს.

დევნილი მოსახლეობის ასეთი რაოდენობა ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, მეტად დიდია. უკვე 10 წელია დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს ახალ (დროებით) საცხოვრებელ ადგილზე. ადამიანების ეს ჯგუფი ადგილობრივი მოსახლეობისგან განსხვავდება სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული მდგომარეობით. დევნილობასთან დაკავშირებულია მრავალი მეტ-ნაკლებად მწვავე პრობლემა, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია

დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულება. აღნიშნული საკითხის კვლევა საქართველოში (სხვა საკითხებთან ერთად) ჩატარდა 2000 წელს ჩვენი სამეცნიერო ხემძღვანელობით ასოციაცია «მიგრანტის» მიერ.

დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულება ყალიბდება ერთმანეთთან კონტაქტებით. ყველაზე მეტი კონტაქტი დევნილ და ადგილობრივ მოსახლეობას აქვს მეზობლობაში, რაც აღნიშნა დევნილთა 41% და ადგილობრივი მოსახლეობის 37%-მა. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გამოკითხული ორივე კატეგორიის სხვადასხვა ასაკისა და სქესის მოსახლეობაში რაიმე არსებითი განსხვავებები არ ჩანს.

დევნილთა 15,7% და ადგილობრივი მოსახლეობის 20,7% ერთად მუშაობს. აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალია საშუალო ასაკის ორივე კატეგორიის მოსახლეობაში, მაშინ, როდესაც ქალებისა და კაცების მიხედვით განსხვავება პრაქტიკულად არ შეიმჩნევა. ამასთანავე, ბუნებრივია, რომ კონტაქტებიდან სწავლა მიუთითა ძირითადად ახალგაზრდა მოსახლეობამ, კერძოდ, დევნილების 18%-მა და ადგილობრივების 9,8%-მა.

საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა, კერძოდ, დევნილების 27,5% და ადგილობრივების 17,5% ერთმანეთს ხვდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. კონტაქტების ასეთი ფორმა უფრო ხშირია ორივე კატეგორიის საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, ვიდრე ახალგაზრდებში.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ დევნილთა 7,1% ცხოვრობს ადგილობრივი მოსახლეობის ოჯახებში, ხვედრითი წილის მიხედვით, გაცილებით მეტი ცხოვრობს უფროსი ასაკის (60 წლის და მეტი) დევნილი, კერძოდ, მათი 15%, მაშინ, როდესაც ეს წილი საშუალო ასაკში (30-59 წლის) 5.6%-ია, ხოლო ახალგაზრდა ასაკში (16-29 წლის) _ მხოლოდ 3,7%-ს შეადგენს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობის 20%-ს დევნილებთან არავითარი კონტაქტები არა აქვს. ამ მდგომარეობის მიზეზი უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის მრავალრიცხოვნობა დევნილებთან შედარებით.

ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების ყველა სახის სიხშირე განსხვავდება ცხინვალიდან და აფხაზეთიდან დევნილებში. მეზობლურ ურთიერთობაზე მიუთითა აფხაზეთიდან დევნილთა 42,3%-მა, ხოლო ცხინვალიდან დევნილთა 35,7%-მა. საკმაოდ დიდი სხვაობაა დევნილებში სამუშაოზე კონტაქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, ადგილობრივებთან ერთად მუშაობს ცხინვალიდან დევნილთა 30% და აფხაზეთიდან დევნილთა მხოლოდ 13,2%. განსაკუთრებით ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ოჯახებში ცხოვრობს აფხაზეთიდან გამოკითხული დევნილების 8,2% და ცხინვალიდან დევნილების მხოლოდ 0,7%, რაც ადგილობრივ მოსახლეობასთან აფხაზეთიდან დევნილების გაცილებით ხშირ ნათესაურ-მეგობრულ ურთიერთობებით კი არ აიხსნება, არამედ უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მათი შედარებით მრავალრიცხოვნობის გამო საკმაო ნაწილი ვერ განსახლდა ორგანიზებულ სექტორში და იძულებულია დღემდე ნათესავ-მეგობრებთან იყოს შეხიზნული.

დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთგანწყობა დევნილობის პერიოდში ძირეულად შეიცვალა. კერძოდ, მნიშვნელოვნად შემცირდა პოზიტიური შეხედულებები და გაიზარდა ნეგატიური. აღნიშნულის დასადასტურებლად ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ურთიერთდამოკიდებულება დევნილობის პირველ წლებში და გამოკითხვის მომენტისათვის.

გამოკითხვის მასალებით აღმოჩნდა, რომ დევნილთა გამოჩენის პირველ წლებში მათდამი თანაგრძნობისა და დახმარების სურვილი გააჩნდა ადგილობრივების 63,8%-ს, მაგრამ

მას აღიქვამდა დევნილთა 46,7%. გამოკითხვის მომენტისათვის სურვილს გამოთქვამდა მხოლოდ 38%, დასაწყისში 63,8%-ის საპირისპიროდ. თავის მხრივ, გამოკითხვის მომენტისათვის ადგილობრივების მხრიდან თანაგრძნობას და დახმარების სურვილს აღიქვამდა დევნილთა 17,5%; ე.ი. ფაქტიურად 29%-ით ნაკლები, ვიდრე დევნილობის საწყის ეტაპზე.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა ერთი საინტერესო გარემოება: დევნილებისადმი თანაგრძნობისა და დახმარების სურვილი როგორც ადრე, ასევე ამჟამად, ქალებთან შედარებით მეტია კაცებში და მისი აღქმაც, შესაბამისად, მეტია დევნილ კაცებში.

დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულების გაუარესების დასახასიათებლად შეგვიძლია მოვიტანოთ კიდევ სხვა სტატისტიკაც. დევნილთა მიმართ სიბრალულის გრძნობა დევნილობის საწყის და შემდგომ ეტაპზე დააფიქსირა ადგილობრივთა 24 და 19,8%-მა შესაბამისად, მაგრამ მისი აღქმა დევნილთა მხრიდან 19,5%-დან შემცირდა 9%-მდე.

დევნილთა გაუსაძლისი მდგომარეობა იმდენად ცხადია, რომ მასზე რაიმე მონაცემების მოტანა ზედმეტად გვეჩვენება. ამასთან, ისიც ცხადია, რომ ადგილობრივ მოსახლეობასაც უჭირს და მათი სოციალური მოლოდინიც უფრო და უფრო ნეგატიური ხდება. ამიტომ უარესდება ადგილობრივთა დამოკიდებულება დევნილებისადმი, სულ უფრო მეტი ხდება გულგრილი მათი მდგომარეობის მიმართ. საკმარისია ვუჩვენოთ, რომ დევნილთა გამოჩენის პირველ წლებში მათდამი ნეიტრალური იყო გამოკითხულთა 6,4%, ამჟამად კი ნეიტრალურია 16,8%. უფრო მეტიც, ამჟამად დევნილთა აქ ყოფნით უკმაყოფილოა ადგილობრივი მოსახლეობის 16,7%, ხოლო მას აღიქვამს დევნილთა 40%.

როგორც საწყის, ისე ამჟამინდელ ეტაპზე, ერთი გამონაკლისის გარდა, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების აღქმა ცხინვალიდან და აფხაზეთიდან დევნილებში პრაქტიკულად არ

განსხვავდება. ის ერთი გამონაკლისი კი არის ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების შეფასება. აღმოჩნდა, რომ ცხინვალიდან დევნილთა 54,3%-ის აზრით, ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილოა მათი აქ ყოფნით, მაშინ როდესაც აფხაზეთიდან დევნილებში ასეთი შეხედულების მქონენი გაცილებით ნაკლებია_ გამოკითხულთა 37,4%.

ადგილობრივი მოსახლეობის დევნილებისადმი დამოკიდებულებაში არის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მომენტები. პოზიტიურს შეიძლება მივაკუთვნოთ თანაგრძნობა, დახმარების სურვილი და სიბრალული, ხოლო ნეგატიურს_ უკმაყოფილება მათი აქ ყოფნით. პოზიტიური შეხედულებების ამსახველი მაჩვენებლების ჯამის შეფარდებას ნეგატიურთან უწოდებენ ტოლერანტობის ინდექსს. ის გვიჩვენებს, რამდენჯერ აღემატება პოზიტიური შეხედულებები ნეგატიურს. შესაბამისი გამოთვლებით დადგინდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ტოლერანტობის ინდექსი მთლიანად გამოკვლევის მიხედვით 3,5-ის ტოლია. მათ შორის: თბილისში_ 2.96, გორში_ 2.3, ქუთაისში და ზუგდიდში_ 4,9. ეს იმას ნიშნავს, რომ პოზიტიური განწყობა დევნილების მიმართ ქუთაისისა და ზუგდიდის მოსახლეობაში თითქმის 5-ჯერ აღემატება ნეგატიურს, მაშინ როდესაც თბილისსა და გორში ეს თანაფარდობა გაცილებით ნაკლებია.

არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობის ტოლერანტობის მაჩვენებლები სქესის და ასაკის მიხედვით. ეს უკანასკნელი მცირდება ასაკის ზრდასთან ერთად. კერძოდ, ახალგაზრდებში მან შეადგინა 4.7, საშუალო ასაკში_ 3.2, ხოლო უფროს ასაკში_ 3. მაჩვენებელმა ქალებში_ 3.3, ხოლო კაცებში შედარებით მეტი (3,7) შეადგინა.

ჩვენი გამოკვლევის ერთ-ერთი მიზანი ისაც იყო, რომ დაგვედგინა დევნილი მოსახლეობის განწყობა-შეხედულებები ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ და მისი აღქმა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მადლიერების გრძნობით განწყობილია დევნილთა 23,7%, რასაც აღიქვამს ადგილობრივთა პრაქტიკულად იგივე რაოდენობა_ 25,3%. მადლიერების გრძნობა უფრო გამოკვეთილია დევნილ კაცებში, რასაც მათი 29,6% აღნიშნავს, ხოლო მისი აღქმა ადგილობრივი მოსახლეობის უფროს ასაკობრივ ჯგუფში, სადაც მაჩვენებელი 35%-ს აღწევს.

ადგილობრივების მიმართ ნეიტრალურადაა განწყობილი დევნილთა 32,2% (ადგილობრივებში ის 16,8%-ის ტოლია), განსაკუთრებით კი_ ახალგაზრდობა, რომელთა 38,7%-ია ნეიტრალური. დევნილთა ნეიტრალურ განწყობას აფიქსირებს ადგილობრივების 34,8%. ამ შემთხვევაშიც ნეიტრალური განწყობის აღქმის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (42,9%) მოდის გამოკითხულ ადგილობრივ ახალგაზრდობაზე. ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობაში ორივე მხრიდან ყველაზე ნეიტრალურ ჯგუფს წარმოადგენს ახალგაზრდა, 30 წლამდე მოსახლეობა.

დევნილი მოსახლეობის 23,8% თავს უხერხულად გრძნობს გაგრძელებული სტუმრობის გამო. აღნიშნული უხერხულობა უფრო იგრძნობა საშუალო და უფროსი ასაკის დევნილებში (25-26%), ვიდრე ახალგაზრდებში, სადაც ასეთების წილი მხოლოდ 18,4%-ის ტოლია. იმავდროულად დევნილების მხრიდან უხერხულობას გაგრძელებული სტუმრობით აღიქვამს ადგილობრივი მოსახლეობის 13%-მდე, ე.ი. დევნილებთან შედარებით თითქმის ორჯერ ნაკლები.

დევნილების 18% აღშფოთებულია მათ მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის გულგრილობით, ხოლო ადგილობრივების 22,6% უკმაყოფილებას გამოთქვამს დევნილების მხრიდან მათი ინტერესების გაუთვალისწინებლობის გამო. ურთიერთუკმაყოფილების გრძნობა ორივე მხრიდან უფრო გამოკვეთილია ქალებში,

განსაკუთრებით კი_ დევნილებში. მაგალითად, თუ დევნილ მოსახლეობაში აღშფოთება გამოთქვა ქალების 21,8%-მა და კაცების 13%-მა (სხვაობა 8,8%), ადგილობრივებში შესაბამისად_ 24,2% და 20,6%-მა (სხვაობა მხოლოდ 3,6%).

დევნილი მოსახლეობის ტოლერანტობის ინდექსმა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ 1,32 შეადგინა. თუ გავიხსენებთ, რომ აღნიშნული ინდექსი ადგილობრივ მოსახლეობაში 3,5-ს შეადგენს, მაშინ აღმოჩნდება, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში დევნილების მიმართ პოზიტიური განწყობა 2,66-ჯერ მაღალია, ვიდრე იგივე - დევნილ მოსახლეობაში ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ (3,5:1,32=2,66).

ცხინვალიდან და აფხაზეთიდან დევნილებში ძირითადი განსხვავებაა ადგილობრივი მოსახლეობის დადებით და უარყოფით შეფასებაში. კერძოდ, მადლიერებით განწყობილია ცხინვალიდან დევნილთა 14,3%, ხოლო აფხაზეთიდან_ 25,5%, ნეიტრალურად ორივე მხრიდან 32%, უხერხულობას გრძნობს მათი 23,6% და 25%. დევნილთა მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის გულგრილობით აღშფოთებულია ცხინვალიდან დევნილთა 27,1%, ხოლო აფხაზეთიდან_ მხოლოდ 16,6%. თუ გამოვთვლით შემაჯამებელ, ტოლერანტობის მაჩვენებელს, ცხინვალიდან დევნილებში ის მხოლოდ 0.53, ხოლო აფხაზეთიდან დევნილებში 1,54-ის ტოლია, რაც შესაბამის მაჩვენებელს ცხინვალელ დევნილებში თითქმის 3-ჯერ აღემატება.

თუ დევნილთა განწყობას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ რეგიონებში ასევე განზოგადებულად დავახასიათებთ ტოლერანტობის ინდექსით, მისი სიდიდეა თბილისში_ 1.35, ქუთაისში_ 1.53, ხოლო ზუგდიდში_ 1.84, რაც იმას ნიშნავს, რომ ზუგდიდში მცხოვრებ დევნილებს გაცილებით პოზიტიური განწყობა აქვთ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, ვიდრე თბილისში და ქუთაისში, რომ არაფერი ვთქვათ ცხინვალიდან

დევნილების დამოკიდებულებაზე გორის ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტოლერანტობის ინდექსი მათში მხოლოდ 0,53-ს აღწევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხინვალის რეგიონიდან დევნილებში გორის მოსახლეობის მიმართ (გამოკითხვა ჩატარდა გორში) დადებითი კი არ ჭარბობს უარყოფით დამოკიდებულებას, პირიქით, უარყოფითი დამოკიდებულება თითქმის ორჯერ აღემატება დადებითს (1/0,53=1,88).

დევნილების და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულება და შეხედულებები ერთმანეთის მიმართ ყალიბდება კონკრეტულ ვითარებაში, კონკრეტულ ადგილზე, როგორიცაა სამუშაო, სამეზობლო და ა.შ.

როგორც დევნილების (37,5%), ისე ადგილობრივი მოსახლეობის აზრით (33%) დევნილებს ადგილობრივი მოსახლეობა ყველაზე უკეთესად ეპყრობა სამეზობლოში, შემდეგ სამუშაოზე, ხოლო ყველაზე უარესად_ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რაზედაც მიუთითა გამოკითხულ დევნილთა 42,7% და ადგილობრივების 49,5%-მა. ეს გასაგებიცაა, რადგანაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მეტად დაბალია პირადი ნაცნობობის მასშტაბები, ვიდრე სამუშაოზე, სასწავლებელსა და მეზობლობაში.

დევნილების და ადგილობრივების ერთნაირმა რაოდენობამ _ 18,6%-მა დევნილების მიმართ ყველაზე უარესი დამოკიდებულება აღნიშნა დევნილთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციაში, რაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, თავისი უარყოფითი მნიშვნელობით მეორე ადგილს იკავებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების შემდეგ.

ასე, რომ დევნილები გაცილებით უფრო უკეთეს დამოკიდებულებას გრძნობენ მეზობლობაში და სამუშაოზე, ხოლო გაცილებით უფრო უარეს დამოკიდებულებას_ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და დევნილთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებში.

ფაქტია, რომ საქართველოს წინაშე არსებული ობიექტურ თუ სუბიექტურ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იძულებით გადაადგილებულთა პრობლემა, რომლის მოგვარების გარეშე თვით საქართველოს სრულფასოვან, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება საეჭვო ხდება.

Merab Khmaladze

ABOUT INTERRELATIONSHIP BETWEEN LOCAL POPULATION AND FORCIBLY DISPLACED PERSONS

(Abstract)

There are many acute problems related to forcibly displaced persons and their interrelationship with the local population is one of the most important ones. These relations are formed in a certain setting and as it is noted by both categories of population, neighborhood is of great importance. At the same time 20 percent of the local population has no contacts with forcibly displaced persons.

The attitude of local population and expellees towards each other changed significantly; positive views declined and negative ones increased. It should be noted that in the first years of their expulsion 63.8 percent of the local population we polled said that they condoled with expellees as opposed to 38 percent at present. At first this condolence was felt by 46.7 percent of expellees compared to 17.5 percent at present.

The share of those who have neutral attitude has increased recently; especially it can be said about the youth.

The rate of tolerance that is drawn by the ratio of positive rates to the negative ones comprised 3.5 in local population and 1.32 in expellees. It means that local population's attitude towards expellees is more positive than vice versa.

ნათია ჭელიძე
მირიან ტუხაშვილი

საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში განვითარებულმა საყოველთაო კრიზისმა, რომელმაც მოიცვა ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა და ა.შ., მთელ ქვეყანაში მოსახლეობის ინტენსიური ტერიტორიული მოძრაობა გამოიწვია. განსაკუთრებით გაძლიერდა შრომითი ემიგრაცია, რომელიც ამჟამად საქართველოს ყველა რეგიონისთვისაა დამახასიათებელი და წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, მისი შესწავლა გადაუდებელი ამოცანაა.

ძირითადი მეთოდური ინსტრუმენტი, რომელიც შრომითი მიგრაციის შესასწავლად მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, არის კვლევა ე.წ. «შემცვლელი რესპონდენტების» მეთოდით, მიგრანტთა ოჯახების აქ დარჩენილი წევრებისა და ახლობლების გამოკითხვით სხვა მეთოდებთან შედარებით იგი ნაკლებად შრომატევადია და ჩვენი პირობებისათვის რესპონდენტთა საკმაო მასის მოცვის საშუალებას იძლევა. ამავე დროს აღნიშნული მეთოდით შევეცადეთ მოპოვებული ინფორმაცია გაგვემდიდრებინა სხვა მეთოდითაც, უშუალოდ შრომითი ემიგრანტების შედარებით მცირე რაოდენობის ანკეტირებით. ისინი ორ ნაწილად დავყავით. პირველი ნაწილის კვლევა მოხდა თვით მიმღებ ქვეყნებში, ხოლო მეორე ნაწილს წარმოადგენდნენ შრომითი ემიგრაციიდან დაბრუნებულები და დროებით ჩამოსულები. ყველა მეთოდით მიღებული შედეგები პრაქტიკულად ერთნაირი აღმოჩნდა და დადასტურდა ჩვენს მიერ ძირითადად «შემცვლელი რესპონდენტების» გამოყენებული მეთოდით კვლევის მაღალი ხარისხი.

ანკეტაში იყო კითხვები, რითაც უნდა გამოვლენილიყო ემიგრაციის ძირითადი მიზეზები, ქვეყნიდან გასვლის ორგანიზაციული ფორმები, ემიგრანტთა სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა, პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა, მისი შესაბამისობა იქაურ დასაქმებასთან, შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების სიდიდე, გადმოგზავნის სახეები, სამუშაო პირობებთან და ყოფით გარემოსთან შეგუება, შრომითი ემიგრაციის სიმყარე და სტაციონარულ ემიგრაციაში გადაზრდის ალბათობა და ა.შ.

გამოკვლევით გამოვლინდა, რომ საქართველოდან შრომითი ემიგრაცია განსაზღვრულია ეკონომიკური ფაქტორებით, შრომის შიგა ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნისა და ფასის მყისიერი შემცირებით, უმუშევრობის განვითარებით, მოსახლეობის ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემით და ფიზიკური გადარჩენის სხვა გზების უპერსპექტივობით.

მართლაც, გამოკვლევის მიხედვით, შრომით ემიგრანტთა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის მთავარი მოტივი ემიგრანტთა ოჯახის მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილია (ცხრილი 1).

ძირითადი მიგრაციული ნაკადები მიმართულია ოთხი მთავარი ქვეყნისკენ, ესენია: რუსეთი, საბერძნეთი, აშშ და გერმანია (ცხრილი 2). როგორც შრომითი ემიგრაციის ხანდაზმულობის ანალიზით გამოვლინდა, შრომითი ემიგრაციის ინტენსიურობამ რუსეთისა და თურქეთის მიმართულებით თანდათან იკლო და დასავლეთ ევროპისა და აშშ მიმართულებით მოიმატა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმოსვლის სავიზო რეჟიმის შემოღებაც არის. რითაც ხელი შეეშალა დსთ შრომის საერთო ბაზრის ფორმირების პროცესს, რომლის ეფექტიანობა ორივე

მხარისათვის კონცეპტუალურად უკვე გააზრებული იყო.[1] თუმცა ნაკლები ინფორმირებულობისა და შესაძლებლობების გამო საქართველოს პატარა ქალაქებიდან და რაიონებიდან შრომით ემიგრანტთა ძირითადი ნაკადი (70%-ზე მეტი) მაინც რუსეთში ემიგრირდება. სავარაუდოა, რომ რუსეთის შრომის ბაზარი მომავალშიც იქნება საქართველოს შრომითი რესურსების ეფექტიანი დასაქმების ადგილი, ამიტომ საჭიროა საქართველო-რუსეთს შორის შრომითი მიგრაციული კავშირების ნორმალიზაცია.

შრომითი ემიგრაციის გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე უკიდურესად უარყოფითია. იგი მიმდინარეობს ინტენსიური დეპოპულაციის, მოსახლეობის მიგრაციული კლებისა და შობადობის კრიტიკულ დონემდე ვარდნის ფონზე.

გამოკვლევის მიხედვით შრომით ემიგრაციაში მონაწილეობს თითქმის ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი. შრომით ემიგრანტთა შორის ჭარბობს 21-45 ასაკის მქონე შრომისუნარიანი მოსახლეობა. ახალგაზრდათა პრიორიტეტი განსაკუთრებით იკვეთება თბილისის «პრესტიჟული» რაიონებიდან ემიგრაციაში, რომელთა ნაკადი ძირითადად გერმანიისა და აშშ-სკენაა მიმართული. შრომით ემიგრანტთა ორი მესამედი დაოჯახებულია. დაბრუნებულთა შორის კი დაუქორწინებელთა კონტინგენტი ჭარბობს.

თუ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში შრომით ემიგრანტთა ნაკადში დიდი წილით იყო წარმოდგენილი არაქართველი მოსახლეობა, შემდგომ

---

[1] Маргарита Гарсия - Иссре. Единый рынок труда СНГ: Реалии и перспективы. Ткаченко А. Сотрудничество стран СНГ по формированию общего рынка труда: Анализ концептуальных основ и реальных предпосилок СНГ. В книге: "Миграция и рынки труда в постсоветской России". М., 1998

ცხრილი 1

შრომით ემიგრანტთა განაწილება ემიგრირების მიზეზის მიხედვით. პროცენტობით ჯამთან

გამოკვლეული რეგიონი / ემიგრირების მიზეზები	*შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით*								*იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები*						*ემიგრაციიდან დაბრუნებულები*
	ქ. თბილისი	ქ. რუსთავი	ამბროლაურის რაიონი	ქ. ტყიბული	ქ. ზუგდიდი, ქ. სენაკი	ქ. თელავი	ქ. ახალქალაქი	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშ.-ით	თბილისი
ოჯახის ფიზიკური გადარჩენა	8	11	7	5	14.5	-	21	11	-	2.5	17.9	15	6.1	0.9	8.5
მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი	48	50	25	54	47.9	48.8	52	50	47.2	25.3	50	45	36.7	24.2	42.4
ვერ იშოვა შესაფერისი სამუშაო	8	9	25	13	0.9	11.6	13	9	-	-	-	-	-	0.9	-
ვერ იშოვა ვერანაირი სამუშაო	4	5	28	4	8.5	2.3	9	5	50	12.7	32.1	20	25.2	-	22
ქვეყანაში არსებული პოლიტიკური	3	2	-	1	1.7	-	1	2	2.8	2.5	-	--	1.9	0.9	1.7

მდგომარეობა															
იქ ცხოვრობენ მისი უახლოესი ნათესავები	5	5	-	8	12.8	4.7	1	5	-	2.5	-	-	1.2	5.8	-
მაინტერესებდა საზღვარგარეთ ცხოვრება და მუშაობა, განათლება, ენის შესწავლა	14	12	5	13	11.9	30.2	2	12	-	44.3	-	20	23.9	42.3	19.5
იქორწინა უცხოელზე	1	1	5	1	-	2.3	-	1	-	5.1	-	-	2.5	3.8	1.7
მიიღო სპეციალური მიწვევა იქაური ფირმიდან	7	4	-	1	-	-	-	4	-	5.1	-	-	2.5	-	-
სხვა	1	1	-	1	1.7*	-	3	1	-	-	-	-	-	21.2*	4.2
სულ	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**		**100**

* რესპონდენტებმა ემიგრირების მიზეზად მიუთითეს «სამშობლოში უპერსპექტივობა და თვითრეალიზაციის შეუძლებლობა», აღნიშნული ქვეპასუხი 2005 წლამდე ჩატარებული კვლევების ანკეტაში არ შედიოდა.

ცხრილი 2

საქართველოს რეგიონებიდან შრომით ემიგრანტთა განაწილება იმიგრაციის ქვეყნების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

გამოკვლეული რეგიონი / იმიგრაციის ქვეყანა	თბილისი	რუსთავი	ტყიბული	ახალქა-ლაქი	ამბროლა-ურის რაიონი	სულ
რუსეთი	15	21	61	95	74	39
საბერძნეთი	18	22	9	-	12	14
გერმანია	17	19	13	-	2	13
აშშ	21	11	10	-	3	14
ისრაელი	2	1	-	-	1	1
ბელგია	3	-	1	-	-	2
ევროპის სხვა ქვეყნები	19	9	4	1	2	11
სხვა ქვეყნები	4	10	2	-	6 (თუექ ეთი)	4
აზერბაიჯანი	1	7	-	-	-	1
სომხეთი	-	-	-	4	-	1
სულ	100	100	100	100	100	100

წლებში ამ უკანასკნელთა შრომითი მიგრაცია სტაციონარულში გადაიზარდა და, საბოლოოდ, მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე (რუსები, ბერძნები). ამავე დროს, უფრო ინტენსიური გახდა ქართველთა შრომითი ემიგრაცია, რაც გამოკვლეულ ნაკადში დაახლოებით 90%-ს გაუტოლდა.

1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისამდე საქართველოში საზოგადოებრივი აზრისათვის სრულიად მიუღებელი იყო ქალთა შრომითი ემიგრაცია და იგი ფაქტობრივად არც არსებობდა. ამჟამად კი მთელ ნაკადში ქალთა

წილი 40%-ია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკურ იძულებასთან ერთად საერთაშორისო შრომის ბაზრებზე ქალთა სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სპეციფიკაცაა.

საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის არსებითი ნიშანია განსაკუთრებით მაღალი განათლების დონე (უმაღლესდამთავრებულია გასული კონტინგენტის 44%). მათი გასვლა მნიშვნელოვნად აქვეითებს ქვეყნის შრომით პოტენციალს.

პროფესიულ-კვალიფიციური თვალსაზრისით, საქართველოს შრომით ემიგრანტთა დასაქმება საზღვარგარეთ უკიდურესად დისკრიმინაციულია. სრულიად შეუსაბამო დასაქმებით ხდება მათი შრომითი პოტენციალის მნიშვნელოვანი დაქვეითება, დეკვალიფიკაცია (ცხრილი 3).

საზღვარგარეთ დასაქმებით რადიკალურად იზრდება შრომით ემიგრანტთა და, შესაბამისად, მათი ოჯახების შემოსავლები. შრომითი ემიგრანტთა აქ დარჩენილი ოჯახების ცხრა მეათედი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს მიღმა და სიღარიბის განვითარებულ დონეს გამოხატავს. შრომითი ემიგრანტის საშუალო შემოსავალი კი საზღვარგარეთ არის 714,3 აშშ დოლარი, ხოლო ერთი ემიგრანტის საქართველოში ფულადი გზავნილის საშუალო სიდიდე თვიურად შეადგენს 168,1 აშშ დოლარს (ცხრილი 4).

საქართველოს მოსახლეობისათვის ოთხი მთავარი იმიგრაციული ქვეყნიდან გზავნილებს შორის განსხვავება საკმაოდ დიდია. გაცილებით მეტი იგზავნება აშშ-დან (368$) და საბერძნეთიდან (142,5$), ვიდრე რუსეთიდან (111,5$) და გერმანიიდან (121,6$). ყველაზე მცირე გზავნილი საშუალოთვიურად შემოდის სომხეთიდან და თურქეთიდან.

ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, სავარაუდოა, რომ სამუშაო ძალის საერთაშორისო ბაზარზე გაყიდვით საქართველოში საზღვარგარეთიდან წლიურად შემოდის 500-600მლნ აშშ დოლარის ვალუტა. იგი დიდ როლს ასრულებს

საგარეო სავაჭრო დეფიციტის დაფარვაში და ძირითადად ხმარდება მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ხოლო ზოგჯერ მცირე ბიზნესის განვითარების საწყის კაპიტალს წარმოადგენს, რაშიც ემიგრაციიდან დაბრუნებულები მომავლის საარსებო წყაროს ხედავენ.

შრომითი ემიგრანტების შეგუებადობა ახალ ყოფით გარემოსთან დიფერენცირებულია. შედარებით უკეთესად ეგუება საქართველოს დიდ ქალაქებში გაზრდილი ახალგაზრდობა. ძნელი შეგუება კი ნაწილობრივ გარკვეული საყოფაცხოვრებო და საბინაო დისკომფორტითაც აიხსნება. შრომით ემიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან ერთად, საერთო საცხოვრებელში და თვით სამუშაო ადგილას ცხოვრობს.

გამოკვლევით დადგინდა, რომ შრომითი ემიგრაცია საკმაოდ მყარია. უკან დაბრუნების უმთავრესი პირობები ეკონომიკური ხასიათისაა, ამიტომ საქართველოს ეკონომიკის სტაგნაციის გამო რეემიგრაციის პოტენციალი ჯერჯერობით სუსტია. გამოვლინდა, რომ შრომით ემიგრანტთა ოჯახის წევრების ემიგრაციული პოტენციალიც საკმაოდ მაღალია. ოჯახის წევრებს ხელსაყრელ შემთხვევაში თავისივე ახლობლებთან აქვთ წასვლა გადაწყვეტილი. დაბრუნებულ ქართველებს უძნელდებათ რეინტეგრაციის პროცესი.

ცხრილი 3

შრომით ემიგრანტთა განაწილება აქაური პროფესიისა და საზღვარგარეთ დასაქმების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

აქაური პროფესია / საზღვარგარეთ მუშაობს	მასწავლებელი	ექიმი	ინჟინერი	ეკონომისტი	ექთანი	მძღოლი	ხელოსანი	ელექტრიკოსი	სხვა	პროფესია არ აქვს
მომვლელად	37,5	23.1	9.4	12.8	29.4	-	7.1	16.7	10.9	12.1
აღმზრდელად	5,4	-	2.4	4.7	5.9	-	-	-	1.6	6.6
ოფიციანტად	3,6	7.7	-	1.2	5.9	-	-	-	-	7.8
დამლაგებლად	8,9	3.9	3.5	1.2	5.9	-	-	-	4.7	4.8
დამხმარე მუშად	10,7	15.4	32.9	20.9	17.7	41.3	53.6	55.6	28.1	34.3
ავტომანქანის შემკეთებლად	-	-	1.2	3.5	-	-	17.9	16.7	-	1.8
სასოფლო-სამეურნეო ფერმაში სეზონურ მუშად	1,8	-	-	1.2	-	6.5	3.6	-	-	6.6
მძღოლად	1,8	3.9	5.9	1.2	-	39.1	7.1	-	3.1	3.6
გამყიდველად	5,4	-	1.2	9.3	5.8	-	-	-	4.7	5.4
ეწევა საკუთარ ბიზნესს	-	3.8	20.0	10.5	-	13.0	10.7	5.7	15.6	6.6
ექიმად	-	15.4	-	-	-	-	-	-	-	-
ექთნად	-	-	-	-	17.7	-	-	-	--	-
აქვს უმაღლესი განათლება და მუშაობს სპეციალობით	10,7	11.5	16.5	11.6	-	-	-	-	-	-
სწავლობს	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.6
სწავლობს და	7,1	11.5	1.2	12.8	-	-	-	-	-	4.2

მუშაობს										
ვაჭრობს	1,8	-	-	1.1	11.8	-	-	-	-	0.6
დაწესებულების რიგითი თანამშრომელია	1,8	-	-	1.1	-	-	-	-	-	1.8
სპორტსმენია	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.6
სხვა	3,6	3.8	5.9	7.0	-	-	-	5.6	-	-
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

ცხრილი 4

შრომით ემიგრანტთა თვიური შემოსავლებისა და საქართველოში ფულადი გზავნილების საშუალო სიდიდე, აშშ დოლარი

გამოკვლევის რეგიონი / იმიგრაციის ქვეყნები		თბილისი				რუსთავი	ტყიბული	ახალქალაქი	სულ
		გლდანის რაიონი	ნაძალადევის რაიონი	ვაკე-საბურთალოს რაიონი	საშუალოდ				
რუსეთი	შემოსავალი	415,9	370	780	529,5	640,5	397,2	260	380,5
	გზავნილი	136,8	119	203	155,5	211	126,9	65	111,5
სპერძნეთი	შემოსავალი	475	563	1270	711.6	781.8	540	-	709.7
	გზავნილი	98.5	173	217	150.4	141	102	-	142.5
გერმანია	შემოსავალი	275	462.5	1010	658.7	652.4	475	-	627.6
	გზავნილი	50	82	206.3	127.2	100	132.9	-	121.6
აშშ	შემოსავალი	2447.6	1736.8	2029	2079.7	176	1227	-	1930.2
	გზავნილი	490.5	203.2	489.5	404.8	272.7	254	-	368.7
ისრაელი	შემოსავალი	1040	800	1500	1071.4	800	-	-	1037.5
	გზავნილი	266	400	200	275.7	150	-	-	260.0
ბელგია	შემოსავალი	550	1300	750	783	-	700	-	775
	გზავნილი	200	175	433	272.2	-	100	-	255
ევროპის სხვა ქვეყნები	შემოსავალი	700	1023	658	791	812.5	466.6	300	773
	გზავნილი	173.4	161	125.8	150.3	221.3	66	50	125.6
თურქ-	შემოსავ	350	-	-	350	425	-	-	406.3

ეთი	ლი								
	გზავნილი	75	-	-	75	135	-	-	120
სომხეთი	შემოსავალი	-	-	-	-	-	-	90	90
	გზავნილი	-	-	-	-	-	-	19.6	19.6
აზერბაიჯანი	შემოსავალი	-	-	-	-	200	-	-	200
	გზავნილი	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა ქვეყნები	შემოსავალი	3810	1080	1866.6	2311.5	833	200	-	1581.3
	გზავნილი	80	120	400	169.2	177	50	-	162.5
საშუალოდ	შემოსავალი	1089.2	8073.6	1188.6	1053	813	506	252.9	775
	გზავნილი	207	145.1	265.8	206.9	169.8	135	63	162.4

უარყოფითი გამოცდილების მიუხედავად, ბევრ მათგანს კვლავ სურს ხელმეორედ ემიგრაცია და თავის თანამემამულეებსაც მოუწოდებს გაჭირვებიდან თავდაღწევის საშუალება ეძებონ საზღვარგარეთ, თუნდაც არალეგალური ფორმით მუშაობაში.

შექმნილი ვითარება სახელმწიფოსგან მოითხოვს ქმედითი მიგრაციული პოლიტიკის გატარებას. პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს შრომითი ემიგრაციის უფრო მასშტაბური მეცნიერული შესწავლა. აუცილებელია სამუშაო ძალის ემიგრაციის ლეგალიზაციის ხელშეწყობა, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ეფექტიანობის ამაღლება.

ამრიგად, მწვავე სოციალური შედეგების მიუხედავად შრომით მიგრაციას კრიზისულ მომენტში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური ზრდის დაწყებისთანავე მისი

ინტენსიურობა შემცირდება, ხოლო სამუშაო ძალის ექსპორტი უფრო ეფექტიანი გახდება.

Natia Chelidze
Mirian Tukhashvili

FACTORS AND SOCIO-ECONOMIC CONSEQUENCES OF LABOR EMIGRATION OF THE POPULATION OF GEORGIA

(Abstract)

The study found that labor emigration of the population of Georgia is determined by economic factors, sharp reduction of the demand of labor force and price on the internal market, development of unemployment and precipitous fall of the population living standards.

The main migratory streams are directed towards four countries: Russia (39%), Greece (14%), US (14%) and Germany (13%).

The impact of labor emigration on the demographic potential of Georgia is extremely negative. It takes place against the background of intensive depopulation, migratory decline of population and the fall of fertility to the critical level.

The essential characteristic mark of labor emigration of the population of Georgia is high level of education. 44% of them have higher education. Their departure significantly lessens the labor potential of the country. At the same time, the employment of labor emigrants of Georgia abroad is extremely discriminatory from the professional and qualification point of view.

The average amount of monthly cash remittances sent by labor emigrants to Georgia amounted to 168.1 USD. This amount is mainly spent for satisfaction of the population's major requirements.

The study found that labor emigration is rather continual. Return emigration is of economic nature. Due to economic stagnation of Georgia, return potential of migrants is still weak.

The existing situation requires from the government to pursue effective migration policy. It is necessary to enhance the interstate cooperation on the issues of labor emigration that would increase the economic and social benefits of regular labor migration.

ციური ანთაძე

შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა და მისი გავლენა შრომით ემიგრაციაზე

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ეკონომიკის გაჩანაგების კვალობაზე მკვეთრად შეიზღუდა მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობები და უმუშევრობა უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად იქცა. 1990-2000 წლებში ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 2763,3 ათასიდან 1748,8 ათასამდე ანუ ერთ მილიონზე მეტი კაცით შემცირდა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2002 წელს მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე 65%-ს შეადგენდა, დასაქმების დონე _ 56,8%-ს, უმუშევრობა კი_ 12,6%-ს (ე.წ. შერბილებული კრიტერიუმით _ 15,4%-ს). ექსპერტთა შეფასებით კი, უმუშევრობის რეალური დონე ქვეყანაში 30-35%-ია.

დასაქმების შესაძლებლობების საერთო შეზღუდულობის ფონზე, რაც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისთან, დასაქმების სფეროში არსებული პრობლემების სიმრავლე ხელს უშლის შრომის ბაზრის ფორმირებასა და ნორმალურ ფუნქციონირებას. აღნიშნული პრობლემებიდან უნდა გამოიყოს შემდეგი:

_არ არსებობს დამაჯერებელი სტატისტიკა ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ. მათი აღრიცხვის მეთოდიკა ემყარება შინამეურნეობების შერჩევით კვლევას და დასაქმების უაღრესად შეუსაბამო განსაზღვრებას (საკვლევი კვირის განმავლობაში თუნდაც ერთი საათით საქმიანობა შემოსავლის მისაღებად, მათ შორის საკუთარი მოხმარებისათვის ნადირობა, თევზაობა, მურაბების დამზადება, ქსოვა, კერვა, საკუთარი საცხოვრებლის რემონტი და ა.შ.), რის გამოც ხელოვნურად იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა. სოფლად უმუშევრობა ფაქტობრივად არ აღირიცხება, ვინაიდან სოფლად

მცხოვრებნი, რომლებიც საკუთარ ან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ან საკუთარი მოხმარებისათვის ნადირობენ, თევზაობენ, ქსოვენ და ა.შ., აღირიცხებიან თვითდასაქმებულებად.

_სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მომუშავეთა საერთო რაოდენობის 53,8% და თვითდასაქმებულთა 81,8%, ამასთან ეს საქმიანობა ძირითადად ორიენტირებულია ნატურალურ შემოსავალზე და, უმეტეს შემთხვევაში, იძულებითი ხასიათის, დაბალმწარმოებლური, არაეფექტიანი და არასრულია. საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის IPM–ის მიერ 2002 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მხოლოდ 13-15% ყიდის საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, უმთავრესად, პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება[1].

_დაქირავებით დასაქმებულია მომუშავეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 35,5%. 1990 წლიდან მოყოლებული, განუხრელად მცირდება დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა და წილი დასაქმებულებში, მაშინ, როცა შედარებით სტაბილური სამუშაო ადგილები და შემოსავლები, როგორც წესი, ამ სფეროშია. მის განვითარებაზეა დამოკიდებული შრომის ბაზრის ფუნქციონირების არეალი და მასშტაბები.

დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით ნათლად ასახავს ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ დეფორმაციასა და შეუსაბამობას მომავალი განვითარების ამოცანებთან. კერძოდ, მრეწველობაში დასაქმებულია მომუშავეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 4,9%, მშენებლობაში 1,9%, ტრანსპორტსა და

[1] იხ. IPM–ის ანგარიში: შრომის ბაზრის შესწავლა საქართველოში. თბ., 2002

კავშირგაბმულობაში _ 4,3%; ვაჭრობაში_ 11,7%, სახელმწიფო მართვასა და თავდაცვაში_ 5,9% და ა.შ.

_დაქირავებით მომუშავეთა 65,1% სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული, მათგან 77%-ზე მეტი _ საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში (ძირითადად სახელმწიფო მართვისა და თავდაცვის დაწესებულებებში). ამ სექტორში კი არსებითად არის შეზღუდული შრომის ბაზრის ფუნქციონირების პირობები და რთულია საბაზრო მექანიზმების გამოყენება. არასახელმწიფო საკუთრების საწარმოებში დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობა 2002 წლის მონაცემებით შეადგენდა მხოლოდ 204,3 ათას კაცს.

_თვითდასაქმებულთა ძირითადი ნაწილი (43,8%) ოჯახურ საწარმოში ან ახლობლისათვის უსასყიდლოდ მომუშავე პირია; ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობით დასაქმებულია თითქმის ნახევარი მილიონი კაცი ანუ თვითდასაქმებულთა 37,8%. თვითდასაქმებულებს შორის ძალიან მცირეა დამქირავებელთა, დამსაქმებელ მეწარმეთა წილი (2_2,5%), არადა, ეს ის ფენაა, რომელმაც გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებასა და უმუშევრობის დაძლევაში.

_როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში დაბალია სამუშაო ძალის ფასი და დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ეროვნულ მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 105,9 ლარია, თვითდასაქმებულების საშუალო თვიური წმინდა შემოსავალი კი _ 126,0 ლარი (2002 წლის მდგომარეობით). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ფულადი შემოსავლების განაწილების უთანაბრობის მაჩვენებელი (ჯინის ინდექსი) საქართველოში ძალიან დიდია და ხასიათდება ზრდის ტენდენციით, ცხადი იქნება ის ფაქტი, რომ მომუშავეთა უმრავლესობა დასაქმებიდან ღებულობს ზემოთაღნიშნულზე

ბევრად ნაკლებ შემოსავალს. შემოსავლები მკვეთრად არის დიფერენცირებული არა მარტო კერძო სექტორში, არამედ საბიუჯეტო სექტორშიც.

_დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე არის ძირითადი მიზეზი მომუშავეთა მეორადი დასაქმებისა, ან სხვა დამატებითი სამუშაოს შესრულებისა. საქართველოში მეორადი საქმიანობით დაკავებულია მომუშავეთა 10-12%[2]. მათგან 90%-ისათვის მეორადი დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი აუცილებელია საკუთარი თავისა და ოჯახის სარჩენად, ფიზიკური გადარჩენისათვის.

_საქართველოს შრომის ბაზარი არის აშკარად შრომაჭარბი, ანუ სამუშაო ძალის მიწოდება ბევრად აღემატება მასზე მოთხოვნას. ამასთან ის სამუშაო ადგილები, რომლებიც არსებობს, ან ახლად იქმნება, ან ძალიან მაღალი პროფესიული დონის კადრებზე აცხადებენ პრეტენზიას, ან, უფრო ხშირად, დაბალკვალიფიციურზე (შესაბამისად, დაბალი ანაზღაურებით). პირველის შესაბამისი განათლება ბევრისათვის მიუწვდომელია, ხოლო მეორე _ ბევრისათვის მიუღებელი. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდების პირობებშიც სამუშაო ძალაზე მიმდინარე მოთხოვნის ნაწილი დაუკმაყოფილებელია.

_სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის არსებული ხარისხობრივი დისპროპორცია თვალნათლივ დასტურდება დასაქმებულთა მიერ დაკავებულ სამუშაო ადგილებსა და მათ პროფესიულ განათლებას შორის შეუსაბამობით. IPM-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, დაქირავებით დასაქმებულთა დიდი ნაწილი (40-42%) მუშაობს «სრულიად სხვა პროფესიით» და ასრულებს სამუშაოს, რომელიც არ შეესაბამება განათლებით მიღებულ პროფესიას.

---

[2] სტატისტიკური კრებული «სამუშაო ძალა საქართველოში». თბ., 2001. გვ. 121-122

ასეთი კატეგორიის წილი კიდევ უფრო მეტია თვითდასაქმებულებს შორის.

_სამუშაო ძალის პროფესიული ორიენტაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული მობილურობის შესწავლით დადგინდა, რომ შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის მკვეთრი სიჭარბის მიუხედავად, სულ უფრო იზრდება და მომავალშიც გაიზრდება უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულთა რაოდენობა. 1990_002 წლებში საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი 19 ერთეულიდან გაიზარდა 180 ერთეულამდე, ხოლო მათში სტუდენტების რიცხვი 103,9 ათასიდან 153,7 ათასამდე. ეს კიდევ უფრო აღრმავებს შრომის ბაზარზე არსებულ დისბალანსს და წარმოქმნის «დიპლომიანი უმუშევრების» პრობლემას.

_უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდების პირობებშიც საქართველოს შრომის ბაზარზე შეინიშნება საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების დეფიციტიც. ეს, ნაწილობრივ, აიხსნება პროფესიული მომზადების დაბალი დონით, მაგრამ, უფრო მეტად, არასწორი საკადრო პოლიტიკით. IPM-ის კვლევით დადგინდა, რომ დღეისათვის საქართველოში ყველა ტიპის (სახელმწიფო, კერძო, საერთაშორისო, არასამთავრობო) ორგანიზაციების უმრავლესობისათვის მომუშავეთა სამუშაოზე მიღების ყველაზე გავრცელებული მეთოდია ნაცნობების დახმარება (რეკომენდაცია, თხოვნა), ხოლო დასაქმების სამსახურებისადმი მიმართვა _ ყველაზე იშვიათი. ამის შედეგად ყალიბდება «ჩაკეტილი» შრომის ბაზარი, სადაც ფაქტობრივად არ მოქმედებს თავისუფალი საბაზრო კონკურენციის პრინციპები.

_სრულყოფას საჭიროებს კადრების მომზადების სტრუქტურა და სწავლების ხარისხი. კვალიფიკაციის დონისა და დარგობრივი ჯგუფების მიხედვით პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეთა განაწილების ანალიზი მოწმობს, რომ იგი, არსებითად, არ შეესაბამება სამუშაო ძალაზე შრომის

ბაზრის მოთხოვნას. აუცილებელია პროფესიული განათლების სისტემის მისადაგება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, სწავლების მოდულურ სისტემაზე გადასვლა და კადრების მომზადება საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას შრომის შიგა და საერთაშორისო ბაზარზე.

_საქართველოს შრომის ბაზარი ნაკლებად მოქნილი და არამობილურია. ეს განპირობებულია იმით, რომ ორგანიზაციების უმრავლესობისათვის პრობლემატურია როგორც კადრების შერჩევა-აყვანა, ისე სამსახურიდან მათი გათავისუფლება. მასობრივი უმუშევრობის პირობებში სამსახურიდან პიროვნების გათავისუფლება საქართველოში აღიქმება მის «გაწირვად», ვინაიდან არ არსებობს უმუშევართა სოციალური დაცვის რაიმე ღირებული მექანიზმი.

_საქართველოში განუვითარებელია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა. ფუნქციონირებადი დასაქმების სამსახურები, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ ასრულებენ კარგი «გამტარის» ფუნქციას. IPM–ის კვლევის შედეგებით, მოსახლეობისა და დამქირავებლების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის ინფორმირებული დასაქმების სახელმწიფო სამსახურის არსებობისა და დანიშნულების შესახებაც კი. ვაკანსიების მოპოვების სირთულე, დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა, უმუშევრობისათვის შემწეობის სიმცირე და მისი მიღების მექანიზმის მოუქნელობა განაპირობებენ იმას, რომ დაუსაქმებელი მოსახლეობა იშვიათად მიმართავს დასაქმების სახელმწიფო სამსახურს შრომით მოწყობაში დახმარებისათვის. დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებულია უმუშევართა საერთო რაოდენობის მხოლოდ 8-9%. დაბალია ასევე დასაქმების კერძო სამსახურებისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხი.

_ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც ხელს უშლის შრომის ბაზრის ფუნქციონირებას, არის სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა, სამუშაოს ძებნისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების უქონლობა. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ აშშ-ის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებს რამდენიმე წლის განმავლობაში ასწავლიან სამუშაოს მოძებნის ხერხებსა და მეთოდებს.

ამრიგად, საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების ხელშემშლელი ფაქტორებიდან ნაწილი ობიექტური, ნაწილი კი სუბიექტური ხასიათისაა, მაგრამ შედეგი ერთია: საქართველოში სამუშაო ადგილის მოძიება უაღრესად რთულია, ხოლო დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები არ არის საკმარისი საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენისათვის. სწორედ დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა და შრომის ბაზრის ჩამოუყალიბებლობა, სამუშაო ძალის დაბალი ფასი (დაბალი ანაზღაურება) აიძულებს საქართველოს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს ემებოს სამუშაო და არსებობის წყარო ქვეყნის გარეთ, თუნდაც პირადი ღირსების შელახვისა და თავისუფლების დაკარგვის ფასად. ამას ადასტურებს შრომითი ემიგრაციის სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგები. მაგალითად, 2002 წელს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევის შედეგებით, შრომით ემიგრანტთა 75%-ის წასვლის ძირითადი მოტივია ეკონომიკური გაჭირვებისაგან თავის დაღწევის სურვილი, რაც უშუალოდ უკავშირდება დაუსაქმებლობისა და შრომის დაბალი ანაზღაურების პრობლემებს.

საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარება, მათი ცვლილების პერსპექტივები ჯერ-ჯერობით ნამდვილად არ იძლევა საფუძველს ოპტიმისტური შეფასებისათვის. უფრო მეტიც, სახელმწიფო მართვის სისტემის დაგეგმილი რეორგანიზაციის, განათლებისა და ჯანდაცვის

ობიექტების რესტრუქტურიზაციის შედეგად უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ამ სფეროებში დასაქმებულთა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება; ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, აგრეთვე, ტრანსპორტის სფეროში არსებული არაბუნებრივად მაღალი კონკურენციის გამო თანდათანობით გამოიდევნება აქ მომუშავეთა ნაწილი; წვრილი გლეხური მეურნეობების დაბალეფექტიანობის გამო შემცირდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობაც. საკუთარი საინვესტიციო რესურსების შეზღუდულობის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს არარსებობის, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის, დაუხვეწავი საგადასახადო სისტემის, ქვეყანაში გამეფებული კორუფციის პირობებში თითქმის შეუძლებელია დროის მოკლე პერიოდში ეროვნული ეკონომიკის ინდუსტრიული თუ სხვა დარგების აღორძინება-განვითარება და ახალი დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. აღნიშნულის გამო უმუშევრობას საქართველოში ზრდის ტენდენცია ექნება საშუალოვადიან პერსპექტივაშიც. ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შემთხვევაშიც ეკონომიკის განვითარების შესაძლო ტემპები ვერ უზრუნველყოფს რეალური საფუძვლების შექმნას მომუშავეთა შრომის ანაზღაურების მკვეთრი ზრდისათვის. შემოსავლების მიღების სხვა წყაროების (მატერიალური და ფულადი რეზერვები, უცხოური დახმარებები და სხვ.) ამოწურვისა და შეზღუდულობის გამო, სავარაუდოდ, ვერ გაუმჯობესდება მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების დონე. მეორე მხრივ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებისა და ხანდაზმულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის პირობებში მნიშვნელოვნად გაიზრდება დასაქმებულთა ეკონომიკური დატვირთვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებელი ამოცანაა ქვეყანაში ეკონომიკური გარემოს შეცვლა და ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება,

რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სამეწარმეო აქტიურობის ზრდას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარებას ურთიერთსარგებლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე (მათ შორის სამუშაო ძალის გაცვლის სფეროში). ამაზეა დამოკიდებული დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობაც. შრომითი ემიგრაციის სახელმწიფო რეგულირების სტრატეგია თანამედროვე ეტაპზე უნდა იყოს არა მისი აკრძალვა, არამედ მისი ლეგალიზაციის ხარისხის ამაღლება და სახელმწიფოს, კერძოდ, დასაქმების სახელმწიფო სამსახურის როლის გაზრდა მიგრაციის პროცესების მართვის პროცესში.

Tsiuri Antadze

EXISTING SITUATION ON THE LABOR MARKET AND ITS IMPACT ON LABOR EMIGRATION

(Abstract)

Existing situation on the labor market of Georgia, limitation of employment possibilities and low cost of labor force are main conditioning factors of labor emigration.

According to the statistical data in 2000, the rate of unemployment in Georgia made up 12.6%; in the estimation of some experts the actual level of unemployment in the country is 30-35%. Only 35.5% of the employed work through employers and the rest are self-employed.

Distribution of the employed by the sectors and fields of economy is not rational and doesn't correspond to the demands of the country's future development.

The cost of labor force is low in both state and private sectors. The incomes of the absolute majority of the employed are less than the

subsistence minimum and the employment is often of forced nature, imperfect and ineffective.

There is a sharp imbalance between demand and supply of labor force by both quantitative and qualitative parameters. The problem of "the unemployed with diploma" is unduly severe like the problem of "poor employees."

The area and scales of the functioning of labor market are limited and because of this, the market is unformed, inflexible and less mobile. The labor market infrastructure is not developed and the job-seekers don't have proper skills for active job seeking and self-presentation. The labor market of Georgia is "closed" – the selection and acceptance of personnel as well as their lay-off are problematic for the majority of organizations.

Unfavorable economic environment considerably lessens the effectiveness of the state employment policy. Therefore, to solve the existing problems in the population employment sphere depends on the change of the country's economic environment and formulation and implementation of fair economic policy.

მედეა გოცირიძე

შრომითი მიგრაციის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში

საქართველოდან მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის მიზეზებისა და ფაქტორების კვლევა გვიჩვენებს, რომ იგი ძირითადად განპირობებულია ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობებით, დასაქმების შესაძლებლობების არარსებობითა და დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების სიმცირით. შრომით ემიგრანტთა მიერ გამოგზავნილი ფულადი რესურსები და სხვა სახის დახმარება საქართველოში ბევრი ოჯახის არსებობის ერთადერთი წყაროა. ეს მიანიშნებს შრომითი ემიგრაციის პოზიტიურ სოციალურ-ეკონომიკურ როლზე ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფიზიკური გადარჩენასა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ამასთან, შრომითი ემიგრაცია თითქმის მთლიანად არალეგალურია, რაც ქმნის თრეფიკინგისა და ადამიანის უფლებების დარღვევების პირობებს. იგი სერიოზულ პრობლემებს უქმნის მიმღები ქვეყნების ხელისუფლებასა და მოსახლეობასაც.

დღეისათვის საქართველოში სახელმწიფოს როლი შრომითი ემიგრაციის რეგულირების სფეროში გამოხატულია სრული ჩაურევლობითა და ემიგრანტთა პრობლემების სრული იგნორირებით.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასა და ასაკობრივ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები, ეკონომიკური განვითარების ტემპები და პერსპექტივები არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. კერძოდ, საქართველოს მოსახლეობა დემოგრაფიულად გადაბერებულია და გადაბერების ტემპები ჩქარდება; ოფიციალური მონაცემებით 2000 წლიდან მიმდინარეობს მოსახლეობის ბუნებრივი დეპოპულაცია; 2010 წლიდან მოსალოდნელია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის

რაოდენობის აბსოლუტური კლება, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზრდება მოსახლეობის დემოგრაფიული (ძირითადად საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი ზრდით) და ეკონომიკური დატვირთვა. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შემთხვევაშიც ნაკლებად სავარაუდოა დასაქმების სფეროში არსებული სიტუაციის მკვეთრად გაუმჯობესება. პირიქით, სავარაუდოა, რომ სახელმწიფო მმართველობისა და საბიუჯეტო სექტორის საწარმოებში დაგეგმილი რესტრუქტურიზაცია კიდევ უფრო დაამძიმებს შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არსებობს მკვეთრი ხარისხობრივი დისბალანსი სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის იგი კიდევ უფრო ღრმავდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ იძულებითი შრომითი ემიგრაცია ჯერ კიდევ დიდხანს იქნება განპირობებული ობიექტური გარემოებებით.

არალეგალური ემიგრაციის ბუნებიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულია სამშობლოში უკან დაბრუნების პროცესიც, რის გამოც არალეგალურ ემიგრანტთა ნაწილი რჩება საზღვარგარეთ. გარკვეული ვადით სამუშაო ძალით ორგანიზებულად გაყვანის შემთხვევაში კი მათი უკან დაბრუნების მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსათვის მიმდინარე ეტაპზე და საშუალოვადიან პერსპექტივაში შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიას უნდა წარმოადგენდეს სამუშაო ძალის ემიგრაციის ლეგალიზაციის ხელშეწყობა, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მაქსიმალური ზრუნვა ემიგრანტთა შრომითი და სოციალური უფლებების დასაცავად. საჭიროა, აგრეთვე, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის სტიმულირება სამუშაო ძალის დროებითი დასაქმების სფეროში ურთიერთსარგებლიანობისა და ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენების პრინციპების დაცვით, მით უფრო, რომ

საქართველოს შრომითი რესურსების ინტელექტუალური პოტენციალი, შესაძლოა, საინტერესო აღმოჩნდეს ბევრი უცხო ქვეყნის შრომის ბაზრისათვის.

შრომითი მიგრაციის სახელმწიფო რეგულირების აღნიშნული სტრატეგიის მხარდასაჭერად პირველ რიგში უნდა შეიქმნას სათანადო სამართლებრივი საფუძველი. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს შრომითი მიგრაციის რეგულირების სამართლებრივი ბაზა. საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ გასვლისა და უცხოელი მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს კანონებით: «უცხოელთა საქართველოში დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ», «საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ», მაგრამ შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულია კანონპროექტი «შრომითი მიგრაციის შესახებ». მისი გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი არ შეესაბამება საქართველოში შრომითი მიგრაციის რეგულირების ამოცანებს და ვერ შექმნის სამართლებრივ საფუძვლებს იმ მწვავე პრობლემების გადასაჭრელად, რაც ამ სფეროში არსებობს და განაპირობებს შრომითი ემიგრაციის არალეგალურ ხასიათს. კერძოდ, კანონპროექტში ნათლად არ არის მოცემული შრომითი მიგრაციის სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები და მექანიზმები, სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანები და მათი რეალიზაციის გზები. კანონპროექტით შემოთავაზებული მიგრაციის სახელმწიფო რეგულირების სისტემა უამრავი ბიუროკრატიული ბარიერის არსებობას შეუწყობს ხელს და ვერ უზრუნველყოფს შრომითი მიგრაციის ლეგალიზაციას. კანონპროექტში აქცენტი გაკეთებულია სამუშაო ძალის

იმპორტსა და ექსპორტზე სახელმწიფო ნებართვების გაცემასა და შესაბამის სახელმწიფო მოსაკრებელზე, მაგრამ განსაზღვრული არ არის სახელმწიფოს როლი და ვალდებულებები საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში და მიგრაციული პროცესების ორგანიზებაში. აღნიშნული კანონპროექტით, სახელმწიფოს მიგრაციის სფეროში ეკისრება მხოლოდ მაკონტროლებლის ფუნქციები და ისიც საკმაოდ რთული და მოუქნელი მექანიზმებით. კერძოდ, კანონპროექტით განსაზღვრული მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოების სიმრავლე (5 სამინისტრო და 2 დეპარტამენტი) და მათ შორის ფუნქციების გაბნევა ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის შრომითი მიგრაციის რეგულირებას.

კანონპროექტში სტრუქტურულად გამიჯნული არ არის შრომითი იმიგრაციისა და ემიგრაციის რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები, სამართლებრივი რეგულირების ბერკეტები და მექანიზმები, პროცესში მონაწილე სუბიექტები, მათი უფლებები და მოვალეობები, რაც პრაქტიკულად გამოუყენებელს გახდის მას და შექმნის საფუძველს თვითნებობისა და კორუფციისათვის.

კანონპროექტით განსაზღვრულია მეტისმეტად მკაცრი და ხშირად ბიუროკრატიული მოთხოვნები დასაქმების კერძო სააგენტოებისადმი, დამქირავებლებისა და სამუშაოს მაძიებლებისადმი. მაგალითად, სამუშაო ძალის იმპორტის თაობაზე ნებართვის ასაღებად «დამქირავებელმა ან მისმა წარმომადგენელმა უნდა დაასაბუთოს 45 დღის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე სამუშაოს შემსრულებლის უშედეგოდ ძებნა, უნდა წარმოადგინოს სამუშაო ადგილის დეტალური აღწერა,... ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოების დასკვნა უცხოელის კონკრეტულ საწარმოში, დარგში ან რეგიონში შემოყვანის მიზანშეწონილობის თაობაზე და ა.შ.

კანონპროექტში საერთოდ არაფერია ნათქვამი დასაქმების სახელმწიფო სამსახურის როლსა და მნიშვნელობაზე შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში. არადა, ჩვენი აზრით, სწორედ მან უნდა შეასრულოს მთავარი როლი შრომითი მიგრაციის პროცესების რეგულირებაში, განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე.

ჩვენი აზრით, კანონპროექტი «შრომითი მიგრაციის შესახებ» საჭიროებს არსებით ცვლილებებს. მისი სრულყოფა და კანონის მიღების პროცედურა საკმაო დროს მოითხოვს, მაგრამ იგი გადაუდებელი ამოცანაა. პარალელურად უნდა დაჩქარდეს გაეროსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იმ კონვენციებთან საქართველოს მიერთების პროცედურა, რომლებიც ქმნიან შრომითი მიგრაციის რეგულირების სამართლებრივ საფუძვლებს საერთაშორისო დონეზე. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია:

1. გაეროს საერთაშორისო კონვენცია «შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ»;

2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები:

№97_ «შრომითი მიგრანტების შესახებ (გადასინჯული)», 1949წ.

№143_ «მიგრაციის სფეროში ბოროტგანზრახვათა (დანაშაულობათა) შესახებ და შრომითი მიგრანტებისათვის შესაძლებლობებისა და მოპყრობის თანასწორი უზრუნველყოფის შესახებ», 1975წ.

(ამ კონვენციას მოიხსენიებენ ასეც: «შრომითი მიგრანტების შესახებ (დამატებითი დებულებები)»);

3. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციები:

№18_ «სოციალური დაცვის სფეროში ქვეყნის მოქალაქეების, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა თანასწორი უფლებების შესახებ», 1949წ.

№151_ «შრომითი მიგრანტების შესახებ», 1975წ.

საქართველოში უკვე დაწყებულია პროცედურა შსო-ის №97 კონვენციისა და №118 რეკომენდაციის რატიფიკაციისათვის. სასურველია მათთან ერთად განხორციელდეს შსო-ის №143 კონვენციისა და №151 რეკომენდაციის რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტის მიერ.

უახლოეს მომავალში საქართველო მიუერთდება «ევროპის სოციალურ ქარტიას (შესწორებული)». როგორც ცნობილია, მასში საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი შრომით მიგრანტთა უფლებები და მათი დაცვის გარანტიები. ყოველივე ეს, ფაქტობრივად, შექმნის საქართველოში შრომითი მიგრაციის რეგულირების საერთაშორისო სამართლებრივ ბაზას. «შრომითი მიგრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მიღება კი უზრუნველყოფს მიგრაციული პროცესების სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივი მექანიზმებისა და ბერკეტების ფორმირებას, რაც ხელს შეუწყობს შრომითი მიგრაციის ლეგალიზაციას და გაზრდის მის სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას.

Medea Gotsiridze

LEGAL GROUNDS OF THE REGULATION OF LABOR MIGRATION

(Abstract)

At present in Georgia the role of the state in the sphere of labor migration is uncertain and the problems of emigration are ignored. There is no legal base or leverage for labor migration regulation. Although the draft law "on labor migration" has been prepared, it is not consistent with the contemporary tasks of the regulation of labor migration in Georgia and it won't promote legalization of labor emigration.

In the draft law the directions and mechanism of the state regulation, tasks of state policy and the ways of realization are not determined clearly. The system given in the draft law will favor the existence of many bureaucratic barriers and won't provide legalization of labor migration. In the draft law the focus is shifted to the state permission of the manpower import or export and to the administration dues. The role and obligations of the state in the sphere of international cooperation and organization of migratory processes are not determined. By noted draft law the government is entrusted with controlling functions which are characterized by fairly tough and inflexible mechanisms.

After the perfection of the draft law "on labor migration" the Parliament of Georgia must expedite its passing. At the same time the joining procedure of Georgia with the UN and International Labor Organization convention must be finalized. It will create legal grounds for the regulation of labor migration at the international level.

ეზია შელია

შრომით ემიგრანტთა დემოგრაფიული სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლები

საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია ხასიათდება რიგი თავისებურებებით. იგი მიმდინარეობს ინტენსიური დეპოპულაციის ვითარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსახლეობის მუდმივი მიგრაციის მაღალი ინტენსივობა და შობადობის დონის მკვეთრი შემცირება. ამასთან, უკიდურესად უარყოფითია შრომითი ემიგრაციის გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე. რაც გამოიხატა იმით, რომ ა) შემცირდა სახეზე მყოფი მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა; ბ) დეფორმირდა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა; გ) შრომითი ემიგრაცია, ნაწილობრივ, გადაიზარდა მუდმივ ემიგრაციაში და კვლავაც მაღალი რჩება შრომითი ემიგრაციის მუდმივ ემიგრაციად გადაზრდის ალბათობა; დ) მკვეთრად შესუსტებულია შრომით ემიგრანტთა კონტინგენტის რეპროდუქციული ქცევა.

თუ გაგრძელდა არსებული დემოგრაფიული ტენდენციები, გაეროს შეფასებით, 2000-2050 წწ. საქართველოს მოსახლეობა 2 მლნ-ით შემცირდება, რაც ამჟამინდელი მოსახლეობის თითქმის 40%-ს შეადგენს. ევროპაში ასეთი დონის შემცირება ნავარაუდევია მხოლოდ ბულგარეთის, უკრაინისა და ესტონეთისათვის.[1]

ამჟამად საქართველო პრაქტიკულად ვერ ატარებს დემოგრაფიულ პოლიტიკას. გაუკაცრიელების საფრთხის წინაშე დგას მისი ზოგიერთი რეგიონი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერითა და ჩვენი მონაწილეობით შრომითი ემიგრაციის შესწავლის მიზნით გამოკვლეული ოთხი

[1] Демоскоп, 2002, №59-60, с.16-17

რეგიონიდან (თბილისი, რუსთავი, ტყიბული, ახალქალაქი) ტყიბულის რეგიონში 1990 წლის შემდგომ მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი დადებითი 6 პრომილედან 2001 წლისათვის უარყოფითი 5,2 პრომილემდე შეიცვალა და განვითარდა ინტენსიური ბუნებრივი კლება, რაც დაემატა მოსახლეობის მიგრაციულ კლებას და ინტენსიური დეპოპულაციური ვითარება განაპირობა. ტყიბული დემოგრაფიულად მზარდი ქალაქი არც 1990-იან წლებამდე იყო, მაგრამ 1991 წლიდან აქ ბუნებრივი მატების მაჩვენებელი უარყოფითი გახდა. ასაკობრივი სტრუქტურა კი იმდენად დეფორმირებული, რომ იგი ე. როსეტის სკალით «დემოგრაფიული დაბერების ძლიერ განვითარებულ დონეზეა» ($K_{სიბ.}$ > 18%), რის გამოც დღესდღეობით ტყიბულს შეიძლება «პენსიონერთა ქალაქი» ვუწოდოთ. ტყიბულის მთავარი ქალაქწარმომქმნელი დარგის _ ქვანახშირის მოპოვების შეწყვეტამ, რეგიონის უკიდურესი მონოდარგოვანი განვითარების გამო, აქ სრული დეპოპულაცია გამოიწვია, რითაც ის აშკარად განსხვავდება სხვა გამოკვლეული ქალაქებისაგან, რომლებიც, მართალია, განიცდიან დემოგრაფიულ კრიზისს, მაგრამ, ტყიბულისაგან განსხვავებით, ბუნებრივი მატების თითქმის ნულოვანი დონე მაინც შეინარჩუნეს. თბილისმა, რუსთავმა და ახალქალაქმა ეს შეძლო 90-იან წლებამდე არსებული შედარებით უფრო ახალგაზრდული ასაკობრივი სტრუქტურის გამო.

აღსანიშნავია, რომ შრომით ემიგრანტთა დიდი ნაწილი დაოჯახებულია (57%), მესამედზე მეტი დაუოჯახებელი, ე.წ. ქორწინებაში არასდროს მყოფი (35%). მესამედი კი ქალია. ასაკობრივი განაწილების თვალსაზრისით, ნაკადი ახალგაზრდათა და აქტიური შრომის ასაკის მქონე პირთა დიდი წილითაა წარმოდგენილი (92%). ე.წ. «მესამე თაობის» წარმომადგენლები შრომით ემიგრანტთა მხოლოდ 8%-ია (ცხრილი 1). შერჩეულ რეგიონებში შრომით ემიგრანტთა ასაკობრივი ჯგუფები

ძირითადად თანაბრად ნაწილდება. თუმცა ახალქალაქის შრომით ემიგრანტებში შედარებით მაღალია ახალგაზრდობის წილი.

ცხრილი 1

შრომით ემიგრანტთა განაწილება ასაკის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

ქალაქი / ასაკი	თბილისი	რუსთავი	ტყიბული	ახალქალაქი	სულ
16-19	47	44	43	53	47
30-49	43	45	48	44	45
50 და მეტი	10	11	9	3	8
სულ	100	100	100	100	100

მიმღები ქვეყნების მიხედვით შრომით ემიგრანტთა ასაკობრივი შემადგენლობა მეტად განსხვავებულია. ყველაზე ახალგაზრდაა გერმანიაში წასულთა ნაკადი. აქ 24 წლამდე ახალგაზრდაა მთელი კონტინგენტის 57,7%, 30 წლამდე კი _82,4%. ხოლო ყველაზე ხანდაზმულია საბერძნეთში მიგრირებული მოსახლეობა, სადაც 40 წელზე უხნესი პირები შეადგენენ მთელი ნაკადის ნახევარზე მეტს (52,9%). ასეთი ასაკობრივი განსხვავება განპირობებულია როგორც ამ ქვეყნებში იმიგრანტ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სპეციფიკით, ისე ემიგრაციის მიზნების განსხვავებითაც. გერმანიისკენ ილტვის ახალგაზრდობა არა მარტო სამუშაოდ, არამედ სასწავლებლად და, საერთოდ, უცხოეთში, დასავლურ გარემოში ყოფნის სურვილითაც, ხოლო საბერძნეთში _ ძირითადად საოჯახო მომსახურებაში დასასაქმებლად. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ 24 წლამდე ასაკის კონტინგენტში ყოველი მესამე პირის (32%) შრომითი ემიგრაციის მთავარი მოტივია ის, რომ «აინტერესებდა საზღვარგარეთ ცხოვრება და მუშაობა», რაც მათ პრაქტიკულად განახორციელეს კიდეც. ეს კონტინგენტი ყველაზე კარგად ეგუება ახალ გარემოს (77,5%) და შეუგუებლობა ფაქტიურად არ ფიქსირდება. ეს მაშინ, როცა მათი იქაური შემოსავლები ყველა

ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით ბევრად ნაკლებია (ძირითადად 100-500 აშშ დოლარის ფარგლებში ვარირებს). ამასთან, 24 წლამდე ასაკის კონტინგენტი პრაქტიკულად ჯანმრთელად გრძნობს თავს და აქ დარჩენილ ოჯახის წევრებსაც ყველაზე ნაკლებად ეხმარება (45%).

საერთოდ კი, როგორც გამოკვლევით გამოვლინდა, შრომითი ემიგრანტები საკუთარ ჯანმრთელობაზე ნაკლებად ზრუნავენ: იქაური ინტენსიური შრომითი ცხოვრების პირობებში ეს მათი ორგანიზმის ძლიერ ფიზიკურ ცვეთას იწვევს და ზრდის მოკვდავობის რისკს, ცხადია, შესაბამისად, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობასაც. ბუნებრივია, აღნიშნული უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე.

მეტად საინტერესოა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საქართველოში დაბრუნების პირობების ანალიზით მიღებული შედეგი: ახალგაზრდები (16-29წ.) უფრო პრეტენზიულნი არიან. ამიტომაც შემცვლელმა რესპონდენტებმა სამშობლოში დაბრუნების უმთავრეს პირობად მაღალანაზღაურებად სამუშაოზე მოწყობა და ბიზნესის საწარმოებელი თანხის დაგროვება დაასახელეს. ეს პირობა დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებშიც დომინირებს, მაგრამ ახალგაზრდობაში ის მეტადაა გამოკვეთილი, ვიდრე აქტიური შრომის ასაკის (30-49წ.) პირებში და კიდევ უფრო მეტად, ვიდრე «მესამე თაობის» წარმომადგენლებში (50წ. და ზევით), რაც, უდავოდ, გასათვალისწინებელია დასაქმების პოლიტიკისა და სახელფასო პოლიტიკის შემუშავებისას. რეალურად, ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილის დაბრუნება ამ პირობების გარეშე არ მოხდება, რაც კიდევ უფრო დიდ დემოგრაფიულ დანაკარგს მოგვიტანს და გაამწვავებს ისედაც არსებულ დემოგრაფიულ კრიზისს.

შესწავლილი შრომით ემიგრანტთა კონტინგენტის ეროვნული შემადგენლობა ასახავს გამოკვლეული რეგიონების

ეთნოსტრუქტურას (ცხრილი 2). თუ 1990-იანი წლების დასაწყისში შრომით ემიგრანტთა ნაკადში დიდი წილით იყო წარმოდგენილი არაქართველი რუსულენოვანი მოსახლეობა, შემდგომ წლებში მათი დროებითი შრომითი მიგრაცია სტაციონარულში გადაიზარდა. მათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დაიმკვიდრეს საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე. ამავე დროს, უფრო ინტენსიური გახდა ქართველთა შრომითი ემიგრაცია. მაგალითად, ამ გამოკვლევის მიხედვით თბილისიდან ემიგრირებულთა შორის ქართველთა წილმა 90%-ს მიაღწია.

ცხრილი 2

შრომით ემიგრანტთა განაწილება ეროვნების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

ქალაქი / ეროვნება	თბილისი	რუსთავი	ტყიბული	ახალ-ქალაქი	სულ
ქართველი	91	83	96	-	74
სომეხი	4	6	-	100	21
ბერძენი	3	3	2	-	2
ებრაელი	1	-	-	-	0
ოსი	-	4	-	-	1
რუსი	1	2	2	-	1
აზებაიჯანელი	0	2	-	-	0
სხვა	-	-	-	-	-
სულ	100	100	100	100	100

ქართველთაგან რუსეთშია დროებით სამუშაოდ ემიგრირებული მთელი კონტინგენტის მხოლოდ მეოთხედი (26%), მაშინ როცა სომეხთა 87% რუსეთის შრომით იმიგრანტებს წარმოადგენს. თვით სომხეთიდანაც რუსეთისკენაა მიმართული შრომით ემიგრანტთა 2/3-ზე მეტი.[2] ქართველთა შრომითი

[2] Зайончковская Ж. Трудовая миграция: плюсов больше, чем минусов. // Человек и труд, 2001, №11

ემიგრაციის მთავარი ქვეყნებია აშშ (ქართველ ემიგრანტთა 18,3%), გერმანია (17,9%) და საბერძნეთი (15%).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად ტერიტორიული სიახლოვისა და ეთნიკური თანხვედრისა, სომხეთში სამუშაოდ გადის სომეხთა მხოლოდ 3,8%, ხოლო აზერბაიჯანში _ აზერბაიჯანელთა მხოლოდ 22,2%.

სომეხ მოსახლეობაში შრომითი ემიგრაციის მოტივირება მატერიალური მოტივებით უფრო აშკარადაა გამოხატული (91,2%), ვიდრე ქართველებში (75,6%). სომეხ მოსახლეობაში ქართველებთან შედარებით ორჯერ მეტი წილითაა წარმოდგენილი საკუთარი ბიზნესით დაკავებული შრომითი ემიგრანტი, აგრეთვე, ჭარბობს მძღოლები და დამხმარე მუშები; ხოლო ქართველებში მომვლელ-აღმზრდელები, დამლაგებლები და სწავლასთან შეთავსებით მომუშავეები.

გამოკვლევით დადგინდა, რომ პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში საქართველოს წარმომადგენლობას ქართველები უფრო მეტად მიმართავენ, ხოლო სათვისტომოების როლი შედარებით დიდია სომხობაში.

ეროვნებათა მიხედვით განსხვავებულია რეემიგრაციული პოტენციალიც. რესპონდენტთა პასუხების მიხედვით საქართველოში სამუშაოდ გადმოსვლის ალბათობა მეტია ქართველ შრომით ემიგრანტებში, აგრეთვე, საქართველოში მუდმივ მაცხოვრებლად შემორჩენილ ოსებში და რუსებში.

ამრიგად, შრომით ემიგრანტთა ნაკადების სიდიდის, დემოგრაფიული სტრუქტურის მახასიათებლების ანალიზით გამოვლინდა, რომ შრომითი ემიგრაცია უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ პოტენციალზე, რაც გასათვალისწინებელია შრომითი ემიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასების დროს.

Mzia Shelia

MAIN CHARACTERISTICS OF LABOR EMIGRANTS' DEMOGRAPHIC STRUCTURE

(Abstract)

The impact of labor emigration on the demographic potential of Georgia is extremely negative and this is expressed by:

a) decrease of the absolute number of de facto population;

b) deformation of population age structure;

c) labor emigration in part turned into permanent emigration and the likelihood of its turning into permanent emigration is still high;

d) reproduction behavior of the contingent of labor emigrants is drastically worsened.

A third of labor emigrants is female; 57% of this contingent is married. Age composition is characterized by equal distribution, but there are some substantial differences by the countries of immigration and that is conditioned by the differences in the purposes of labor emigration.

The ethnic structure of labor emigrants reflects the ethnic structure of the entire population of the emigrants regions. Through the research it is found that remigration potential of Georgian and Ossetian labor emigrants in comparison with the other ethnicities of Georgia is higher.

ამირან ტაკიძე

შრომითი ემიგრაციის ძირითადი ტენდენციები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ისევე როგორც მთელ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, აჭარაშიც ინტენსიურად განვითარდა შრომითი ემიგრაცია. იგი, არსებითად, ცხოვრების დონის დაცემამ გამოიწვია. ქ. ბათუმის პორტისა და აჭარის მრეწველობის დაქვეითებას თან დაერთო საერთაშორისო ბაზარზე აქაური სუბტროპიკული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მკვეთრი შემცირება. იმავდროულად მთიანი ზონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტრადიციული ჩამორჩენილობა კიდევ უფრო გაღრმავდა. შექმნილ მძიმე ვითარებაში მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა, სარჩოს საძიებლად სხვა ქვეყანაში წასულიყო და თავისი ოჯახი იქ დასაქმებით მიღებული შემოსავლით ერჩინა.

ვინაიდან ოფიციალური სტატისტიკური ორგანოები არ აწარმოებენ შრომითი ემიგრაციის აღრიცხვას, ამიტომ ინფორმაციის მოპოვების მიზნით გამოვიყენეთ საქართველოში აპრობირებული კითხვარი და გავავრცელეთ იგი ქ. ბათუმში, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებში. შემუშავებული მეთოდოლოგიით (ნ. ჭელიძე, Mმ. ტუხაშვილი, ნ. ბერულავა, გ. მაჭარაშვილი)[1] გამოიკითხა 400 შრომითი ემიგრანტის ოჯახის წევრი სოციოლოგიური ინტერვიუს გამოყენებით. საბოლოო

---

[1] ჭელიძე ნ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. თბ., თსუ ,,ცოდნის წყარო». 2000; ტუხაშვილი მ., მაჭარაშვილი გ. ქვემო ქართლის მოსახლეობის შრომითი მიგრაცია. ჟ. «სოციალური ეკონომიკა». 2000, №4; ბერულავა ნ. მიგრაციული პროცესები საქართველოს სამთომომპოვებელ რეგიონებში. თსუ, 2001

დამუშავებისათვის ვარგისად ჩაითვალა 372 ანკეტა, რომლითაც მიღებული ინფორმაცია რეპრეზენტატულად ახასიათებს აჭარის ზღვისპირა ზოლში შრომით ემიგრაციას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური კრიზისის დაწყებისას შრომითი მიგრაციული ნაკადი მიმართული იყო უმთავრესად თურქეთისაკენ. ამას ხელს უწყობდა ტერიტორიული სიახლოვე, მგზავრობის მცირე ხარჯი, თურქეთის მოსახლეობის ლოიალური დამოკიდებულება აქაური შრომითი ემიგრანტებისადმი და, ნაწილობრივ, კონფესიური ფაქტორიც. შემდგომ წლებში, თანდათან, გამოჩნდა თურქეთთან შედარებით უფრო ხელსაყრელი მიმართულებებიც და ამჟამად უკვე დომინირებული მიმართულებაა რუსეთი (შრომით ემიგრანტთა 41,4%), საბერძნეთი (14,5%), გერმანია (13,4%). აშშ (12,9%), რაც შეეხება თურქეთს, მთელ ნაკადში მისი წილი 4,9%-ს არ აღემატება. ამის მიზეზია თურქეთში შრომის დაბალი ანაზღაურება და ენობრივი ბარიერი.

ემიგრანტთა შორის ყოველი მესამე ქალია (33,9%). საქართველოს სხვა რეგიონებისაგან ამ თვალსაზრისით აჭარა არ განსხვავდება. მაგალითად, ქვემო ქართლში ანალოგიური მაჩვენებელი 29.3%-ს არ აღემატება,[2] ამბროლაურის რაიონიდან საშოვარზე წასულ მოსახლეობაში ქალი მხოლოდ 13%-ია,[3] ტყიბულის, საჩხერის და ჭიათურის რაიონებიდან წასულთა შორისაც ქალთა წილი მესამედია (31,1%)[4]. რაც შეეხება ქ. ბათუმს აქ ქალთა წილი შედარებით მეტია- 41%. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის შრომით ემიგრაციაში კონფესიური ფაქტორებით შრომითი მობილურობის შეზღუდულობა არ გამოვლენილა.

შრომით ემიგრანტთა 89,2% _ ქართველი მოსახლეობაა, ეროვნულ უმცირესობათაგან გამოირჩევიან რუსები (4,3%) და

---

[2] ტუხასვილი მ., გ. მაჭარაშვილი. დასახელებული ნაშრომი, გვ.36

[3] ჭელიძე ნ. დასახელებული ნაშრომი, გვ.15

[4] ბერულავა ნ. დასახელებული ნაშრომი, გვ.9

ბერძნები(3,2%). ემიგრანტთა ნაკადში მაღალი ინტენსიურობით გამოირჩევა 26-30 წწ. (21,5%) და 41-45წწ. (26,3%) ასაკობრივი ჯგუფები. საკმაოდ ინტენსიურად მონაწილეობს ხანდაზმული მოსახლეობაც. მაგალითად, ე.წ. «მესამე ასაკი»-ს (50 წელს გადაცილებული) შრომით ემიგრანტთა წილი საშოვარზე გასული მთელი კონტინენტის 8,7%-ია.

რესპონდენტთა 78,5% პირდაპირ მიუთითებს ემიგრაციის მთავარ მიზეზად ეკონომიკურ პირობებს. აღსანიშნავია, რომ აქ დარჩენილი ოჯახების 47,4%-ს თითქმის არავითარი შემოსავალი არ აქვთ. ახალგაზრდა ნაწილში კი საკმაოდ დიდი წილი უკავია კვალიფიციური ზრდისა და უცხო ენის განმტკიცების სურვილს, ასევე ქორწინებას.

ნიშანდობლივია, რომ აჭარიდან, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებიდან, შრომით ემიგრაციაში მიდის შრომითი რესურსების ყველაზე მაღალკვალიფიციური, განათლებული ნაწილი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მათ შორის უმაღლესი განათლება აქვს 57,5%-ს, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება_ 6,5%-ს (ძირითადად სტუდენტობა), ხოლო საშუალო-სპეციალური _ 10,8%. პროფესიის მიხედვით ჭარბობენ ეკონომისტები (21,5%), ინჟინრები (16,1%), იურისტები (9,7%), მასწავლებლები (6,5%) და ექიმები (4,8%).

მიმღებ ქვეყანაში შრომითი ემიგრანტები დასაქმებულნი არიან მეტად დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე. საოჯახო მომსახურებაში ჩაბმული (მომვლელი, მოახლე, ძიძა) მათი მეოთხედია, დამხმარე მუშაა 26,9%, მხოლოდ 10,2%-ია თავისი სპეციალობით მომუშავე. ასეთ დისკრიმინაციულ დასაქმებას ქმნის უცხოეთში არალეგალური ყოფნით გამოწვეული იძულება სამუშაო ძალის იაფად გაყიდვისა, რაც საქართველოსთან შედარებით მაინც ბევრად მაღალ ანაზღაურებას წარმოადგენს. ერთი შრომითი ემიგრანტის საშუალო-თვიური შემოსავალი 1148,4 აშშ დოლარია. მათგან მხოლოდ 84% უგზავნის საქართველოში ფულს თავის ოჯახს; 4%-ს ოჯახი თან ჰყავს

წაყვანილი, ხოლო 12% ფულს ან სხვა დახმარებას არ აგზავნის. ასეთი შედარებით მაღალი შემოსავალი ანალოგიური გამოკვლევებით საქართველოს არცერთ მხარეში არ დაფიქსირებულა,

მაგალითად, ქვემო ქართლიდან წასულთათვის იგი 901,4 აშშ დოლარია[5], თბილისის შრომითი ემიგრანტებიდან 964 აშშ დოლარი. არ გამოვრიცხავთ, ჩვენი გამოკვლევა რომ 3_4 წლის წინ ჩაგვეტარებინა, უფრო მცირე შემოსავლები დაფიქსირებულიყო.

შრომითი ემიგრანტების გზავნილის სიდიდე მათი იქაური შემოსავლის მეოთხედს უდრის. ისინი საშუალოდ თვეში აქ დარჩენილ ოჯახს უგზავნიან 281,1 აშშ დოლარს. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია საქართველოს გამოკვლეულ რეგიონებს შორის და საგრძნობლად აღემატება თვით საქართველოს დედაქალაქიდან ემიგრირებულთა გზავნილებს. აღნიშნული თანხა ძირითადად მოსახლეობას საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას ხმარდება, თუმცა იქმნება მცირე ბიზნესისათვის კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობებიც. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ 500 დოლარზე მეტ გზავნილს იღებს შრომით ემიგრანტთა ოჯახების 28,1%, მათ შორის 1000 დოლარზე მეტს_ 6,3%.

ნიშანდობლივია ისიც, რომ შრომითი ემიგრანტები უცხოეთში თავიანთ საქმიანობას კარგად არიან შეგუებულნი, რაც შეეხება მიმღები ქვეყნის ყოფით გარემოს, მისადმი შეგუებას დადებითი პასუხი მხოლოდ 42,4%-მა გასცა. მათ ძლიერ უჭირთ ოჯახისა და ნაცნობ-მეგობრების გარეშე (30,7%), სამშობლოს მოშორება (15,5%), იქაურ ტრადიციებთან შეგუება (5,3%), კლიმატიც მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის (4,2%) და ა.შ.

---

[5] ტუხაშვილი მ., მაჭარაშვილი გ. დასახელებული ნაშრომი, გვ.37

როგორც გამოკვლევით გამოირკვა, შრომით ემიგრანტთა 38,7%-ს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სამშობლოში დაბრუნება, ამდენივე გაურკვეველ მდგომარეობაშია. საკმაოდ მაღალია მათი წილი, რომელთაც შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილი აქვთ, რომ ხანგრძლივად დარჩნენ უცხოეთში და არ აქვთ სურვილი სამშობლოში სამუშაოდ გადმოსვლისა.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის პირობები, რომელსაც შრომითი ემიგრანტები სამშობლოში დაბრუნებისათვის აყენებენ. (ცხრილი 1)

ცხრილი 1

შრომით ემიგრანტთა პასუხების განაწილება სამშობლოში დაბრუნების პირობების მიხედვით, პროცენტობით ჯამთან

№	სამშობლოში სამუშაოდ გადმოსვლის პირობა	%
1.	იშოვის ნებისმიერ სამუშაოს	13,3
2.	ოჯახის წევრები იშოვიან ნორმალურ სამუშაოს	13,3
3.	იშოვის სამუშაოს ისეთივე ანაზღაურებით, როგორიც ამჟამად აქვს	23,5
4.	დაბრუნდება ამჟამინდელთან შედარებით დაბალი ანაზღაურების შემთხვევაშიც	7,4
5.	იმდენ თანხას დააგროვებს, რომ აქ რაიმე ბიზნესში ჩადებს	22,5
6.	აქ შეიქმნება ნორმალური საწარმოო-შრომითი ვითარება	8,4
7.	მოწესრიგდება საწარმოო, საბაჟო, საგადასახადო პირობები	3,5
8.	პოლიტიკური ვითარება სტაბილური გახდება	3,9
9.	რადიკალურად შემცირდება კორუფციის მასშტაბი	2,8
10.	არ იცის	1,4
სულ		100

ამრიგად, აჭარის მოსახლეობის შრომით ემიგრაციაში არსებითად იგივე ტენდენციები გამოვლინდა, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში განხორციელებული კვლევისას. რაც შეეხება აჭარაში უფრო მეტი რაოდენობის ფულად გზავნილებს, იგი საშუალებას იძლევა არა მარტო ოჯახის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის, არამედ მცირე ბიზნესისათვის საწყისი კაპიტალის დასაგროვებლადაც. ეს მთლიანობაში ზრდის შრომითი ემიგრაციის ეფექტიანობას.

Amiran Takidze

PRINCIPAL TENDENCIES OF LABOR EMIGRATION IN THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

(Abstract)

In the period of current economic crisis the characteristic signs of the developed intensive labor emigration in Adjara are:

a) Drastic fall in living standards;

b) Greater share of females in the flows of labor emigrants;

c) Labor emigrants' contingent represents unduly high-skilled labor force (57.5% has higher education), who are employed abroad in low-skilled jobs;

d) Principal countries of emigration are: Russia (41.4% of labor emigrants), Greece (14.5%), Germany (13.4%), USA (12.9%).

In contrast to the other regions of Georgia, the average monthly amount of cash remittances sent to Ajara amounted to 281.1 thousand US dollars. This amount is sufficient to provide families with subsistence minimum and to raise initial capital for starting small business.

ნინო ბერულავა

მოსახლეობის მუდმივი მიგრაცია საქართველოს სამთომომპოვებელი რეგიონებიდან (ჭიათურისა და ტყიბულის სამრეწველო რაიონების მაგალითზე)

ჭიათურისა და ტყიბულის სამრეწველო რაიონების ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა უკიდურესად მონოდარგოვანი იყო და საბადოთა საუკუნოვანი ექსპლუატაციის განმავლობაში ასეთად შემორჩა. ამიტომ ამ რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარება ქვანახშირისა და მანგანუმის მოპოვებაზე იყო დამოკიდებული. ძირითადი დასახლებაშემქმნელი, ქალაქწარმომქმნელი დარგი ტყიბულის რაიონისათვის ენერგეტიკა იყო, ხოლო ჭიათურის რაიონისთვის (მნიშვნელოვნად საჩხერის რაიონისათვისაც) _ მანგანუმის ამოღება.

აღნიშნულ რეგიონებში 1990-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი უფრო ღრმად წარიმართა, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში. 1988-1998 წლებში პროდუქციის მოცულობა ნატურალურ გამოსახულებაში ჭიათურმანგანუმში 1839,0 ათასი ტონიდან 16 ათას ტონამდე შემცირდა და კრიზისამდელი პერიოდის მხოლოდ 0,9% შეადგინა, შემდგომ წლებში იგი გაიზარდა და 2002 წელს 103,4 ტონას მიაღწია, მაგრამ მაინც ის კრიზისამდელი პერიოდის მხოლოდ 5,6%-ს წარმოადგენს. რაც შეეხება ქვანახშირის ამოღებას, იგი 2002 წელს კრიზისამდელი პერიოდის მხოლოდ 0,4% შეადგენს.

აღნიშნულ პერიოდში ტყიბულსა და ჭიათურაში მარტო მრეწველობიდან გამოიდევნა და ფაქტობრივად უმუშევარი დარჩა 12,1 ათასი კაცი, რაც მოსახლეობის არანაკლებ 50-60 ათასიანი კონტინგენტის დასახლებაწარმომქმნელი, ქალაქწარმომქმნელი ბაზაა და ამ მოსახლეობის სიჭარბით

გამოიხატა. საკვლევი რეგიონები მიწით უზრუნველყოფის თვალსაზრისით მცირემიწიანს განეკუთვნება და არ შეუძლია არა თუ მრეწველობიდან გამოთავისუფლებული ამ კონტინგენტის ეფექტიანი დასაქმება, არამედ ამ რაოდენობის მოსახლეობის სურსათით მინიმალური დაკმაყოფილებაც კი. მრეწველობის განადგურების გამო მოსახლეობის რიცხოვნობამ დემოგრაფიულ ტევადობას გადააჭარბა, რაც შედეგად მაღალი ინტენსივობის მიგრაციული პროცესებით გამოიხატა.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ტყიბულისა და ჭიათურის სამრეწველო რაიონების დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებები, ძირითადად, იმავე ფაქტორებითაა განსაზღვრული, რითაც საქართველოს უმრავლესი რეგიონისა. აღნიშნულ რეგიონებში სამთომომპოვებელმა მრეწველობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოსახლეობის რაოდენობრივ-ხარისხობრივ ფორმირებასა და განსახლების სისტემის ჩამოყალიბებაში. 1959-1989 წწ. საკვლევ დემორეგიონში მოსახლეობა სტაბილური რიცხოვნობის იყო და 147,2 ათასიდან 150,2 ათასამდე უმნიშვნელოდ მოიმატა.

როგორც მთელ საქართველოში, ტყიბულსა და ჭიათურის სამრეწველო რაიონებში განვითარებულმა საყოველთაო კრიზისმა შექმნა კრიტიკული დემოგრაფიული ვითარება და დემოგრაფიული კრიზისიც გამოიწვია, რაც გამოიხატა შობადობისა და ბუნებრივი მატების კატასტროფული შემცირებით და დეპოპულაციური პროცესების განვითარებით, შრომითი რესურსების დემოგრაფიული ბაზის შესუსტებით. 1989-2002 წწ. აღწერათაშორის პერიოდში აღნიშნული რეგიონის მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა 16,8 ათასი კაცით შემცირდა, რაც მთლიანად ცალმხრივი სტაციონარული მიგრაციის შედეგია.

მწვავე ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში მუდმივი მიგრაციის შერჩევითმა შესწავლამ (2001 წ. 315 რესპონდენტი) გვიჩვენა, რომ მიგრანტთა აბსოლუტური უმრავლესობა

ქართველი მოსახლეობაა, მიგრაცია ხდება როგორც ინდივიდუალურად ოჯახის ერთი წევრის (46,7%), ისე ორი (26,0%), სამი (8,9%), ოთხი (8,0%) ან ყველა წევრის, მთელი ოჯახის გადასახლებით (9,5%).

კრიზისამდელ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნადაა შეცვლილი მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მიგრაციის მიმართულებანი. მიგრანტთა 41,9% მუდმივ საცხოვრებლად საზღვარგარეთაა წასული, 58,1% საქართველოს სხვა რეგიონებში გადასახლდა. საზღვარგარეთ წასულთა უმეტესობა დსთ-ის ქვეყნებში, უმთავრესად რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. შიგა მიგრაციაში კი სამი მეოთხედი თბილისში გადასახლდა. თუ კრიზისამდელ პერიოდში უმთავრესად ახალგაზრდობა დომინირებდა მუდმივ მიგრაციაში, ამჟამად მან ყველა ასაკობრივი ჯგუფი მოიცვა. განსაკუთრებით მაღალია მამაკაცთა წილი გადასახლებულთა შორის (64,8%), რაც აძლიერებს ადგილობრივ დემოგრაფიულ და შრომით დისბალანსს.

გამოვლინდა, რომ საკვლევი რეგიონებიდან მიგრირდა და ადგილობრივ შრომით რესურსებს დააკლდა ყველაზე მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელთა უმეტესობა (52,7%) უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია. მიგრირების მიზეზებს შორის აშკარად დომინირებს უმუშევრობა (38,1%) და მატერიალური პირობების გაუმჯობესება (33,0%); მიგრანტთა 10,8% გადასახლებულია იმიტომ, რომ თავისი ოჯახი შიმშილით ფიზიკური განადგურებისაგან იხსნას.

ჩვეულებრივ შემთხვევაში, მიგრაციის შედეგად უმჯობესდება მიგრანტის დასაქმების სტატუსი, მაგრამ, რადგანაც მიგრაცია არაორდინალურ ვითარებაში მოხდა, აქ დასაქმება იცვლება მათი პროფესიულ-კვალიფიციური დონის შეუსაბამოდ, აშკარა დადაბლების პირობებში. ახალ საცხოვრებელ ადგილზე სპეციალობით მუშაობს მიგრანტთა მხოლოდ 13%, მცირე ნაწილი (9,5%) ჩაება ბიზნესში, ინჟინერთა მხოლოდ მეხუთედმა მოახერხა სპეციალობით მუშაობის

გაგრძელება. მათი 21,7% კი დაბალკვალიფიციურ მუშად მუშაობს, 15%_ მაღალკვალიფიციურ მუშად, 11,7% გამყიდველია (ოფიციანტი), მიუხედავად ამისა, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ახალ საცხოვრებელ ადგილზე მათი შემოსავლები შედარებით უკეთესი საწარმოო-ეკონომიკური პირობების გამო აშკარად გაუმჯობესებულია.

ამჟამინდელი სტაციონარული მიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება რეგიონის ეკონომიკის განვითარების მკვეთრი დაცემითა და მიგრანტის მხრივ მიგრაციის აქტის მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღებითაა გამოწვეული. ეს მიგრაცია არ იგეგმებოდა და ფორმირდებოდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე და მასში უფრო სტიქიურობის ელემენტები ჭარბობს. ამიტომაა, რომ, გამოკვლევის მიხედვით, მიგრაციის საბოლოო პუნქტში მიგრანტთა ადაპტაციის პროცესი გაცილებით რთულ პირობებში მიმდინარეობს, ვიდრე სტაბილური განვითარების დროს ობიექტურ კანონზომიერებებს დაქვემდებარებული მიგრაციის შემთხვევაში. ამის გამო, სავარაუდოა, რომ მიუხედავად მიგრაციის სტაციონარული, შეუქცევადი ხასიათისა, როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, გადასახლებულთა არცთუ მცირე ნაწილი (26,7%) საკვლევ რეგიონში ხელსაყრელი ეკონომიკური ვითარების შექნის შემთხვევაში შეიძლება რეემიგრირდეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა აქ გაყიდა სახლ-კარი და ისე წავიდა სხვაგან. რეემიგრაციის მაღალი პოტენციალი საქართველოს მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მიგრაციაში ახალი ნიშანია და მიგრაციული პროცესების შესწავლისა და რეგულირებისას აუცილებლადაა გასათვალისწინებელი.

ამრიგად, 1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისის გამო ჭიათურისა და ტყიბულის სამრეწველო რაიონებში მნიშვნელოვნად შეიცვალა მუდმივი მიგრაციის მიმართულებები, მიზეზები, სტრუქტურულ-დემოგრაფიული

მახასიათებლები. ცვლილებათა არსებითი ნიშანია საზღვარგარეთისაკენ მიმართულ მიგრაციულ ნაკადთა რადიკალური ზრდა, აგრეთვე, მიგრანტთა განსაკუთრებით მაღალი კვალიფიკაცია, რომელიც მკვეთრად შეამცირებს საკვლევი რეგიონის შრომით პოტენციალს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტყიბულისა და ჭიათურის სამრეწველო რაიონების მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ტერიტორიული მობილურობის არარაციონალური ინტენსიურობის ზრდის მთავარი მიზეზია ძირითად ქალაქწარმომქმნელ დარგებში სამუშაო ადგილთა კატასტროფული შემცირება. ამჟამად არსებული რეაბილიტაციის პროექტები ითვალისწინებს ტყიბულის შახტების აღდგენასა და თბოელექტროსადგურის მშენებლობას, რომელიც მშენებლობის პროცესში დაასაქმებს ტყიბულის რაიონისა და, ნაწილობრივ, მიმდებარე რაიონების შრომით რესურსებს. ელქტროსადგურის ამუშავების შემდგომ ნაწილობრივ აღდგება სამუშაო ადგილები ქვანახშირის ამოღებაზე 1000-2000 კაცისათვის, ხოლო ელექტროსადგურის ექსპლუატაციაზე დასაქმდება 250 მუშაკი. ეს მაინც ვერ უზრუნველყოფს კრიზისამდელი ქალაქწარმომქმნელი ბაზის აღდგენას. ამიტომ სავსებით რეალურია ტყიბულის რაიონის მოსახლეობის რიცხოვნობის მნიშვნელოვანი შემცირება, თუმცა, აღნიშნული ღონისძიებებით სავარაუდოა რეგიონისათვის სრული დეპოპულაციის თავიდან აცილება და რაიონის მოსახლეობის არანაკლებ 28-30 ათასი კაცის ფარგლებში შენარჩუნება.

ამჟამინდელი სარეაბილიტაციო პროექტებით გათვალისწინებულია ჭიათურაში მანგანუმის მადნის ამოღების მნიშვნელოვანი შემცირება, ვიდრე ეს იყო კრიზისამდელ პერიოდში და ფაქტიურად დაუტვირთავი 3 ათასი სამუშაო ადგილის შენარჩუნება და სრული დატვირთვა. რეალური ვითარებიდან გამომდინარე, სავარაუდებელია, რომ ჭიათურისა

და საჩხერის რაიონებში კრიზისამდელ პერიოდთან შედარებით სამუშაო ადგილების შემცირების გამო მანგანუმის მოპოვება, როგორც რეგიონის ქალაქწარმომქმნელი ბაზა, არსებითად შესუსტდება და გამოიწვევს მოსახლეობის ნაწილობრივ გადანაწილებას საქართველოს სხვა რეგიონებში. მეორე მხრივ, აუცილებელია რეგიონის პერსპექტიული განვითარების ღონისძიებებში გათვალისწინებული იქნეს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა და მონოდარგოვანი სტრუქტურის თანდათანობით შეცვლა, დასაქმების სტრუქტურული სრულყოფა, რაც გაზრდის დასაქმების დონესა და ეფექტიანობას.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს სწორი მიგრაციული პოლიტიკის გატარებას და აუცილებელი მოცულობის მიგრირების ხელშეწყობას, სხვა რეგიონებში მოსახლეობის ორგანიზებულ გადანაწილებას. მაგრამ ეს უნდა მოხდეს საკვლევი რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო რესურსების მაქსიმალური ათვისებისა და სოციალური განვითარების ყველა შესაძლებლობების ამოწურვის შემდგომ. ამავე დროს, აქტიური დემოპოლიტიკის გატარებით უნდა მოხდეს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ადეკვატურ ღონისძიებათა განხორციელება.

საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს სამთომომპოვებელი რეგიონების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის გააქტიურება, მათ შორის მიგრაციულ პროცესების აღრიცხვისა და შესწავლის გაუმჯობესება და გაღრმავება. იგი შესაძლებელია მოსახლეობის რეგისტრის შემოღებით, რის შემდგომ უფრო ქმედითი გახდება დემოსტრუქტურაზე და მიგრაციულ პროცესებზე პოზიტიური ზემოქმედება.

Nino Berulava

PERMANENT MIGRATION OF POPULATION FROM THE MINING REGIONS OF GEORGIA
(Case of Chiatura and Tkibuli Industrial Regions)
(Abstract)

In 1990s the economic crisis hit the industrial regions of Chiatura and Tkibuli more profoundly than other regions of Georgia. 12 thousand people were laid off from industry alone when mining stopped there. That in its turn gave rise to the development of intensive migration processes. Between the censuses (1989-2002) the number of population of the noted regions declined by 16.8 thousand. That is a result of stationary migration directed to one side.

Current rehabilitation projects only partially provide for the employment of the remaining labor resources and it is likely that population redistribution process from the noted regions will continue. But it should be given relatively organized nature and it must be taken into account during the formation of the state migration policy.

ციური ანთაძე

საქართველოდან შრომითი ემიგრაციის ორგანიზების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე

ემიგრაციის ეფექტიანობა, ემიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ემიგრირების გზებსა და მეთოდებზე, მის ორგანიზაციულ ფორმებზე.

2002 წელს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის ინიციატივითა და ჩვენი მონაწილეობით განხორციელებული კვლევის პროგრამით გათვალისწინებული იყო შრომით ემიგრანტთა მიერ ემიგრირებისათვის გამოყენებული ორგანიზაციული ფორმების დადგენა და შესწავლა[1].

კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ, უმეტეს შემთხვევაში (66,0%), ემიგრანტებს საზღვარგარეთ წასვლაში დაეხმარნენ ნათესავები და მეგობარ-ნაცნობები; ტურისტული ფორმის დახმარებით წასვლა შეძლო ემიგრანტთა 5%-მა და ამდენივემ კერძო პირების დახმარებით; დასაქმების კერძო სააგენტოების მეშვეობით წავიდა საზღვარგარეთ ემიგრანტთა 7%, ხოლო 5%_ სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებითა და კონკრეტული დამქირავებლის მიწვევით; უმნიშვნელოა დასაქმების სახელმწიფო სამსახურების როლი შრომითი ემიგრაციის ორგანიზების საქმეში _ მათი დახმარებით წასვლა შეძლო შრომით ემიგრანტთა მხოლოდ 1%-მა (სავარაუდოდ ეს არის მიმღები ქვეყნის დასაქმების სამსახური, რამეთუ უკანასკნელ

[1] კვლევა ჩატარდა ქ. თბილისში, ქ. რუსთავში, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში. ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდით გამოკითხული იქნა შრომით ემიგრაციაში მყოფთა ოჯახების საქართველოში დარჩენილი წევრები.

წლებში საქართველოს დასაქმების სახელმწიფო სამსახურს ორგანიზებულად საზღვარგარეთ არავინ გაუყვანია). საგანგაშოა ის ფაქტი, რომ, კვლევის შედეგებით, ემიგრანტთა 16% «ბედის ანაბარა» წავიდა საზღვარგარეთ (ქ. თბილისში მათი წილი შეადგენს 13%-ს, ქ. რუსთავში_ 11%-ს, ტყიბულში_ 19%-ს, ხოლო ახალქალაქში_ 23%-ს).

ემიგრანტთა სქესობრივ-ასაკობრივი და სოციალური ნიშნის (განათლების დონე, ოჯახური მდგომარეობა) მიხედვით ემიგრირების გზების ანალიზმა გვიჩვენა, რომ უფრო ხშირად «ბედის ანაბარა» მიდიან ახალგაზრდა ასაკის მამაკაცები, დაოჯახებულები და შედარებით დაბალი განათლების დონის (არასრული საშუალო, საშუალო ზოგადი და საშუალო-სპეციალური განათლების) მქონე პირები. უმაღლესი განათლების მქონე ემიგრანტებმა უფრო ბევრჯერ გამოიყენეს ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარება, ასევე, დასაქმების კერძო სააგენტოებისა და ტურისტული ფირმების მომსახურება, თუმცა მათ შორისაც საკმაოდ მაღალია «ბედის ანაბარა» წასულთა წილიც (15,1%). სტუდენტი ახალგაზრდობა, გასაგებ მიზეზთა გამო, უფრო ხშირად იყენებს ემიგრირების ისეთ გზებს, როგორებიცაა სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა (16,1%) და დასაქმების კერძო სააგენტოების მომსახურება (12,9%). დასაქმების კერძო სააგენტოების მეშვეობით შედარებით ხშირად უსარგებლიათ საზღვარგარეთ არასრული საშუალო განათლების მქონე პირებს (41,7%), რაც აიხსნება საზღვარგარეთ საქართველოდან ემიგრირებულთა დასაქმების შესაძლებლობების სპეციფიკით, კერძოდ, იმით, რომ ისინი, ძირითადად, შეიძლება დასაქმდნენ დაბალკვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სამუშაოზე.

რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით ემიგრირების ფორმების სპეციფიკას, კვლევის შედეგებით დადგინდა შემდეგი (ცხრილი 1):

_ რუსეთში ემიგრირებულების აბსოლუტური უმრავლესობა (68,7%) წასულია ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარებით; დასაქმების სახელმწიფო სამსახურის როლი აქ საერთოდ არ იკვეთება, ხოლო კერძო სააგენტოებისა და ტურისტული ფირმების წვლილი უმნიშვნელოა; სხვა ქვეყნებთან შედარებით აქ მეტია «ბედის ანაბარა» წასულთა წილი (23,4%), რაც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას საქართველოდან რუსეთში წასვლისა და იქ ადაპტირების შედარებით უკეთესი პირობებით (ხშირ შემთხვევაში ენობრივი ბარიერის არარსებობა, მსგავსი ცხოვრების პირობები, მენტალიტეტი და ა.შ.);

_ საბერძნეთში წასულთა უმრავლესობაც წასვლისას ეყრდნობოდა ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარებას (64,9%), მაგრამ სხვა ქვეყნებთან შედარებით, აქ უფრო გამოიკვეთა კერძო პირების (9,9%), ტურისტული ფირმებისა (7,7%) და დასაქმების კერძო სააგენტოების (4,4%) როლი. შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გამოჩნდა საბერძნეთში ემიგრაციისას დასაქმების სახელმწიფო სამსახურების როლი (2,2%);

_ გერმანიაში ემიგრირების გამოყენებული ფორმების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სწორედ ამ ქვეყანაზე მოდის სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებითა (11,6%) და ადრე წასულ ნათესავ-მეგობრების დახმარებით ემიგრირებულთა დიდი ნაწილი (18,0%). ამავე ქვეყანაში სამუშაო ძალის გაყვანით ხშირად არიან დაკავებულნი დასაქმების კერძო სააგენტოები (გერმანიაში ემიგრირებულთა 18,6% მათ მიერ არის გაყვანილი) და კერძო პირები (8,1%). გერმანიაში წასულ ემიგრანტთა შორის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მცირეა «ბედის ანაბარა» წასულთა წილი (4,6%);

ცხრილი 1

ემიგრირების ორგანიზაციული ფორმები ქვეყნების მიხედვით
(პროცენტობით ჯამთან)

მიმღები ქვეყანა / ემიგრირების ფორმა	რუსეთი	საბერძნეთი	გერმანია	აშშ	ისრაელი	ბელგია	ევროპის სხვა	აზერბა-ჯანი	სომხეთი	სხვა ქვეყნები
ვინ დაეხმარა წასვლაში	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
ნათესავი	35.7	22.0	14.0	10.3	25.0	20.0	16.7	44.5	14.0	12.0
მეგობარი	14.3	8.8	22.1	11.5	-	-	12.5	22.2	22.1	12.0
აქაური ნაცნობი	3.3	3.3	2.3	10.3	-	10.0	2.8	-	2.3	4.0
იქაური ნაცნობი	7.0	7.7	2.3	8.1	25.0	10.0	6.9	-	2.3	16.0
სათვისტომო	0.8	2.2	-	-	25.0	-	-	-	-	-
დასაქმების სახელმწიფო სამსახური	-	2.2	-	-	-	-	1.4	11.1	2.3	-
დასაქმების კერძო სააგენტო	3.2	4.4	20.9	12.6	-	-	9.7	-	18.6	4.0
ტურისტული ფირმა	0.4	7.7	3.5	10.4	12.5	-	12.5	-	3.5	8.0
კერძო პირი	1.6	9.9	8.1	6.9	-	10.0	9.7	-	8.1	4.0
წავიდა ბედის ანაბარა	23.4	8.8	4.7	8.0	12.5	20.0	18.1	22.2	4.7	8.0
სტუდენტთა გაცვლითი პროგრამით, საწარმოს მიერ გამოცხადებუ	2.5	1.1	11.6	11.5	-	-	2.8	-	11.6	12.0

ლი კონკურსით										
მანამდე წასული იყო ოჯახის წევრი	7.0	20.9	8.2	9.2	-	30.0	6.9	-	8.2	16.0
სხვა	0.8	1.0	2.3	1.2	-	-	4.0	-	2.3	4.0

_ გერმანიის შემდეგ კერძო სააგენტოების მუშაობის ინტენსიურ მიმართულებად აღმოჩნდა აშშ. ამ ქვეყანაში ემიგრირებულთა 12,6%-მა სწორედ მათი მეშვეობით მოახერხა წასვლა. აშშ-ში ემიგრირებისათვის ფართოდ გამოყენებული საშუალებებია ასევე აქაური ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარება (32,1%), იქ მყოფი ნაცნობებისა (8,0%) და კერძო პირების დახმარება (6,9%). რუსეთთან შედარებით თითქმის 3-ჯერ მცირეა აშშ-ში «ბედის ანაბარა» წასულთა წილი (8,0%). აშშ გერმანიის შემდეგ, მეორე ქვეყანაა, სადაც სტუდენტთა გაცვლის პროგრამებით და კერძო კონტრაქტებით (11,5%) მიდიან საქართველოდან;

_ ისრაელში ემიგრაციის გზებისა და საშუალებების სპეციფიკა გამომდინარეობს ებრაელთა ისტორიულ სამშობლოში ინტენსიური დაბრუნებისა და ეროვნებით ებრაელთა ისრაელში ადაპტირების პროცესის ხელშეწყობით. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ისრაელში საქართველოდან წასულთა 75%-ს წასვლაში დაეხმარნენ ნათესავები, იქაური ნაცნობები და სათვისტომო; თუმცა ამ ქვეყანაში სამუშაო ძალის გაყვანას საკმაოდ ხშირად ახდენენ ტურისტული ფირმებიც (12,5%);

_ გასვლის ინტენსივობით ევროპის სხვა ქვეყნებიდან გამოირჩევა, ასევე, ბელგია, სადაც განსაკუთრებით მაღალია «ბედის ანაბარა» წასული ემიგრანტების წილი (20,0%). ეს მაჩვენებელი, საერთოდ, მაღალია ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც (18,0%), რაც ამ ქვეყნებთან საქართველოს

შედარებით ტერიტორიული სიახლოვითა და მგზავრობის მეტი შესაძლებლობებით შეიძლება აიხსნას;

_ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში საქართველოდან ემიგრაციული ნაკადების საგრძნობი ინტენსივობით რუსეთის შემდეგ მოდის სომხეთი და აზერბაიჯანი. აზერბაიჯანში ემიგრაციისას ყველაზე ხშირად გამოიყენება ისეთი ორგანიზაციული ფორმები, როგორებიცაა ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარება (66,6%) და «ბედის ანაბარა» წასვლა (22,2%); ხოლო სომხეთში_ ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარება (40,6%), დასაქმების კერძო სააგენტოების მომსახურება (18,6%), სასწავლებლად და კერძო კონტრაქტით სამუშაოდ წასვლა (11,6%). საქართველოდან სომხეთში «ბედის ანაბარა» მიდიან 5-ჯერ უფრო იშვიათად, ვიდრე აზერბაიჯანში.

ემიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობის კორელაციით ემიგრირების ორგანიზაციულ ფორმებთან დადგინდა, რომ ემიგრაციაში ხანგრძლივად (5 წელზე მეტი ვადით) მყოფთაგან უმრავლესობა საქართველოდან გავიდა ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარებით (57,1%), ხოლო დასაქმების სამსახურებისა და ტურისტული ფირმების მეშვეობით გაყვანილია მათი მხოლოდ 6,0%. ემიგრაციაში ხანგრძლივად მყოფთა შორის საკმაოდ მაღალია «ბედის ანაბარა» წასულთა წილი (25,5%).

ცალკეული ორგანიზაციული ფორმის გამოყენებით ემიგრაციაში წასულთა განაწილება ემიგრაციის ხანგრძლივობის მიხედვით გვიჩვენებს, რომ «ბედის ანაბარა» წასულები ყველაზე ხშირად რჩებიან საზღვარგარეთ 5 წელზე მეტი ვადით. მათ შორის მაღალია ასევე 1-დან 5 წლამდე ვადით ემიგრაციაში მყოფთა წილი (44,8%). ეს განპირობებულია არალეგალური მიგრანტების სამშობლოში დაბრუნებისა და ხელმეორედ ემიგრირების სიძნელეებით.

უაღრესად საინტერესო შედეგები გამოვლინდა ემიგრირების ღირებულებასა და ორგანიზაციულ ფორმას შორის

ურთიერთდამოკიდებულების ანალიზით (ცხრილი 2). კერძოდ, ნათესავების, მეგობრების, იქაური ნაცნობებისა და სათვისტომოს, ასევე დასაქმების სახელმწიფო სამსახურის დახმარებით ემიგრაციაში წასვლა ჯდება ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე დასაქმების კერძო სააგენტოების, ტურისტული ფირმებისა და კერძო პირების დახმარებით წასვლა. «ბედის ანაბარა» წასულთა აბსოლუტურ უმრავლესობას_ 76,8%-ს ყველაზე იაფი_ 500 აშშ დოლარზე ნაკლები დაუხარჯიათ საზღვარგარეთ წასვლაზე. ეს აიხსნება, ჯერ ერთი, ასეთი ფორმით წასულების მაღალი ხვედრითი წონით რუსეთსა და ტერიტორიულად ახლოს მდებარე სხვა ქვეყნებში და, მეორეც, ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია შუამავალთა და დამხმარეთა სარგებელი, მოგება, რაც, რა თქმა უნდა, ამცირებს საერთო დანახარჯებს.

ცხრილი 2

ემიგრირებაზე გაწეული დანახარჯები (მგზავრობის ღირებულების გარდა) ორგანიზაციული ფორმების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

ემიგრაციის ორგანიზაციული ფორმა	*ემიგრირების ხარჯები (აშშ დოლარებში)*				
	500-მდე	501-1000	1001-2000	2000-ზე მეტი	სულ
ნათესავების დახმარებით	68,6	13,7	13,7	4,0	100
მეგობრების დახმარებით	58,2	16,3	12,8	12,7	100
აქაური ნაცნობების დახმარებით	30,8	23,1	26,9	19,2	100
იქაური ნაცნობების დახმარებით	51,2	15,5	11,1	22,2	100
სათვისტომოს დახმარებით	50,0	33,4	16,4	_	100
დასაქმების სახელმწიფო სამსა-ხურის დახმარებით	50.0	33.3	16.7	_	100
დასაქმების კერძო სააგენტოების დახმარებით	34,0	27,7	21,3	17,0	100

ტურისტული ფირმების დახმა-რებით	18,7	18,7	31,3	31,3	100
კერძო პირის დახმარებით	42,9	20,0	20,0	17,1	100
ბედის ანაბარა	76,8	7,1	11,1	5,0	100
სხვა	42,9	42,8	_	14,3	100

ემიგრირების ფორმების ეფექტიანობა გარკვეულწილად შეიძლება შეფასდეს ამა თუ იმ ფორმით წასულთა დასაქმებისა და შრომით ურთიერთობების ლეგალიზაციის დონით (ცხრილი 3). კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ თუ ემიგრანტთა საერთო რაოდენობის 62%-ს არა აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, ეს მაჩვენებელი ბევრად მაღალია «ბედის ანაბარა» წასული ემიგრანტებისათვის (74,8%), ასევე კერძო პირებისა (74,3%) და ტურისტული ფირმების დახმარებით წასული ემიგრანტებისთვის (73,8%). შრომითი კონტრაქტის გაფორმების უკეთესი მაჩვენებლები აქვთ დასაქმების კერძო სააგენტოებისა (66,0%) და იქაური ნაცნობების (59,1%) მეშვეობით წასულ ემიგრანტებს, თუმცა, მათ შორისაც 1/3-ზე მეტს არა აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, ე.ი. ისინი ლეგალურად არ არიან დასაქმებულნი.

ცხრილი 3

დასაქმების ლეგალურობა ემიგრირების ფორმების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

ემიგრირების ფორმა	გააფორმა თუ არა შრომითი ხელშეკრულება			
	არა	დიახ, უშუალოდ დამქირავებლთან	დიახ, საქართველოში არსებული სტრუქტურის	სულ
ვინ დაეხმარა წასვლაში?				100
ნათესავი	73.7	25.7	0.6	100
მეგობარი	53.6	41.7	4.7	100
აქაური ნაცნობი	66.7	20.8	12.5	100
იქაური ნაცნობი	40.9	59.1	-	100
სათვისტომო	50.0	50.0	-	100
დასაქმების სახელმწიფო სამსა-ხური	-	66.7	33.3	100
დასაქმების კერძო სააგენტო	34.0	57.5	8.5	100
ტურისტული ფირმა	67.7	25.8	6.5	100
კერძო პირი	74.3	22.9	2.8	100
წავიდა ბედის ანაბარა	74.8	23.2	2.0	100
სტუდენტთა გაცვლითი პროგრამით, საწარმოს მიერ გამოცხადებული კონკურსით	46.9	53.1	-	100
მანამდე წასული იყო ოჯახის წევრი	69.8	28.6	1.6	100
სხვა	71.4	28.6	-	100

მიგრაციისა და საზღვარგარეთ დასაქმების ლეგალიზაციას, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ემიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობისა და სოციალური დაცვისათვის. კვლევის შედეგებით, საქართველოდან არალეგალურად, «ბედის ანაბარა», კერძო პირებისა და ტურისტული ფირმების, ასევე აქაური ნათესავ-მეგობრების

დახმარებით წასული ემიგრანტები საზღვარგარეთ პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში ვერ მიმართავენ იქ არსებულ საქართველოს წარმომადგენლობას და, მით უფრო, იქაურ მთავრობას, მათ ძირითადად საკუთარი თავისა და ნაცნობ-მეგობრების იმედი აქვთ. ეს კი, ხშირ შემთხვევაში, მათი დაუცველობის წინაპირობა ხდება.

ამრიგად, საქართველოდან შრომითი ემიგრაციის ორგანიზაციული ფორმების შესწავლისა და მათი ეფექტიანობის შეფასების კვალობაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თუმცა ემიგრანტები გასვლისათვის იყენებენ ლეგალურ გზებსა და საშუალებებს, მაგრამ მათი გასვლის მოტივი ლეგალურად სულ სხვაა და შრომით ემიგრანტთა აბსოლუტური უმრავლესობა არალეგალურად არის საზღვარგარეთ დასაქმებული. ამასთან, თუ მათი დიდი ნაწილი იყენებს ნათესავებისა და ტურისტული ფირმების მომსახურებას, თითქმის 1/5 სრულიად «ბედის ანაბარა» მიდის საზღვარგარეთ და, ბუნებრივია, აწყდება უამრავ ორგანიზაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას. ტურისტული სააგენტოებისა და დასაქმების კერძო სამსახურების მეშვეობით საზღვარგარეთ წასული ემიგრანტების მდგომარეობისა და ეკონომიკური დანახარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ აუცილებელია მათ საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება. გარკვეული ზომით ემიგრირების ორგანიზაციაში უნდა ჩაერთოს დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომლის სტატუსი, შესაძლებლობები და პასუხისმგებლობის ხარისხი შრომით ემიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი დაცვის გარანტია იქნება, რა თქმა უნდა, შესაბამისი მექანიზმების არსებობის პირობებში.

Tsiuri Antadze

PECULIARITIES OF THE ORGANIZATION OF LABOR EMIGRATION FROM GEORGIA AT THE PRESENT STAGE (Abstract)

Efficiency of emigration, socio-economic and legal situation largely depends on the ways and methods of emigration and its organized forms.

According to the results derived from the special research conducted in 2002 in various regions, in most cases the relatives, friends and acquaintances help emigrants to leave abroad; through the assistance of tourist firms the country left 5% of labor emigrants, the same number left the country through private persons, 7% - through the private employment agencies; 5% - through the students exchange programs and invitations of specific employers. The number of those who left the country "to seek fortune" made up 16%.

By the results of the research the absolute majority of labor emigrants (62%) are employed abroad illegally – without labor contracts. This rate is much higher for those who went abroad "to seek fortune" as well as for private persons and those who went through the assistance of tourist firms. Nearly one-third of the emigrants who went abroad through the private employment agencies is employed illegally.

The above once more confirms the necessity of regulation of labor emigration processes and the strengthening of the state control. At the same time the regulation strategy at the contemporary stage must not be its prohibition but the enhancement of the legalization quality and the growth of its effectiveness.

მზია შელია
მირიან ტუხაშვილი

შრომითი ემიგრაციის გენდერული ასპექტები

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარებული შრომითი ემიგრაციის გამოკვლევისას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ შრომითი ემიგრაციის გენდერულ თავისებურებებს.

გენდერული ასპექტი ამ კვლევაში ცალკე გამოვყავით იმიტომ, რომ მიმდინარე შრომით ემიგრაციაში მოვლენის ახალი თავისებურებაა ადრინდელთან შედარებით. საშოვარზე წასვლა გახდა არა მარტო მამაკაცების, არამედ ქალთა ფუნქციაც.

1990-იან წლებამდე საქართველოში საზოგადოებრივი აზრისათვის სრულიად მიუღებელი იყო ქალთა შრომითი ემიგრაცია. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა, რათა გამოსავალი ქვეყნის გარეთ დასაქმებაში ეძებნა.

მეორე მხრივ, შრომის საერთაშორისო ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა ქალთა სამუშაო ძალის გარკვეულ კატეგორიაზე (მოახლეები, ძიძები, მომსახურების სფერო), რამაც ხელი შეუწყო ჩვენში უკიდურესად გაიაფებული მდედრობითი სქესის სამუშაო ძალის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლას.

არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ მსოფლიოში იცვლება შეხედულება მიგრაციაში ქალის როლის შესახებ. მიგრაციის ფემინიზაციას მიიჩნევენ შრომითი ემიგრაციის განვითარების ახალ ეტაპად[1] და დიდ პროგრესად თვლიან გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე. მაგრამ ის ფაქტი, რომ ქალს მამაკაცის თანასწორად შეუძლია გაიზიაროს არნახული დისკრიმინაცია, რომელიც არსებობს საერთაშორისო შრომით

[1] Castles S. Miller J. The age of migration. International population mooements in the modern world. London. 1993. Демоскоп, 2002, №60-61

ბაზრებზე და, კიდევ მამაკაცთაგან განსხვავებით, დამატებით წააწყდეს განვითარებული თრეფიქინგის უამრავ მანკიერ მხარეს, სრულიად ჩრდილავს მის «უფლებრივ წარმატებებს». ეს, მითუმეტეს, საქართველოდან ემიგრირებულებზე ითქმის, რომელთა უდიდესი მასის ყოფითი სამყარო, ტრადიციები, ოჯახისადმი დამოკიდებულება, გენდერული მოვალეობანი დაეჯახა ამ თვალსაზრისით კონტრასტულ გარემოს და მრავალი ტრაგიკული მომენტით გამოიხატა. მათთვის უცნობი შრომის ბაზრის სეგმენტის_ სექს-მომსახურებაში ჩაბმით საუკუნეობრივად ფორმირებული ჭეშმარიტად მაღალი ფასეულობანი, რომელიც ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის გენერაციული ფუნქციის განხორციელების ფორმას უკავშირდება, არაბუნებრივად სწრაფად დაანგრია. ამიტომ არ შეიძლება, ქართველი ქალებისათვის (და არა მარტო ქართველი) ქალთა ემანსიპაციის გზაზე შრომითი ემიგრაციის ფემინიზაცია რაიმე წარმატებად ვაღიაროთ, რა დაჟინებითაც არ უნდა მიუთითებდნენ უკიდურესი ფემინიზმით შეპყრობილი მკვლევარები. ქართველი ქალის გასვლა საერთაშორისო შრომის ბაზარზე შიმშილის იძულებაა და წინააღმდეგობაშია ქალის მთავარ გენერაციულ ფუნქციასთან, ახალი თაობის აღზრდასა და, საერთოდ, ადამიანთა (ჩვენს შემთხვევაში ქართველი მოსახლეობის) კვლავწარმოებასთან. პროგნოზების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლამდე 2 მლნ-ზე მეტით შემცირდება და იგი დემოგრაფიულად «მომაკვდავ» ქვეყანად გადაიქცევა.[2] ასეთ ვითარებაში ქალთა ინტენსიური შრომითი ემიგრაცია ჩვენი ქვეყნიდან სხვა კუთხით დაინახება და სხვაგვარადაც შეფასდება, ვიდრე, ვთქვათ, დემოგრაფიულად სწრაფმზარდი ფილიპინებიდან, სადაც მოსახლეობის მატებით გამოწვეული უმუშევრობა მეტად მაღალია.

[2] Демоскоп, 2002, №59-60. с. 16-17

ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, რომელმაც მოიცვა თბილისი, რუსთავი, ტყიბული, ახალქალაქი, ქალთა წილი შრომით ემიგრანტთა შორის 40%-ია (თუ ახალქალაქს არ მივიღებთ მხედველობაში_ მაშინ 48,2%[3]) (ცხრილი 1).

ცხრილი 1

შრომით ემიგრანტთა განაწილება სქესის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

გამოკვლეული რეგიონი / სქესი	თბილისი	რუსთავი	ტყიბული	ახალქალაქი	სულ
მდედრობითი	51	54	33	3	39.8
მამრობითი	49	46	67	97	60.2
სულ	100	100	100	100	100

ამავე დროს, ქალთა წილი რეგიონების მიხედვით დიდი ვარიაციული ამპლიტუდით ხასიათდება და აქ ვლინდება ამ გამოკვლევით მიღებული ერთ-ერთი მთავარი ეთნორეგიონული და შრომითი ემიგრაციის გენეტიკური თავისებურება_ ახალქალაქის სომეხი მოსახლეობის შრომით ემიგრანტთა შორის ქალთა უმნიშვნელო წილი და, გენდერული თვალსაზრისით,

[3] ეს ციფრი ზუსტად ემთხვევა იმიგრაციის ძირითად ქვეყნებში იმიგრანტთა სქესობრივ-სტრუქტურულ მაჩვენებელს, რომელიც გამოვლინდა ამ ქვეყნების მოსახლეობის აღწერების დროს (ციტირებულია ჟურნალ Демоскоп, 2002, №60-61-დან, რომელიც ეყრდნობა: «Labour migration// in International Migration Policies. UNDEP of econ. end social affairs. Population division. IVY. UN 1998, p.87.172)

საქართველოს საერთო ვითარებიდან სრულად ასიმეტრიული ნაკადის არსებობა. შევეცდებით ავხსნათ ეს თავისებურება.

ის აზრი, რომ, საზოგადოდ, სომეხი ქალები არ მონაწილეობდნენ შრომით ემიგრაციაში, სწორი არაა. რადგან, როგორც კვლევამ გვიჩვენა, საქართველოს სხვა რეგიონებიდან ემიგრანტ სომეხთა შორის ქალთა წილი ძლიერ მაღალია და უტოლდება 65%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი სამი ემიგრირებულიდან ორი ქალია. ადრე ჩატარებულ სხვა გამოკვლევებიდანაც (ნ. ჭელიძე, გ. მაჭარაშვილი, მ. ტუხაშვილი[4]) სომეხ ქალთა მაღალი შრომით-მიგრაციული აქტიურობა შეინიშნება.

ვფიქრობთ, ახალქალაქის შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ის, რომ აქ შრომითი ემიგრაცია ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა და ახალ პირობებს იგი ჩამოყალიბებული ფორმით დახვდა, მართალია, მისმა ინტენსიურობამ იმატა, მაგრამ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით არაბუნებრივი ნახტომი აქ არ გაკეთებულა.

ქალთა ძირითადი ნაკადი მიმართულია საბერძნეთის (24,3%), გერმანიის (23,5%), აშშ-სა (18,7%) და რუსეთისაკენ (14,3%). რუსეთის შრომის ბაზრის მოთხოვნის თავისებურებების გამო მათი წილი მცირეა (რუსეთის ნაკადის 14,8%), ხოლო დანარჩენ სამ ქვეყანაში შემდეგნაირად ნაწილდება: (აშშ_ 54,7%, გერმანია_ 69,4%, საბერძნეთი_ 70,1%). ძირითად ნაკადთა ასეთი გენდერული სტრუქტურა განაპირობებს ქალთა შრომითი ემიგრაციის უფრო მეტ დანახარჯებს, ამის გარდა, გამოკვლევიდან ჩანს, რომ ისინი უფრო მეტ წინასწარ მომზადებას გადიან, ვიდრე მამაკაცები პროფესიის ან ენის შემსწავლელი კურსების სახით.

---

[4] ჭელიძე ნ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. თბ., 2000. ტუხაშვილი მ., მაჭარაშვილი მ. ქვემო ქართლის მოსახლეობის შრომითი მიგრაცია. ჟ. ეკონომისტი, 2000 №4

გამოკვლევით დადგინდა, რომ ქალები დასაქმებულნი არიან მომსახურების სექტორში (მომვლელები_ 33,1%, აღმზრდელები_ 9,2%, ოფიციანტები_ 4,8%, დამლაგებლები_ 9,2%, გამყიდველები_ 5,5% და ა.შ.), ამას ემატება ძირითადად ამავე სექტორში დასაქმებულნი, რომლებიც სწავლობენ და, იმავდროულად, მუშაობენ.

მამაკაცებთან შედარებით ქალებს უფრო უჭირთ სამშობლოსა და ნათესავებთან დაშორება. უმეტეს შემთხვევაში შრომითი ემიგრაციის დროს ხდება ოჯახის ფაქტობრივად გაყოფა, ხშირია შემთხვევა, როცა მიგრანტი ქალები სხვის შვილებს ზრდიან, თავიანთი კი აქ ჰყავთ ახლო ნათესავების მზრუნველობის ქვეშ. მათი წილი, ვისაც ქმარი და შვილები საქართველოში ჰყავთ მთელ ნაკადში 27%-ია, ხოლო შვილიანები_ 37%. სავსებით ბუნებრივია, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით უფრო ხშირი კავშირი აქვთ აქ დარჩენილ ოჯახის წევრებთან.

სამწუხაროდ, ვერ დადგინდა იმათი რაოდენობა, რომლებიც ე.წ. სექს-მომსახურების სექტორში არიან დასაქმებულნი, რადგან ოჯახის წევრებს ამის თაობაზე ან არა აქვთ ინფორმაცია, ან ისინი ამგვარ ინფორმაციას არ იძლევიან ჩვენი საზოგადოებრივი აზრისათვის პროსტიტუციის მიუღებლობის გამო. თუმცა სხვა გამოკვლევებით ნათლად ჩანს, რომ ქართველი ახალგაზრდობა ხშირად ხდება თრეფიქინგის მსხვერპლი და მისდაუნებურად ებმება სექს-ბიზნესშიც[5]. ამას ხელს უწყობს საქართველოდან დასავლეთის ქვეყნებში შრომითი ემიგრაციის უმთავრესად არალეგალური ფორმა. ამიტომაცაა, რომ ემიგრანტ ქალთა უმეტესობა (57,5%) რაც წავიდა, აღარ ჩამოსულა, რადგან ჩამოსვლის ხარჯია დიდი და უფრო მეტად კი ის გარემოება, რომ მიგრაციის

[5] იხ. დაწვრილებით: გაჭირვება საზღვარგარეთ, თუ შიმშილი სამშობლოში. საქართველოდან არალეგალური მიგრაციის კვლევა. 2001

არალეგალურობის გამო, ჩამოსვლის შემთხვევაში უკან გაბრუნება გაუჭირდება.

შრომით ემიგრაციაში წასული ქალების დახმარება აქაური ოჯახებისადმი მეტად მნიშვნელოვანია. ამ გამოკვლევის მიხედვით, ისინი საშუალოდ თვეში 40 აშშ დოლარით მეტს გზავნიან საქართველოში მამაკაცებთან შედარებით. ასეთი განსხვავება ადრინდელ სხვა გამოკვლევებშიც დაფიქსირდა.[6]

გამოკვლევამ აჩვენა, რომ დაოჯახებულ ქალთა რეემიგრაციული პოტენციალი გაცილებით მაღალია მამაკაცებთან შედარებით. რაც შეეხება დაუქორწინებელ შრომით ემიგრანტებს, აქ ქალთა უცხოეთში დარჩენის ალბათობა, რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, მეტია.

Mzia Shelia
Mirian Tukhashvili

GENDER ASPECTS OF LABOR EMIGRATION
(Abstract)

New peculiarity of current labor emigration in Georgia is women's participation in it. Through our researches it found that every third labor emigrant is a woman. Their major recipient countries are Greece (24% of female labor emigrants), Germany (23.5%), US (18.7%) and Russia (14.3%). Women in Greece and Germany made up 70% of the labor emigrants.

Through the research it found that women are employed in the service sector (33,1% out of them are nurses, 9.2% - babysitters, 4.8% - waitresses, 9.2% - office-cleaners, 5.5% shop assistants and so on). Women suffer separation from their native countries and relatives

[6] ჭელიძე ნ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. თბ., 2000. გვ.24

more than men. In fact, in most cases many families are separated due to labor emigration.

The cash remittances sent by labor emigrant women to their families were substantial. Through our research it found that cash remittances sent by women to their families were more by $40 than men's.

The research showed that the potential or return migration of married women is much higher compared to men. Likelihood of staying abroad for unmarried women is higher than men's.

The reproductive indicators of labor emigrants are very low. The impact of women's emigration on Georgia's demographic potential is extremely negative.

კრებულის ავტორები

1. ***მარკ ჰულსტი.*** მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრეფიქინგის წინააღმდეგ მიმართული პროგრამის ოფიცერი.
2. ***მირიან ტუხაშვილი.*** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის ეკონომიკის კათედრის გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
3. ***გიორგი წულაძე.*** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
4. ***მერაბ ხმალაძე.*** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მოსახლეობის კვლავწარმოების განყოფილების გამგე. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
5. ***მედეა გოცირიძე.*** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
6. ***ალექსანდრე ვადაჭკორია.*** საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოგრაფიის სამმართველოს სტატისტიკის სამმართველოს უფროსი.
7. ***ამირან ტაკიძე.*** საქართველოს დასაქმების სახელმწიფო სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე.
8. ***ციური ანთაძე.*** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
9. ***თამაზ ზუბიაშვილი.*** საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

10. *ნიკოლოზ მაღლაფერიძე.* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
11. *მზია შელია.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის ეკონომიკის კათედრის დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
12. *ნინო ბერულავა*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
13. *ნათია ჭელიძე.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ასპირანტი.

AUTHORS OF THE COLLECTION

1. ***Marc Hulst.*** Counter-Trafficking Program officer, International Organization for Migration.
2. ***Mirian Tukhashvili***. Head of the Labour Economics Chair, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Economic Sciences, professor.
3. ***Giorgi Tsuladze.*** Deputy Director of the Institute of Demography and Sociological Studies, Georgian Academy of Sciences, Doctor of Historic Sciences, professor.
4. ***Merab Khmaladze***. Head of the Department of Population Reproduction, Institute of Demography and Sociological studies, Doctor of Economic Sciences, professor.
5. ***Medea Gotsiridze.*** Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Economic Sciences, professor.
6. ***Alexander Vadachkoria***. Head of the Office of Demographic Statistics, the State Department for Statistics of Georgia.
7. ***Amiran Takidze.*** First Deputy Director of the Employment State Service of Georgia.
8. ***Tsiuri Antadze***. Head of the Office of Employment Policy, Ministry of Labour, Health and Social Affairs.
9. ***Tamaz Zubiashvili.*** Institute of Demography and Sociological studies, Senior researcher, Kandidat of Economic Sciences, Senior Lecturer.
10. ***Nikoloz Maglaperidze***. Institute of Demography and Sociological studies, Senior Researcher, Kandidat of Economic Sciences.
11. ***Mzia Shelia.*** Senior lecturer of the Labour Economics Chair, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Kandidat of Economic Sciences.
12. ***Nino Berulava.*** Senior teacher, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Kandidat of Economic Sciences.
13. ***Natia Chelidze.*** Student of Postgraduate Courses, Ivane

Javakhishvili Tbilisi State University.

შინაარსი

1. *მირიან ტუხაშვილი.*
   თანამედროვე მიგრაციული ვითარება და მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის შესწავლის ამოცანები საქართველოში;
2. *თამაზ ზუბიაშვილი.*
   საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები
3. *გიორგი წულაძე, ნიკოლოზ მაღლაფერიძე, ალექსანდრე ვადაჭკორია.*
   საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდო აღწერათაშორის პერიოდში (1383-2001 წწ);
4. *მარკ ჰულსტი.*
   საქართველოდან ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ინსტიტუციონალური და სამართლებრივი სტრუქტურების ანალიზი;
5. *მერაბ ხმალაძე.*
   დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ;
6. *ნათია ჭელიძე, მირიან ტუხაშვილი.*
   საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები;
7. *ციური ანთაძე.*
   შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა და მისი გავლენა შრომით მიგრაციაზე;
8. *მედეა გოცირიძე.*
   შრომითი მიგრაციის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში;
9. *მზია შელია.*

შრომით ემიგრანტთა დემოგრაფიული სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლები;
10. *ამირან ტაკიძე.*
შრომითი ემიგრაციის ძირითადი ტენდენციები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
11. *ნინო ბერულავა.*
მოსახლეობის მუდმივი მიგრაცია საქართველოს სამთომომპოვებელი რეგიონებიდან (ტყიბულისა და ჭიათურის სამრეწველო რაიონების მაგალითზე);
12. *ციური ანთაძე.*
საქართველოს შრომითი ემიგრაციის ორგანიზების თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე;
13. *მზია შელია, მირიან ტუხაშვილი.*
შრომითი ემიგრაციის გენდერული ასპექტები;
კრებულის ავტორები;
შინაარსი.

CONTENT

1. **Mirian Tukhashvili**. Contemporary Migratory Situation and Study Objectives of Population Territorial Movement in Georgia;
2. **Tamaz Zubiashvili.** Contemporary Tendencies of International Migration;
3. **Giorgi Tsuladze, Nika Maglaperidze, Alexander Vadachkoria.** Net External Migration of the Population of Georgia Between the Censuses (1989 – 2001);
4. **Marc Hulst.** Analysis of Institutional and Legal Frameworks to Combat Trafficking in Persons in Georgia;
5. **Merab Khmaladze.** About Interrelationship Between Local Population and Forcibly Displaced Persons;
6. **Natia Chelidze, Mirian Tukhashvili.** Factors and Socio-

Economic Consequences of Labor Emigration of the Population of Georgia;

7. **Tsiuri Antadze.** Existing Situation on the Labor Market and its Impact on Labor Emigration;
8. **Medea Gotsiridze.** Legal Grounds for the Regulation of Labor Migration;
9. **Mzia Shelia.** Main Characteristics of Labor Emigrants' Demographic Structure;
10. **Amiran Takidze.** Principal Tendencies of Labor Emigration in the Autonomous Republic of Adjara;
11. **Nino Berulava.** Permanent Migration of Population From the Mining Regions of Georgia;
12. **Tsiuri Antadze.** Peculiarities of the Organization of Labor Emigration From Georgia at the Present Stage;
13. **M. Shelia, M. Tukhashvili.** Gender Aspects of Labor Emigration;

AUTHORS OF THE COLLECTION;

CONTENT.